გელა ქოქიაშვილი

სუფრავ გაშლილო –
ლხინი ხარ

მეორე გამოცემა

(ვაზი, ღვინო, სუფრის წეს-ჩვეულებები, ცნობილი სუფრები, თამადის ინსტიტუტი და მისი ადგილი ქართულ სუფრაზე, სადღეგრძელოები)

თბილისი
2008 წელი



დაიბადა 1939წლის 9 აპრილს ქ. თბილისში. 1957 წელს მედალზე დაამთავრა სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ქ. ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს ქ. სოხუმში.

1958 წელს, რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე დაიმსახურა საპატიო დიპლომი სახალხო არტისტის კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის რომანსების შესრულებისთვის.

1961 წელს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ქ.სოხუმი) მან ჩამოაყალიბა ანსამბლი «შვიდკაცა», რომელიც ხშირად გამოდიოდა კონცერტებით. რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა, «შვიდკაცას» მიერ, ჩაწერილ იქნა აფხაზეთის რადიოსათვის.

1964 წელს ტრამვაი-ტროლეიბუსების სახელმწიფო ანსამბლთან ერთად იგი წარმატებით გამოდის მოსკოვის საკონცერტო დარბაზებში როგორც სოლო მომღერალი.

1970 წელს, მუშაობასთან პარალელურად, მან დაამთავრა ქ.თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ დავით ანდღულაძის კლასი. ამ წლიდან მოყოლებული აქტიურად მონაწილეობდა ქ.სიღნაღში გამართულ ყოველწლიურ სიმღერის დღესასწაულში _ «ვანოობა».

1971 წელს გელა ქოქიაშვილი გახდა, ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ, ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი. კვების მრეწველობის სისტემაში მუშაობასთან პარალელურად იგი წლების განმავლობაში საოპერო სტუდიის სცენაზე წარმატებით ასრულებდა ტენორის მთავარ პარტიებს ოპერებში: «აბესალომ და ეთერი», «დაისი», «არსენა», «ალეკო», «ბოჰემა», «რიგოლეტო». მას, ქუთაისის საოპერო თეატრში, წარმატებით აქვს ნამღერი მალხაზის პარტია ოპერაში _ «დაისი». მის მიერ მალხაზის პარტიის შესრულებას ცნობილი დირიჟორი დიდიმ მირცხულავა ნიკო ქუმსიაშვილის შესრულებასაც კი ადარებდა, ხოლო პედაგოგ დავით ანდღულაძეს

მიაჩნდა, რომ მისი სახით კიდევ ერთი ღირსეული ტენორი მოევლინა ვოკალურ ხელოვნებას.

გელა ქოქიაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სოლო კონცერტებს, რომლებიდანაც უნდა აღინიშნოს: ძველი და თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების, იტალიური და რუსული მუსიკის საღამოები.
1975 წელს, ის იმარჯვებს იტალიაში, «ლა სკალას» საოპერო თეატრში სტაჟირებაზე გასაგზავნ ვოკალისტთა საკავშირო კონკურსში- ქ. მოსკოვში, სადაც ჟიურის თავმჯდომარემ ევგენი ნესტერენკომ მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. იგი რეგულარულად მონაწილეობდა სახელმწიფო ფილარმონიისა თუ სხვა სახის სოლო კონცერტებში და როგორც წესი, ყველგან _ საქართველოში და მის გარეთაც აღწევდა დიდ და დამსახურებულ წარმატებას.

1980 წელს გ. ქოქიაშვილს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. 1981 წელს საკავშირო ფირმა «მელოდიამ» გამოუშვა ფირფიტა (გიგანტი), სადაც მის მიერ უმაღლეს პროფესიულ დონეზეა ჩაწერილი ძველი და ახალი თაობის ქართველ კომპოზიტორთა 15 ვოკალური ნაწარმოები.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სხვადასხვა საქველმოქმედო, საიუბილეო, საშეფო ღონისძიებები თუ საღამოები და შეხვედრები, სადაც ის ყოველთვის უსასყიდლოდ მონაწილეობდა თითქმის 25 წლის განმავლობაში. მის შემოქმედებაზე არა ერთი მონოგრაფია და სტატიაა გამოქვეყნებული პრესაში.

ქართული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი პირადი წვლილისთვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივნისის განკარგულებით გ.ქოქიაშვილი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

წლების მანძილზე იგი მუშაობდა კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე (ცვლის უფროსი, წარმოების უფროსი, სამინისტროს განყოფილების უფროსი, დირექტორის მოადგილე, ტექნიკური დირექტორი). მის სახელთანაა დაკავშირებული რამდენიმე ახალი ქარხნის მშენებლობა. სამი წელი იმუშავა საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წამყვან ინჟინერ-ეკონომისტად, სადაც 1988 წელს დაიცვა სამეცნიერო დისერტაცია თემაზე «მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს რესპუბლიკის ღვინის მრეწველობაში» და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

2003 წელს გელა ქოქიაშვილმა ჩაწერა კომპაქტდისკი, სადაც თავმოყრილია ქართველი კომპოზიტორების: ზ.ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის, ი. კარგარეთელის, კ.ფოცხვერაშვილის, ა. მაჭავარიანის, შ. მშველიძის, რ. ლაღიძის, ს. მირიანაშვილის, შ. მილორავას, თ. შავერზაშვილის, კ. მეღვინეთუხუცესის, გ. კოკელაძის კლასიკური რომანსები და სიმღერები, ხალხური «ურმული». აქ შესულია აგრეთვე ამავე წელს გელა ქოქიაშვილის მიერ ჩაწერილი იტალიელი კომპოზიტორების: ჯ. პუჩინის ოპერიდან «ტურან-დოტი»_კალაფის არია და ჯ.ვერდის ოპერიდან

«ტრუბადური»_მანრიკოს არია. სულ კომპაქტდისკში შესულია 20 ნაწარმოები. მას დიდი სურვილი აქვს, რომ მისი ჩანაწერები მოხმარდეს ახალგაზრდა მომღერლების აღზრდას, მათი პროფესიონალიზმისკენ მიმავალ გზაზე.

განგებამ ისე ინება, რომ გელა ქოქიაშვილს რამოდენიმე ასპარეზზე გამოეჩინა თავი. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი დამოკიდებულება ისეთი ტრადიციული ფენომენის მიმართ, როგორიც ქართული სუფრაა. იგი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ ყველა საქმეს, ამავე დროს მისი ცხოვრების განვლილი გზა წარმოუდგენელია ახლო მეგობრების და მათთან ურთიერთობის გარეშე, ვინაიდან აქ ჰპოვებდა ყოველთვის შვებას. თავისი გამორჩეული კოლორიტულობით იგი ყოველთვის ამშვენებს ქართულ «პურ-მარილს». ერთ რამედ ღირს მასთან ერთად სუფრაზე ყოფნა, მისი სანიმუშო თამადობის მოსმენა. ტრადიციულ ოჯახში აღზრდილმა კარგად იცის ქართული მიწის, ვაზის, ღვინის და სუფრის ფასი (ყადრი და ლაზათი). მან ქართული სუფრა გარკვეულ წესს დაუმორჩილა და აკადემიურ დონემდე აიყვანა.

ვინც მასთან ერთად ერთხელ მაინც მოხვედრილა სუფრაზე, არასოდეს დაავიწყდება ეს მართლაც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქვეყნის და ხალხის მომფერებელი პიროვნება. მისი ვოკალის პროფესორი დავით ანდღულაძე ხუმრობით ასეც კი უწოდებდა გელას: «შენ ხარ მომღერლებში პირველი თამადა და თამადებში პირველი მომღერალიო». მისი გამორჩეული სადღეგრძელო ეკუთვნის სამამულო ომის დამთავრების 50 წლისთავს 1995 წელს, როდესაც მთელი მსოფლიოს გასაგონად მოსკოვიდან სატელევიზიო არხების მეშვეობით ქართველების _ სტალინის, პეტრე ბაგრატიონის, ზურაბ წერეთლის, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის და ედუარდ შევარდნაძის სახელები ისმოდა. გელა ქოქიაშვილმა მას ასეთი სადღეგრძელო მიუძღვნა: _ გაუმარჯოს იმ დღეს, როდესაც ქართველი კაცის ნიჭიერების საერთაშორისო აღიარება და აღზევება მოხდა.

წინამდებარე წიგნი გახლავთ დასტური იმისა თუ როგორი სერიოზულობით ეპყრობა გელა ქოქიაშვილი ქართული სუფრის წეს-ჩვეულებებს და მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ამისათვის მის მიერ შესწავლილ იქნა უამრავი ისტორიული მასალა, პრესა, ლიტერატურა და სხვა.

გურამ გოგიაშვილი

ვუძღვნი ჯემალ მარშანიას ხსოვნას

<u>წ ი ნ ა თ ქ მ ა</u>

"ივიწყებ წარსულს, კარგავ მომავალს"

სულის სიღრმიდან რაღაც მიძახის, რაღაც მაწუხებს, რაღაც მკარნახობს და მეუბნება: დადგა დრო პასუხი გასცე იმას, რაც მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრების ტრადიციული ყოფის აუცილებელ, განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული ყველა წეს-ჩვეულება ზოგადქართულია. სტუმართ მოყვარეობის ტრადიცია – "სტუმარი ღვთისაა" ქართველი კაცის ზნეობრივ სფეროს განეკუთვნება და მის ხელშეუხებლობას ყოველთვის იცავდა და არეგულირებდა ისტორიულად გადმოცემული დაუწერელი თუ დაწერილი კანონები. ვახუშტი ბაგრატიონის გამონათქვამიც: _»უყვართ სტუმარი და პატივსა უყოფენ და შეიწყნარებენ ფრიად, არიან უხუნი და უცხოთ მოყვარენი", სწორედ ამის დასტური გახლავთ.

გავიდა დრო, მან ხარკად წაიღო ახალგაზრდობის წლები. ცხოვრებამ მკაცრი საგზური მოგვცა და თავის აღმართს შეგვიყენა. ჩემი ღრმა პატივისცემა წინაპრების, უფროსი თაობის მიმართ მხოლოდ შესაძლებელი თაყვანისცემით გადამიხდია, რამეთუ აწმყო და მომავალი დაფუძნებულია წარსულზე. ყოველთვის ეს იყო შუქი ჩემს ცხოვრებისეულ გზაზე, რომელიც ხსოვნაში არასოდეს ჩამქრალა და არც ჩაქრება! ამავე დროს წინაპართაგან ნაბოძები ცხოვრებისეული სიბრძნე მუდამ გადაუხდელ ვალად მიმაჩნდა. შთამომავალთა ხსოვნის უნარიც ხომ წინაპრებთან მარად ერთად მყოფობის მისტერიად გვევლინება, რითაც გამუდმებით ვუხმობთ გარდასულ ძვირფას სახეებს და სახელებს. წინაპრის კულტის ელემენტები მეტნაკლებად განსხვავებული სახით მრავლად გვხვდება საოჯახო და სახალხო რიტუალებში. შესანიშნავი წესია კარგი ყმის გახსენება დღეობებში, მთელი თემის თავყრილობაზე. მას ახალგაზრდობის ვაჟკაცური სულისკვეთებით აღზრდის მნიშვნელობაც ჰქონდა და აქვს დღესაც. სახალხო გმირების საქმეთა წარმოჩენა მაგალითის მიმცემი იყო და არის მომავალი თაობებისათვის.

წინამდებარე წიგნი გახლავთ მცდელობა, გადმოვცე წლების მანძილზე ნანახი, გაგონილი და განცდილი. უშუალო მონაწილე კაცის თვალით შევაფასო ქართველთა ფუძის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული, ხასიათით და შინაარსით გამორჩეული და უნივერსალური ფენომენი - **სუფრა,** რომელიც ქართველი ხალხის ჭეშმარიტად დიდი ნიჭიერების გამოხატულებაა. საუკუნეთა მანძილზე მან თავისი არსებობით უდაოდ შეუწყო ხელი ხალხთა დაახლოება-დამეგობრებას, კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ერის თვითმყოფადობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში სუფრამ განუზომლად დიდი როლი შეასრულა. გრიგოლ რობაქიძის თქმით _»არსად ისე არ ერთიანდებიან ქართველები, როგორც სუფრაზეო».

ქართველი კაცი ეროვნული ღირებულებების, ინტერესებისა და სურვილების მიუღწევლობის კომპენსაციას სუფრაზე ახდენდა. ერთერთი ადგილი სადაც ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები წყდებოდა სუფრა და ნადიმი იყო. აქ თავს იყრიდა ყველა ის საუკეთესო თვისება, რა საუკეთესო თვისებებითაც განირჩევა ქართველობა ყველა სხვა ხალხისაგან, სხვა ერისაგან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით ქვეყნის საუკეთესო კანონები, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით იბადებოდა და იქმნებოდა. დიდია სუფრის როლი პიროვნების, კერძოდ ახალგაზრდების და მომავალი თაობის ესთეტიური აღზრდის, ცოდნის, ქცევის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მართებულია შედარება: ქართული სუფრა "-ცხოვრების აკადემიაა", რომ, თავისი შინაარსით იგი სადღესასწაულო სანახაობას წარმოადგენს, სადაც მთელი სიგრძე-სიგანით ამ პროცესში თამაშდება მისტერია, რომელშიც სამყაროს მინი მოდელია წარმოდგენილი.

ახლა, როცა სიყმაწვილე შორეულ მოგონებად დამრჩა, ვიგონებ იმ ოჯახს, რომელიც სალონური ტიპის იყო. იქ სტუმრის მისვლა შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენდა, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი გახლდათ. სადაც თითქმის აუღებელი იყო სუფრა, სადაც სუფრის დღესასწაულები იმართებოდა. ვის არ ნახავდით იმ ოჯახში _მუშას, გლეხს, მხატვარს, ექიმს, მომღერალს თუ თანამდებობის პირს. იქ სხვანაირი სული და სითბო ტრიალებდა, იქ სულ სხვანაირი პატივისცემა და ლხინი იცოდნენ. რომ იტყვიან-"ვაზის ძირში დავიბადე და სუფრაზე გავიზარდე".

მკაცრი იერარქიული წესრიგით იმართებოდა დიდი ოჯახი. ეს წესი საქართველოში შორეული საუკუნეებიდან მოდის, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა თითოეული წევრის ადგილს ოჯახში. იგი ბუნებრივად ექცეოდა ზნეობრივი აღზრდის სისტემაში, რომელიც არ ზღუდავდა პიროვნების თავისუფლებას.

ჩვენს მიერ გამოყენებულია მისიონერთა, ეზოს მოძღვართა, ჟამთა აღმწერლების, ისტორიული წყაროების, მეცნიერთა, მკვლევართა, ცნობილ პიროვნებათა და ამბავთმთხრობელთა მასალები, წერილები, უწყებანი, ხელნაწერები და გამონათქვამები. ვცდილობ, მივაწოდო საზოგადოებას თუ როგორი წეს-ჩვეულებები იყო და არის საქართველოში ლხინისა და ჭირის სუფრასთან დაკავშირებით. რა იყო მასში მისაღები და რა არა, რასაც ქართველი ხალხი დროთა განმავლობაში რუდუნებით ხვეწდა, ასუფთავებდა, ძველს (ტრადიციულს) ტოვებდა, მაგრამ მასში ახალი ნიუანსები და შტრიხები შეჰქონდა. ყოველივე ეს საქვეყნოდ აღიარებულ ქართულ სუფრას კიდევ უფრო მომხიბლავს, მიმზიდველსა და საინტერესოს ხდიდა.

ავტორი

ქართული მიწა, ვაზი და ღვინო

ქართული მიწის ისტორია სადღაც შორეულ საუკუნეებში იწყება. მის ისტორიულ პროცესს ქმნიდა ქართველი ხალხი, განუმეორებელი ეროვნული ხასიათი, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, მისწრაფებათა და ინტერესთა რაობა. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო გარემომცველ სამყაროს იგი ზოგჯერ ერწყმოდა; არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში უპირისპირდებოდა კიდეც. გარემომცველი სამყარო კი ყოველთვის როდი იყო კეთილმეზობლური. იგი ხშირ შემთხვევაში იყო მტრული. ეს ყველაფერი პერიოდულად ძლიერდებოდა და სუსტდებოდა. ასე ყველა მიმართულებით დაქროდა ქართველთა ეროვნული ენერგია ნიაღვარივით მოვარდნილ მტერთან შესაგებებლად. ათასწლეულების ისტორიის მქონე უშიშრობით და დაუმორჩილებლობით განთქმული თავისუფლების მოყვარე ქართველი ერი, რომელმაც გაუძლო ევრაზიის უდიდესი იმპერიების შემოსევებს, მათი შეჯახების ეპიცენტრში მყოფი ინარჩუნებდა არა მარტო ენასა და კულტურას, არამედ რწმენას, გამორჩეულ ქართულ მეობას და სახეს, ამასთანავე კუთხურ მრავალფეროვნებასაც.

ქართველი ხალხის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებაში ვაზსა და ღვინოს ყოველთვის უდიდესი როლი ენიჭებოდა. საქართველოში ამ დარგის განვითარებას მდიდარი ისტორიული წარსული და სამომავლოდაც დიდი პერსპექტივები გააჩნია. ვაზი ერის სიმბოლოდ, წმინდა ხედ იყო აღიარებული, რის გამოც მეურნე კაცი ვაზზე შვილივით ზრუნავდა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ჩვენი ხალხი ვაზში თავის ვაჟკაცურ სულსაც ხედავდა, თავის ამაღლებულ, პატრიოტულ სულს. იქნებ ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ მევენახეობას და მეღვინეობას იგივე ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკაში, რაც ქრისტიანულ რელიგიას იდეოლოგიაში. ალბათ ამიტომაც ინება უფალმა სწორედ ვაზით ქებული საქართველო განეწესებინა ღვთისმშობლის წილხვდომ ქვეყნად. ეს გარემოება კარგად იცოდნენ საქართველოს მტრებმა და შემოსევის დროს ქართველი ერის თავგანწირული წინააღმდეგობისა და ქედმოუხრელი სულისკვეთების დასაძლევად, მათ არა ერთხელ სწორედ ეს სამეურნეო დარგი გაუნადგურებიათ, იცოდნენ რა, რომ ქართველი კაცის ძლიერება ვაზიდან იწყებოდა. მოძალებული მტრებისათვის ვაზის მოსპობა რწმენისა და თვით ჩვენი ხალხის მოსპობასაც ნიშნავდა. ეს ძველი, "ნაცადი საშუალება" იყო მუსლიმანური ქვეყნების სტრატეგიისა, რამეთუ მტერმა "ფეხი ვერ მოიკიდოს" და "საზრდელი" ვერ იშოვნოს გაუკაცრიელებულ და ნაცარტუტად ქცეულ მიწაზე. მაგრამ ქართული ხასიათი ვაზის ფესვივით მშობლიურ ნიადაგში ღრმად განტოტვილი აღმოჩნდა. ვაზი ყველგან ხარობს, მაგრამ როგორი ხაზგასმით არის გამორჩეული იგი ქართველი კაცის მიერ. აქაც გათანაბრებულია მისი არსებობა ვაზის არსებობასთან. სადამდეა აზიდული ვაზის მნიშვნელობა მისგან! რა ღვთაებრივი დანიშნულებაა მასში წაკითხული. ვაზის ერთი უმთავრესი ნიშანი სიმკვიდრე და გამძლეობაა, მიწაში ღრმად ჩატანილი ფესვებია,

ბიბლიური ასაკის ბუნებაა ნიშატივით აღბეჭდილი, მარადიულობად განცდილი ფუძის ერთგულებაა.

ქართველი კაცი შეიძლება შეგუებოდა გაპარტახებულ სოფლებს, ციხეთა ნანგრევებს, ვაზსა და ღვინოს კი ვერ დათმობდა, რომელიც დედის რძესავით იყო შესისხლხორცებული მასთან. იჩეხებოდა ვაზი, მაგრამ ტყვეობას გადარჩენილი, მტერს გახიზნული ქართველი კაცი ხანმოკლე მშვიდობის დამყარების შემდეგ ისევ თავის მიწაწყალს უბრუნდებოდა, ნავენახარზე მერამდენედ ახალ ვაზს აშენებდა, ფენიქსივით ფეხზე დგებოდა, ისევ ყვავილობდა სამამულე რქა ახლად მომძლავრებულ ზვრებში. ადრეულ პერიოდში აუცილებელ წესადაც კი იყო მიჩნეული, სანამ ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას მოიკითხავდა სტუმარი პირველად კითხულობდა «ვაზს ხომ არაფერი გასჭირვებია»-ო. ასე გაუძლო მრავალ ჭირნანახმა ქართულმა ვაზმა საუკუნეებს და დღემდე მოატანა, ამით თავისთავად ქართული მიწის და ქართველი კაცის უკვდავება გამოხატა.

-ვაზს რომ შეება მომხდური, გაჩეხა, ცრემლი ადინა,
მაგრამ ფესვი ვერ მოუსპო, ვერ ამოთხარა ადვილად.
ვაზმა კვლავ გაიშრიალა, ვით ქართველ დედის მანდილმა
და ვაზის ძალა გაიგო ჩვენთან მომხტარმა ნადირმა,
მიხვდა, რომ საქართველოსა, ვერ დაიპყრობდა ადვილად

ხალხური

* * *

_საქართველოს ისტორია მოდიოდა ქალამნებით
აკაფული ვენახებით, დამსხვრეული გალავნებით.
საქართველოს ისტორია სულს ითქვამდა სასწაულით,
სიმღერებით, ჩუქურთმებით ქვაზე დამყნილ გაზაფხულით.

კ. ნადირაძე

სპარსელი ისტორიკოსის შერეფეტდინის გადმოცემით 1399 წელს საქართველოზე შემოსევისას თემურ-ლენგმა, ამ «შავი სიკვდილის კოჭლმა მოციქულმა» გადაწყვიტა ქართველების ეკონომიკურად დამორჩილება, რისთვისაც მას ქართველების ჭამა-სმის წესისთვისაც - კი მიუქცევია ყურადღება: «ამ ქვეყნის კაცი თუ ქალი, თვით ბავშვებიც კი უღვინოდ და უხილ-მწვანილოდ პურს არ სჭამდნენ და ცხოვრების სიამოვნებას ვერ გრძნობენო». ქართველებისათვის ეს საშუალება და სიამოვნება მოესპო, მან თავის ლაშქარს უბრძანა, რომ ყველგან ვენახები და ბაღ-ბოსტნები გაეკაფათ და გაენადგურებინათ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. მაგრამ ქართველი კაცი დანგრეულ

და გაპარტახებულ ეზო-კარს ისევ აშენებდა და აახლებდა. ასე მაგალითად: თემურ-ლენგისაგან აოხრებული სახლ-კარის შესახებ ავგაროზ ბარდაისძის შვილი გრიგოლი მოგვითხრობს: «მტრისაგან გადაბუგული ხუთი სახლი, რომ განვაახლე, შემდეგ ავაგე მარანი და ჩავდგი რამოდენიმე ქვევრიო». დიახ! აშენებდა.... ერთი ხელის მოსმით დანგრეულს და დანაცრებულს, ვინ იცის მომავალში დასანგრევს და დასაწვავს აშენებდა! მაშინ, როდესაც აშენებას ამდენი დრო, ენერგია, იარაღი და მასალა ჭირდებოდა. მაინც აშენებდა, არაფრად უღირდა განსხვავება დანგრევის წამსა და აღშენების წლებს შორის რომ ივარაუდებოდა. ერთ წამში დასანგრევს წლობით აშენებდა. მაგრამ ნურას უკაცრავად! იმ წლობით შენებაში უფრო გამძაფრებული რიტმი და ვნება იკითხებოდა, ვიდრე უმოკლეს ჟამში ნგრევა და დაწვა გულისხმობს.

_ თემურ შენ იყავ შეშლილი ხარი,
შენს ნაძოვარზე ბალახიც გახმა.
იმდენი ჩეხე, იმდენი თხარე,
რომ ყველა მხარე მოიცვა თალხმა.
შენ მთელი ქვეყნის მპყრობელი გახდი,
ხალხები სისხლის ზღვებს რომ შერიე.
მოსპე, დაამხე მრავალი ტახტი,
ოღონდ ქართულ ვაზს ვერ მოერიე. . .

გ. აბაშიძე

- ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო:

ახმეტას ჩავჭრით ვენახსა, შიგ დავასახლებთ ელსაო.

ხალხური

* * *

-გულს მომეკიდა რაღაც ზმანება, ნეტავ მეორედ არამც მენახოს,
ისევ აგჩეხეს მომხდურთ დანებმა ჩაღმა ჩაყრილო ჩემო ვენახო,
ქვევრებს ყელები შემოამტვრიეს, მწყურვალედ დარჩა ჩემი ხელადა,
და გულში ბოღმა ვეღარ დავტიე, რისხვად გავიჭერ მტრის წინ ხელადა.

მ. ვარშანიძე

მეტად შთამბეჭდავი «მრავალჟამიერის» სიტყვები - «არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, არც არას გაუხარნია», ვაზის ძირიდან (ფესვებიდან) ამოძახილს გვაგონებს.

მნახველის აღტაცებას დღესაც იწვევს ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ნანგრევებზე თუ ჩვენი ისტორიული ტაძრების: სვეტიცხოვლის, სამთავისის, იყალთოს, ალავერდის, გელათის, ზარზმის, ვარძიის, ნიკორწმინდის და სხვათა ზვიადად აღმართულ კედლებზე გამოხატული ვაზის ყლორტები.

ისტორიული წყაროებით და გამოკვლევებით დადგენილია, რომ ვაზის სამშობლო საქართველოა. საქართველოში მოპოვებული მასალები ყველაზე ადრეული ენეოლითური პერიოდისაა. იგი ძველი წელთაღრიცხვით VII - VI ათასწლეულითაა დათარიღებული, რაც შულავერის, გიორგი წმინდას და სოხუმის არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილი ვაზის წიპწებითაა დადასტურებული. ძველისძველია აგრეთვე ღვინისთვის განკუთვნილი თიხის ჭურჭლებიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. ჭიქაი და სხვაი საღვინე ჭურჭელი მოხსენებულია «ხელმწიფის კარის გარიგებაში». ჭიქა, როგორც საღვინე ჭურჭელი, იხსენიება «ვეფხისტყაოსანშიც» - «თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა», «კვლა შესვეს და კვლა აივსეს სხვა ფარჩი და სხვა ჭიქანი».

მცხეთის სამარხებში აღმოჩენილია სხვადასხვა სახის ვერცხლის ჭურჭელი ვაზის ფოთლებისა და ყურძნის გამოსახულებით, რომლებიც ამშვენებდნენ ქართველთა მეფეების, სარდლების, ერისთავთ-ერისთავთა, საეკლესიო მსახურთა, ერის კაცთა და სხვათა ნადიმებსა თუ სუფრებს.

_... ია გუნდისა ჯამები იყვის ლალისა ჭიქები,
კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები,
შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა თლილისა,
მსმელთათვის წყარო ღვინისა ასგანდის, მსგავსი მილისა,
ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა ჟამი დილისა...
რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი ერთისა თვისანი,
თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა გაყრანი სმისანი...
შოთა

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს თითქმის არცერთ მევენახეობის რეგიონში არ მოიპოვება ვაზის ისეთი მდიდარი აბორიგენული ასორტიმენტი, რამდენიც საქართველოში. მათი რაოდენობა 500-ზე მეტია. ქართული ვაზის სამოცდაათამდე ჯიში დღესაც მოჰყავთ ევროპაში, თუმცა საუკუნეების მანძილზე გაცილებით მეტი რაოდენობის ქართული ვაზის ჯიში იყო გავრცელებული ევროპაში და არა მარტო ევროპაში. ქართული ვაზის ღვინოს აყენებდნენ არაბულ ქვეყნებშიც, აფრიკასა და ავსტრალიაშიც კი. სხვათა შორის, ქართველი კაცის განსაკუთრებული სიყვარული ვაზისადმი იქიდანაც ჩანს, რომ ხშირად უცხოეთში გადახვეწილებს თან ქართული ვაზიც მიქონდათ. სპარსეთში ვაზის გატანა შეიძლება არც იყოს გასაკვირი, რადგან იქ სათანადო პირობებიცაა ვაზის მოსაშენებლად. გაკვირვებას იწვევს გასული საუკუნის

30-იანი წლების რეპრესიების დროს ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში გადახვეწილ ქართველთა მიერ უძნელეს და არასათანდო პირობებში ქართული ვაზის გატანა და იქ გახარება. ეს ფაქტი მართლაც და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ქართველი ადამიანი ვაზთანაა თანშეზრდილი და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

ვაზი და ღვინო ღვთის მიერ პრივილეგირებულად მოიაზრება, ვაზი — როგორც წმინდა მცენარე, ღვინო კი – წმინდა სასმელი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი წმინდა ნინოს თავის წილხვედრ მიწაზე საქადაგებლად რომ გზავნიდა, “მიჰყო ხელი... რტოსა მას ვენახისასა, მოჰკვეთა, შექმნა ჯვრის სახედ” და ქალწულს გადასცა – ამ ჯვრით უნდა გაექრისტიანებინა მას საქართველო. დიდი სასოებით მიიღო მოციქულთა სწორმა ვაზის

ჯვარი და ნიშნად აღთქმისა, რომ ღირსეულად აღასრულებდა კურთხევას, მოიკვეცა თმა და რტოები შეკრა. ჩამობრძანდა საქართველოში და როგორც მემატიანე გვამცნობს, მაყვლოვანს თავშეფარებული წმინდა ნინო "ნასხლევისა ჯვარითა იქმოდა სასწაულთა საკვირველთა" და ყოველგვარი სნეულებით შეპყრობილთ კურნავდა. დიახ, ქართველი ხალხი ხომ წმინდა ნინოს მიერ შემოტანილი ვაზის ნასხლავისაგან შეკრული ჯვრით ეზიარა ქრისტიანობას, რაც კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი შემთხვევაა: – "შევიდა მას შჲნა დაასჴუენა ჯუარი, რომელი გამოეკუთნა ნასხავისაგან და იმყოფებოდა მას შინა ლოცვითა და ვედრებითა ღვთისათა" *(ქართლის ცხოვრება).*

გრიგოლ რობაქიძე "გველის პერანგში" ერთ-ერთ პერსონაჟს ათქმევინებს: "...ქალწული ჯვარს ვაზის ნასხლევისგან გამოსჭრის. სხვების ჯვარი: ან ქვისა, ან რკინის, ან უბრალო ხისაა, აქ კი! ჯვარი ვაზისა. ვაზი ხომ სახეა მიწის – ნიადაგის – სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი წამების და დასჯის ნიშანია. ჩვენში ჯვარი ლხინია თვითონ. მაგრამ მოითმინეთ... ეს კიდევ არაფერი. ქალწული ვაზის ნასხლავს თავის თმით შეჰკრავს. თითქოს ჭრილობა შეუხვია ნასხლავს, რომელიც იცრემლება. ჯვარი – ქალის თმით შეკრული. მაჩვენეთ სხვა სახე უფრო მწველი და უფრო ლამაზი! ჯვარი ვაზის ნასხლავისგან გამოჭრილი. ჯვარი – ქალის თმით. ქალის თმა ხომ სახეა ქალობის, ქალწულობის, დედობისა... არა, სხვისი ჯვარი ბერწია, ჩვენი კი ნოყიერი და ნაყოფიერია..."

_ ვაზო შვილივით ნაზარდო, მოვკვდები მე შენს ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი იმედო გასაჭირშია...
_ მიგრეხილო – მოგრეხილო, ზედ მიკრულო მაგრად ხეო,
ცოცხალი ვარ, შენ მაცხოვრე, მოვკვდები, - შენ დამმარხეო.

ხალხური

საქართველოში ვაზის ჯიშები საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, ყალიბდებოდა და თავშესაფარს პოულობდა ცალკეულ მიკროუბანში, ეკოლოგიური პირობების გათვალის-წინებით. ასეთებია: კახეთი, ქართლი, იმერეთი, მესხეთ-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი. სწორედ ამ კუთხეების ჰავა და ნიადაგია ხელსაყრელი და მისაღები აღნიშნული კულტურის მოყვანა-გაშენებისათვის.

მევენახე თავისი საქმიანობით შემოქმედია. დიდი ქართველი მეცნიერი და მკვლევარი ივანე ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ - "მევენახეობა ძველ საქართველოში უაღრესად განვითარებული ყოფილა, რადგან ისეთი მაღალხა-რისხოვანი ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორც-რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ალექსანდროული, მუჯურეთული, ციცქა, ცოლიკაური, ოჯალეში, ჩხავერი და სხვა

ჯიშებია, ქართველ მევენახეებს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმაშეწონილი და მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლოთ".

– ქართლ-კახეთი ლეგენდაა, იმერეთი – ზღაპარი,
სამეგრელო ოცნებაა – გაფრენილი ფაფარი,
გურია კი სიმღერაა, ხოლო რაჭა – სიზმარი,
ყველა ერთად ვენახია, ჩვენი დასაფიცარი. . .

შ. ნიშნიანიძე

მევენახეობა – მეღვინეობის განვითარების მაღალ დონეს გვიდასტურებს მითი კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის შესახებ. კოლხეთში შემოსული არგონავტები მოიხიბლნენ მეფე აიეტის ვაზებში ჩაფლული სასახლით, რომლის ძირში რძის, ღვინის და სურნელოვანი ზეთის შადრევნები მოჩუხჩუხებდა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა პერიოდს მოიცავს ვაზისა და ღვინის არსებობა საქართველოში, იმ დროს, როდესაც მეფე აიეტისა და მისი ქალიშვილის მედეას ეპოქა 300 წლით წინ უსწრებდა ესკულაპის ეპოქას და 1000 წლით უძველესია ჰიპოკრატეს ეპოქასთან შედარებით, ხოლო ძველი შუმერული ლეგენდა ღვინის პირველი აღმოჩენის შესახებ ასე გადმოსცემს: "ვაზის ნაყოფი აქციეს წვენად, დაადუღეს და გამოცდის მიზნით პირველად ვიღაც ტუსაღს დაალევინეს. ტუსაღმა მესამე დალევის შემდეგ დაიძინა და როდესაც გამოეღვიძა აღფრთოვანებულმა თქვა – ეს იყო სითხე, რომელსაც სიამოვნებით კიდევ დავლევდიო, მან ჩემს სხეულს სასიამოვნო შეგრძნებები მოჰგვარაო." ვაზი და ღვინო ქართული მიწის განუყოფელი ნაწილი იყო ჯერ კიდევ შორეულ საუკუნეებში და ქართველი გლეხკაცის წელღონიერობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

- ვაზო, ლამაზო, ფესვო ნაკურთხო,
ვაზო, ქართველი კაცის დიდებავ,
ფერით ზურმუხტო, ბარაქით უხვო,
შენით სამშობლო ხარობს, ირთვება,

ნაზო ქალწულო, დალალდაწნულო,
ვაზო, შენს გამო არ ვართ მოცლილი. . .
შემოდგომაზე, გვითხარ, ასულო,
რთველი არის თუ შენი ქორწილი?!

ოჯახს დოვლათად დაებედები,
ყველა დაგხარის, თავზე გევლება.
ნერგო კეთილო ქართულ ედემის,
გუნდი ვარსკვალავთა გშვენის მტევნებად.

ვაზო, მცხეთაში ჯვარად შეკრულო,
ლერწო, ქალწულის თმებით გამთბარო,

შენით ჩუქურთმა არის შემკული
წრომს თუ გუდარეხს, გარეჯს, სამთავროს . . .

ვაზო, ვართ შენით წელგამართული,
ლხინში ამაყად თასი გვიპყრია.
ვით არ დალოცონ ვაზი ქართული
იქ, სადაც ღვინის ქებას იტყვიან.

მინდორზე, სერზე თუ მთის კალთაზე –
ყველგან სიცოცხლის შუქად შრიალებ,
წყაროვ დოვლათის, ლხინის სათავევ,
მზით ავსებ გულებს, როგორც ფიალებს.

ნაზო ქალწულო, დალალდაწნულო,
ვაზო, შენს გამო არ ვართ მოცლილი.
შემოდგომაზე, გვითხარ, ასულო,
რთველი არის თუ შენი ქორწილი?. . .

ი.ნონეშვილი

უამრავი ქართული ნაწარმოებია შექმნილი პროზისა და პოეზიის სახით ვაზსა და ღვინოზე. ვაზსა და ღვინოს ეძღვნება სხვადასხვა ხალხური გამონათქვამები, ლექსები, ანდაზები, შარადები. მრავალი მხატვრის შთაგონების წყაროდ ქცეულა ვაზი და ღვინო. ვაზისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა გამოხატული კინოფილმ «ჯარისკაცის მამაში» და კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე რომანში "ვაზის ყვავილობა", ხოლო XII საუკუნეში შექმნილი საგალობელი "შენ ხარ ვენახი" ქართველი კაცის სულიერების უბრწყინვალეს საგანძურს წარმოადგენს. «მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი - «მევენახე» (იოანე 15-1), ხოლო ნაყოფი ვაზის... «არის ჩემი სისხლი აღთქმისა მრავალთათვის რომ იღვრება ცოდვების მისატევებლად» (მათე 26-28).

– რაა, ზეცის უგვირგვინოდ თუნდ ყვარელის მთები?
უვაზოდ და უპურღვინოდ რაა კაცის ბედი?
ვაზი არის მზე ლხინისა, ჭირშიც გამძლე ფარი.
ხმალს წააგავს-რქა ჯიხვისა, კახურ ქუდს კი – ჯამი.
და ვაზივით მადლიანი კახეთის მზე ხარობს.
მარნებიდან მოთქრიალებს უკვდავების წყარო.

ო. მამფორია

იმდენად სისხლხორცეული და განუყოფელი იყო ქართველი კაცის და ვაზის ურთიერთობა, რომ ქიზიყში ვაზს პატარძალსაც კი ადარებდნენ. ის ვაზისადმი

მიძღვნილ სიმღერაში ასე გამოითქმება: "გაგფურჩნო, გაგალამაზო, როგორც რო პატარძალია." სამშობლოდან შორს მყოფი კ. გამსახურდია ასე ამბობს: "შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, მე შენი ლერწი, მშობლიურ მიწის სინოყივრეს მონატრებული".

_ მდუმარ ქვაში ვაზი სუნთქავს მკერდგაშლილი,
ვაზია თუ საქართველოს აღტაცება!
ამ მიწაზე მისი ტრფობით მარად ვივლი
და ეს გულიც სიყვარულში არ დაცხრება.

ვაზს, ჩუქურთმად ქვის ცივ მკერდზე ამოყვანილს –
დასჭირდება? – შევუდგები ხსნად და ჭიგოდ;
ვუფრთხილდები უკვდავების მწვანე ყვავილს
და მსურს ახლა დროს ვაზივით შევეჭიდო.

ვინ ჩატვიფრა უხსოვარ დროს ქვაში ვაზი,
ამოჭრა და... გულიც მასში ჩააკერა,-
იქნებ მაშინ, როცა ვნება შაჰ-აბაზის
მოილტვოდა – დაენაცრა ვაზის კერა.

ვაზს ცივ ქვაში ვინ აღირსა უკვდავება,
მტრის წადილი ერთხელ კიდევ ვინ დალახვრა!
მე ჩუქურთმას ვხედავ სიკვდილუკარებას
და ფიქრები იმ წარსულზე ყველგან მახლავს.

ვერა, ვერა! ვერ დაგვიფშვნეს ქართლის ლიბო!
ჩვენს ციხეებს ვერ მოშალეს ჩუქურთმები,
ვაზის ცრემლი პურის ყუას ახლაც მილბობს,
დაშრიალებს ვაზი, როგორც ნინოს თმები.

და მე ვლოცავ და ვაღმერთებ, ვინაც მაშინ
ჩუქურთმაში მარადისი შუქი ნახა,
ვინაც ბლაგვი საჭრეთელით მდუმარ ქვაში
ვაზი, როგორც უკვდავება გამოსახა!

დ. ივარდავა

* * *

_ ვაზის ფესვებს გაუმარჯოს, მტევნის ოქროს ვარაყებს.
თუ დაგჭირდა დაგათრობს და ღმერთთან გალაპარაკებს

ხალხური

ჩვენი შესანიშნავი პოეტი გიორგი ლეონიძე ასე ამბობს მშობლიურ დედაზე: – ისევ იქა დგას ჩემი მშობელი დედა ვაზებით გარმოდგმული. ხოლო თავის განუმეორებელ ნაწარმოებს "ნატვრის ხეს" – ვაზფურცელას უძახის.

- ყანა კახური, ათქვირებული, და ყამირები ყარაიისა

ვაზი - თორმეტი ფურის ნაწველი, დასხმული ოქროს ბარძიმივითა,

მხარე ვაზებში გამოხვეული... იქ ფერფლი ჰყრია ჩემი ყრმობისა.

- ძველ ტაძარში სარკმელიდან ჩაპარულა ვაზის რტო,
ტრაპეზს შემოხვევია ქარვისფერი აკიდო.
ამოსვლა რომ მოუნდება, უკან ვიღამ აზიდოს?
ეი, ჰეი, მთვრალოია, უგუნურო ვაზის რტო!

გ. ლეონიძე

პოეტი იოსებ ნონეშვილი ასე მიმართავს: – ზღვასავით მომდგარი კარს ვენახი, ზვრებში ჩაკარგული გზები... _ აქ გასათხოვარი ასულივით სართვლოდ ამზადებენ ვაზებს... _ ზვრები ისე ბიბინებენ ლურჯად, ვაზი მერქანს ისე შემოერტყა.

_ ღმერთმა დაგლოცოთ ჩვენითა, რითაც სიკეთეს ველითა,
რომ გავიხაროთ ყველამა ბარაქიანი რთველითა.

მ. კერესელიძე

* * *

_ ქართველი პოეტები ვაზში მეტ სიმბოლოებს გამოარჩევენ, ვიდრე ლხინია და დოვლათი. ვაზისა და ღვინის კულტი გაცნობიერებულია, როგორც თავისუფალი ნებით ნებისმიერ ჩარჩოებთან შეუგუებლობის მებრძოლი და დაუმორჩილებელი სულის ცნება. ამგვარი გაგება აისახა პოეტურ აზროვნებაშიც და ჰპოვა კიდეც თავისი სახოტბო ფორმა. ქართულ პოეზიაში მას ოდები ეძღვნება. იგი იქცა არა მარტო შემოქმედთა თემად, არამედ თვით შემოქმედთაც გაუტოლდა. ვაზია ჩვენი ბიბლია და ჩვენი ანბანიც, ქართველმა კაცმა გალობაც კი ვაზს მიამგვანა. დიახ, ვაზია ლხინის ღმერთი, ლხინის უფალი, ჭირნახულის თუ ჭირ-ვარამის ჭირისუფალი.

შ. ნიშნიანიძე

* * *

_... ვინმეს უნდა უსამართლო, ძალადობის შეგუება?
ან რა არი როცა ვაზი თანაშემწედ გეგულება?

ვაზმაც იცის ქართველივით, თავდადება, ერთგულება!

შ. ხოდაშნელი

* * *

-...იქნებ ვაზია სამშობლო? აბა დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია – ცაში ხელაპყრობილმა, ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი ისე არაფერს არ უხდება, როგორც სამშობლოს. .

ნ. დუმბაძე

* * *

-...შენ სიყვარული გქვია, ჭირნახული გქვია, შემოდგომის სიუხვეში აფეთქებული მტევნის სიკეთე გქვია.

შენ სინათლის ღერო ხარ, ჩვენი ლოცვა-კურთხევა, სათნო, ძლიერი და შეუპოვარი, როგორც სიყვარული – ნაზი, მამაცი და გონიერი – როგორც სიბრძნე...

... «პატიოსან და წმინდა არს სახელი შენი, სანატრელო!» ვაზი გქვია შენ! სიხარული ცისა და მიწისა... შენ ხარ შვება და მოლხენა ჩვენი...

«შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული... და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული! «

ოდა ვაზისა

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვაზის წალამზე (ლერწი) შემწვარი მწვადი განსაკუთრებული გემური თვისებებით გამოირჩევა და მისი ნამწვით გამოყოფილი ბოლი ცრემლის დენას არ იწვევს.

_ მკერდათქვირებულ ვაზებზე თუ მკრეფავთა ხელში, საწნახელებსა თუ ფოლადის საწურავ ხვიმირებში ოქროს მტევნები ნაკვერცხლებივით ღუიან. ძოწეულის მარცვლებში მზის თვალი ბრწყინავს, მზე იცინის და როცა მარგალიტების ამ საოცნებო სამეფოს ადევნებ თვალს, არ შეიძლება აღტაცებით არ წამოიძახო: - დედაო მიწავ, შენს მკერდზე აღზრდილ სხვა რომელ ხილში, რომელ ნაყოფში იცინის მზე ასე ხმამაღლა, ასე მეფურად! და მე, უზენაესმა რომ ნება მომცეს, ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანაში, ყველა ენაზე ყურძენს მხოლოდ ერთ სახელს _ "მზის სიცილს" შევარქმევდი.

გ. ბოგველიშვილი





1591 წელს გერმანიაში დამზადებული 134 ათ. ლიტრიანი ღვინის კასრი.

ვაზი და მისი პროდუქტი კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწილია. ჯერ კიდევ ძველი რომის კეისრობის ხანიდან მოყოლებული სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო მომგებიან და შემოსავლიან დარგად მევენახეობა-მეღვინეობა ითვლებოდა. ქართულ სინამდვილეშიც მეღვინეობა ეროვნული სიმდიდრის სიმბოლოდაა მიჩნეული და ქართველი კაცის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. უღვინოდ ხომ გლეხი კაცი ვერ შრომობდა: ღვინო იყო ძალის, სიხალისის და სიხარულის მომნიჭებელი. პურ-ღვინო ქართველი კაცის ჭირიცაა და ლხინიც, მისი თანამგზავრიცა და კაცობის გვირგვინიც. მემატიანეს თქმით: «და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი». მაღალხარისხოვანი ღვინის შესახებ თეიმურაზ მეფე ასე გადმოსცემს: «ვაშლზედა ვსვემდით გავაზურს, ხვრეპა არ იყო დოსიო». ლია ანდღულაძის თქმით: «ღვინო _ სისხლის პოეზიაა, რომელიც გულწრფელობის და სიყვარულის საჯაროდ გამჟღავნების წყაროს წარმოადგენს. მას მეტად მაღალ ხარისხში აჰყავს ყველა ადამიანური თვისება. ღვინო და ქალები, რა აქვთ საერთო? - ორივე მათრობელაა».

_ მიყვარს ვენახი ხევანი, ხშირი სმა, ხილის ძლევანი.

ყურძნისა მწიფე ტევანი, ტკბილის ხმა, ღვინის ლევანი."

ხალხური

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა ღვინოს საერო ყოფაში. შუა საუკუნეებში ყოველდღიური პურობის გარდა, სარაინდო, სანადიმო-მოსალხენი ტრაპეზის მშვენებას სწორედ ღვინო წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ სათავადო საერისთავოებში და თვით მეფის კარზეც, ერთ-ერთი საპატიო წოდება – მეღვინეთუხუცესობა გახლდათ.

ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის თქმით: – "მეღვინეთუხუცესი პირველად თამარ მეფის დროინდელი ისტორიკოსის თხზულებაშია მოხსენებული, თუმცა ის ადრეულ მასალებშიც გვხვდება. მეღვინეთუხუცესი ეს გარკვეულ თანამდებობას წარმოადგენდა, რომელიც მეღვინეთა უფროსი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. მეღვინეთუხუცესს ექვემდებარებოდა აგრეთვე განსაკუთრებული დაწესებულება – საღვინე მარანი მთელი თავისი მოხელეებითურთ."

წმინდა და საკრალურ ადგილად ითვლებოდა ქართველებისათვის მარანი. მარანი ანუ საღვინე სახლი საქართველოში ორი ტიპისაა – ღია და დახურული. მარანს, როგორც საკულტო (ზედაშე ჩადგმული ქვევრი, სადაც შესაწირავი ღვინო ინახებოდა), ასევე, სამეურნეო დანიშნულება გააჩნდა. იყო შემთხვევები, როდესაც მარანს ნეფე-დედოფლის (სიძე-პატარძალი) დასალოცად იყენებდნენ. შესაბამისად შესაწირავ ღვინოს ქართლ-კახეთში – ზედაშე ღვინოს ეძახდნენ; იმერეთში და რაჭაში – სალოცავს; სამეგრელოში – ოხვამერს (სალოცავს) უწოდებენ; საინგილოში – დადაშს. შეთქმული შინაარსის მიხედვით მას სხვადასხვა დანიშნულება ქონდა.

ღვინის სახელის წარმოშობის შესახებ ცნობილი ფილოსო-ფოსი შალვა ნუცუბიძე, ენათმეცნიერი აკადემიკოსი გიორგი წე-რეთელი და ივანე ჯავახიშვილი თვლიან, რომ

პირველად მსოფლიოში სიტყვა "ღვინო" ქართველთაგან არის გავრცელებული. ლონდონის ღვინის საზოგადოება "ვინოპოლის"-ის საპატიო პრეზიდენტი ბატონი ჰიუ ჯონსონი თავის წიგნში ამბობს: "ბიბლია გადმოსცემს, რომ კავკასიის ტერიტორია ღვინის სამშობლოა... და ქართველები, რომელთა უნიკალური ენა ბერძნულ ენაზე ბევრად უფრო ძველია, რაც ადასტურებს იმას, რომ ქართული სიტყვა – ღვინოდან მოდის ღვინის ყველა სხვა დასახელებები და ამ სიტყვათა თამაშში ნებისმიერს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა." საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლონდონში დაფუძნებულ მუდმივმოქმედ ღვინის გამოფენა "ვინოპოლის"-ში პირველი სტენდი საქართველოს ერგო წილად, სახელწოდებით:-"ღვინის აკვანი", რაც უდაოდ მსოფლიო აღიარებად უნდა ჩაითვალოს. ფრანგი მოღვაწის, მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტის ბარონ ლე რუას აზრით - «დედამიწაზე თუკი არსებობს რეგიონი, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა განვითარებულია უძველესი დროიდან - ეს საქართველოა. აი, თურმე სად ყოფილა ვაზისა და ღვინის საუფლო!-კახეთი, ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ულამაზესი და უბრწყინვალესი მარგალიტი».

დღეისათვის გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არა აქვს ასეთი ფენომენი, რომ შემოდგომის იმ თვეს, როდესაც იკრიფება ყურძენი და ღვინო მზადდება, ერქვას ღვინობისთვე (ოქტომბერი). ყოველივე ეს დასაბუთება გახლავთ იმისა, რომ მეღვინეობა, თვით სახელწოდება "ღვინო" ქართული წარმოშობისაა.

ისტორიულად მაღალხარისხოვანი ქართული ღვინით მარაგდებოდა მეზობელი სახელმწიფოები. შაჰებისა და სულთანთა, ფაშა-ამირების დარბაზობა-წვეულებებს უმეტესად ქართული ღვინით ისტუმრებდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით შთამბეჭდავია უძველესი ლურსმნული წარწერა, რომელიც აღწერს ჟამს ასურიელთა სამეფოს დიდებისა და მათ მიერ მეზობელი ქვეყნების დაპყრობის შესახებ. აქვე აღნიშნულია, რომ ხარკს, რომელსაც ისინი დაპყრობილი ქვეყნებიდან მხოლოდ ოქროთი კრეფდნენ, საქართველოდან – ღვინით იღებდნენ. ქართული ღვინო, რომელიც უხსოვარი დროიდან ოქროდ ფასობდა, მოსვენებას უკარგავდა მტერს. ისიც ქვეყნის ეკონომიკის მოშლისა და ამოგდებისათვის, პირველ რიგში, ვენახსა და ვაზს ჩეხდა.

_ დავლიოთ ღვინო დავლიოთ, თორემ მოიგდებს ბრკესაო,
ვადღეგრძელებდეთ ცოცხლებსა, მოვიგონებდეთ მკვდრებსაო.
_ ღმერთმანი ბოდბისხეური ღვინო დადგება სქელია,
ისეთი ღვინო დადგება, წითელი, ლალის ფერია...
ველისციხის ღვინოები შავი არის და სქელია,
იმით დამთვრალი კაცები ტკბილსა ხმაზედა მღერიან.

ხალხური

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გამოფენილია მკლავგაშლილი, ამაყად მდგომი მამაკაცის ბრინჯაოს ფიგურა (სიმაღლით 18,7 სმ), რომელსაც მხარიღლივ სატევარი აქვს ჩამოკიდებული, მარჯვენა ხელში კი ყანწი

უჭირავს და, რაც მთავარია, აღგზნებულ მდგომარეობაშია. იგი აღმოჩენილია არქეოლოგ კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში გათხრილი უძველესი დროის წარმართული სამლოცველოს ტერიტორიაზე. მსგავსი ფიგურა რამდენიმეა აღმოჩენილი კახეთში, რომელიც თარიღდება ძვ. წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებით. მეცნიერი ზაურ ქოქრაშვილი უძველესი ქართული ხელნაწერების გამოკვლეული და მოძიებული მასალების საფუძველზე (თავის ნაშრომში «ქართული ფენომენი _ ღვინო და ღვინის ღვთაება ბადაგონი») ასკვნის, რომ ქრისტიანობამდე წარმართულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა მკაფიოდ გამოსახული საკულტო-სარიტუალო ბრინჯაოს მცირე ზომის ფალიკური სკულპტურები, რომლებიც ვაზისა და ღვინის მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა სახელწოდებით – "ბადაგონი". ძველი ბერძნული მევენახეობა - მეღვინეობის, მხიარულების და დროსტარების ღვთაება "დიონისე" იყო, რომელსაც რომაელები "ბახუსს" ან "ვაკხას" უწოდებნდნენ. დიონისეს საპატივცემულოდ იმართებოდა დღესასწაული - დიონისეობა, რაც ზოგჯერ ვაკხანალიაში გადადიოდა (ვაკხანალია ნიშნავს ველურ, აღვირახსნილ ღრეობას). საქართველოში როგორც ცნობილია მათი შესატყვისი ღვთაება "აგუნა", "ჯუჯელია", "ანგურა" იყო. კვლევებით და ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ ჩვენში «დიონისემდე» და «ბახუსამდე» დიდი ხნით ადრე არსებობდა ვაზისა და ღვინის ღვთაება –"ბადაგონი" (სურათი 14).

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, ფილოქსერის შემოჭრამდე, გურია-აჭარის ზონაში გავრცელებული იყო ვარდისფერყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიში «ბადაგი». ყურძნის ტკბილიც, ხომ ბადაგის სახელწოდებას ატარებს და ქართულ ენაში იგი სიტკბოს სინონიმად არის ქცეული, რასაც გიორგი ლეონიძის ლექსიც გვიმოწმებს:

_ შენი ტუჩები ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას.

ღვინო ეს როგორც უბადლო და ღვთაებრივი სასმელი თვით ეკლესია – მონასტრებშიც მოიხმარებოდა, რომლის გარეშეც არ ჩაივლიდა არც ერთი საეკლესიო დღესასწაული თუ რიტუალი. VIII საუკუნეში იოანე საბანისძე ასე გადმოსცემს: " ვდღესასწაულობდეთ ხსენებასა ახლისა ამის წმინდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხ ჩვენდა ქრისტემან მოგვანიჭაო"... ასე, რომ საეკლესიო ცხოვრებაში ღვინო უსისხლო მსხვერპლად ითვლება, ვინაიდან ის შეიწირება, წირვისათვის აუცილებელი კომპონენტია და ზიარების საიდუმლოს უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არაერთ შეგონებას ვხვდებით ზედმეტი სასმელის მიღების მავნებლობის შესახებ. მაგალითად პავლეს ეპისტოლეში ვკითხულობთ: ღვინო «წამალი არს მაკუდინებელი და დედა გულისთქმათა მათ ბოროტთა და აღმძვრელი მათი და უკანასკნელ თესლთა მისგან ბოროტისა ბოროტი მკა იქმნისა», ხოლო წმ. იოანე ოქროპირი ასე გვეუბნება: «ღვინო მისთვის მოგვეცა, რომ



ვიხაროთ და არა იმისათვის, რომ უმსგავსოდ მოვიქცეთ; ვიცინოთ და არა იმისათვის, რომ – დაგვცინონ; ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და არა სნეულების შესაძენად; სხეულის გასამაგრებლად და არა სულის მოსაუძლურებლად».

_ ღვინო შენ ჭაჭანაისძე, უცეცხლოდ ამასდუღდები,
ჭკვიანთაი ხარ სასმელი, უჭკოთა ამაშუღლდები.

ხალხური

სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართული ენის ლექსიკოგრაფიაში შეტანილი სახელები გვამცნობს ათეულობით ყურძნის ჯიშებს, ვაზისა და მისი ნაყოფის ანატომიას; სხვადასხვა სახის და ასორტიმენტის ღვინოებს, ღვინის დაავადებებს, ყურძნის ტკბილის პროდუქტებს.

საერთოდ ღვინის დაყენების რამდენიმე წესია ცნობილი: ღვინის დაყენება ჭაჭის გარეშე (ევროპული ტიპი), მთლიანად ჭაჭაზე დაყენებული (კახური ტიპი) და ნაწილობრივ მცირე რაოდენობის ჭაჭაზე დაყენებული (იმერული ტიპი). ღვინის პროდუქტების რამდენიმე ტრადიციული სინონიმური დასახელება არსებობს საქართველოში: კახური ზედაშე-საეკლესიო ღვინო; უწყლო, ურიოში – შუმი, არმუჯი. სუფთა (ნატურალური) ღვინის გარდა საქართველოში წყალნარევი ღვინოც უკეთებიათ ადრე და აკეთებენ ახლაც. ასე დაყენებულ ღვინოს (შუაღვინო) განსაკუთრებული სახელიც ჰქონდა – გუმურა, შალამურა, დგვიფი, ჟოქო, წყალყვინტილა, რომელსაც მხოლოდ შინაურული, სახარჯო დანიშნულება ჰქონდა (ეს ძირითადად დასავლეთ საქართველოში წარმოებდა); ახლად დაყენებულ (ბოლომდე დუღილ დაუმთავრებელ) ღვინოს უწოდებენ – მაჭარს; ჭაჭის მეორად ნაწურს – შამანის; შუშხუნა ღვინოს – ახტაშირას; ტკბილ ღვინოს_მახალას; საბავშვო ღვინოს _ ნუნუას; წმინდა ღვინოს – თავანკარას; დიდხანს შენახულს _ ძველ ღვინოს; სუსტ, უძალო ღვინოს_გალა ღვინოს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ღვინოზე ეპითეტების გახსენება და ჩამოთვლა: «კეთილი», «კეთილი და კარგი», «წარჩინებული», «თხელი», «საამო», «მშენი», «მსუბუქი», «გემოიანი», «შემრგო», «ქებული» - და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი სახელი შეურქმევია ქართველ კაცს.

ღვინო ბიოლოგიურად ცოცხალი ორგანიზმია: იბადება, მწიფდება, ღვინდება, ბერდება და კვდება. იგი მეტად ფაქიზი სითხეა და მას განსაკუთრებული მოვლა ჭირდება, რადგან გარემოდან იოლად ითვისებს ჰაერის საშუალებით უარყოფით სუნს და გემოს.

- ძმანო! სიცოცხლეს ნუ მოჰკლავთ ცდაში,
  სულ ამაოა ამ ქვეყანაში:
  ქვეყნის დიდებას, ქვეყნის სიმდიდრეს,
  რისთვისაც კაცი თავკისერს იმტვრევს,
  არ გავცვლი ტრფიალ ქალის კოცნაში,

და კახურ ღვინით ერთ სავსე ყანწში.

ილია

* * *

_კახური ღვინით აღვსილი აზარფეშაცა ხელ გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას….
_ და შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ლხინით შექცევით გულნი აღვიგზნე;
გულის ჭირთ მდევნო, ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინე. . .

გრ. ორბელიანი

* * *

_ დიდება ბახუსს, დიდება ამურს,
სისხლში გვისხამენ განცდებს საამურს.
ჭკუას გვიფიცხებს ღვინო ალური,
მზერამ ჩაჰფინა გულს სიყვარული.
შევსვათ ეს ჭიქა ... დღეს ჩემი თვალი
შენთვის ბრწყინვალებს, სილაღით მთვრალი.

ი.გრიშაშვილი

* * *

_ სახლო გამშვენებს ჭურჭელი, ჭურჭელო ღვინიანობა,
ქალო და რძალო სიტურფე, ერთურთში გემრიელობა.
_ ნეტავი თევზი მაჭამა, ქვემო ხანდაკის წყლისაო,
ზედ ღვინო დამალევინა, მუხრან ბატონის ზვრისაო. . .

ხალხური

საქართველოში ღვინის ზომიერად მიღება არასოდეს ყოფილა დაგმობილი. ტრადიციულად უღვინოდ არ აღინიშნებოდა ლხინსა თუ ჭირთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თარიღები, რომელიც ისტორიულად ყალიბდებოდა, თაობიდან-თაობას გადაეცემოდა და წეს-ჩვეულების სახეს იძენდა. იოანე ოქროპირი ასე მიმართავს მრევლს: _ ვინც იტყვის სავსებით ნუ დავლევთ ღვინოს, რადგან იგი სიმთვრალეს იწვევსო, მაშინ ბარემ "ნურცა არს რკინა, რამეთუ იქნებიან კაცისა კვლანი; ნუცა არს ღამე, რამეთუ იპარვენმპარავნი; ნუმცა არს დედაკაცი, რამეთუ იმრუშებენ მეძავნი." სულხან-

საბა კი ღვინის შესახებ ასე ამბობს: "ღმერთმა დაბადა ღვინო კაცთათვის სასმელად, საკურნებლად და ხორცთა სასიმრთელოდ და არა თუ სამთვრალოდ და გასაშმაგებლად." მეფე ვახტანგ VI ასე გადმოსცემს: "ცოტა ღვინო ზომიერი, ჭკუას კარგა გაასწორებს; ნამეტანი სახეს შეცვლის, მასცა შორად გააშორებს."

_ დასხდნენ სადილად ჩრდილთ ქვეშ გრილად,
მოყვნენ ლხინს წყნარად, ღვინის სმას წვრილად
გამართეს ლხინი ხმითა, შაირით,
გალობით, მღერით, ჩანგით, დაირით …..

დ. გურამიშვილი

* * *

_ რას კითხულობ? შენ ეს ღვინო დალიე,
სხვასაც სწყურის, ნუღარ დაახვალიე.
_ მარნეულის ღვინო მისვამს კულით მირაკრაკებია,
შენისთანა ბიჭ-ბუჭები, ბევრი მიკანკალებია.
_ ნუ მოუწყენთ მასპინძელსა, ღვინოს გვასმევს ლალისფერსა.
_ მარნის კარები იღება, ხელადა მიჭირავს ხელში,
გენაცვალე შაო ღვინოვ, რაკრაკი რო გაგდის ყელში.
_ ღობეზე ჩიტი შემოჯდა, იძახის, ნინო, ნინოო,
კარგი ოჯახის შვილებო, დამალევინეთ ღვინოო.

ხალხური

დღეს ფერის მიხედვით თეთრ, წითელ და ვარდისფერ ღვინოებს გამოყოფენ, სიტკბოს მიხედვით კი – მშრალს, საშუალოს (ნახევრად მშრალს, ნახევრად ტკბილს) და ტკბილს. ღვინის გემოს შესაგრძნობად აუცილებელია, სასმელი მთელ პირის ღრუს შეეხოს, სიტკბო კი ენის წვერით შეიგრძნობა. თუ ღვინოს შაქარი არ ეტყობა, იგი მშრალია, ღვინოს მომწკლარტო გემოს კი ტანინი აძლევს. თუ ღვინოში ბევრი მჟავაა, იგი მძაფრი ხდება, მჟავების ნაკლებობა კი სასმელს გაურკვეველ გემოს აძლევს. სუფრის ჩვეულებრივ ღვინოებს უბრალო ღვინოებად მიიჩნევენ, ისინი ნებისმიერ რეგიონში მოჰყავთ. მაღალი ხარისხის ღვინოებს კი ერთ გარკვეულ ადგილას გარკვეული ჯიშის ყურძნისგან წურავენ. ისინი ძალზე ძვირფასია; მათ განსაკუთრებული არომატი აქვთ (ა. ქურდაძე).

_ მეღვინეობა… მარჯვე ხალხის ხელში შეიძლება ერის
კეთილდღეობის დაუშრეტელ წყაროდ იქცეს.

ი. გოგებაშვილი

* * *

_ღვინომ ღვთისგან მოცემულმა, ყველას გზები მოუჭრა,
მკერდმოღეღილ ბროწეულებს ძოწის მძივი მოუჩანთ...
სიმინდს კაბა ისე მოსთრევს სუფრაზე თავს მოიჭრის,
მედლებიან ღვინის ბოთლებს სურა გასცქერს დოინჯით...
მოთმინება დამეკარგა, გადავკარ და ვიშარე,
გაზაფხულის ღამესა ჰგავს მუკუზანის სიშავე...

ჯ. ჩარკვიანი

* * *

_ვაჟკაცნო, მოდით, დავლიოთ, სჯობს რომე ღვინო დავძლიოთ,
ომამდე სისხლად იქცევა, მერმე ბრძოლაში დავთხიოთ...
აქიმო, თუ გაქვთ ქამალი,…სცადე ეს ჩემი ნასწავლი,
რაც სენი უკურნალ იყოს, ღვინოა მისი წამალი.

მაშ, მოდით, ისევ ღვინითა დრო გავატაროთ ლხინითა,
ქეიფი მაინც მიგვივა, გოგრითა ვსვათ თუ ჩინითა!...

ა. ჭავჭავაძე

* * *

_აკაციის ტევრი.....წნელის სუსტი ღობე…
ქუდმოხდილი ქვევრი…. ღვინიანი კოპე….
აქ - მზით დამწვარ ხელში ღვინიანი ჭიქა…..
იქ ცარიელ ქვევრში დამწყვდეული ჭინკა….
პაპის მონაცემი, მარად საოცნებო
კარ-მიდამო ჩემი, დამილოცეთ, ძმებო!

ა. კალანდაძე

* * *

_ზვრებს ზემოთ დიდი მარანი, დგას ყურძნის მთებში ჩაფლული.
მთელი კვირაა რქაწითელს ქვევრებში გააქვს ჩქაფუნი…
ჩასჩქეფს და აღარ ივსება, დევის ყბაა თუ ქვევრია?!
ბევრია დაუდუღარი, შარშანწინდელიც ბევრია.
დუღს, მაგრამ ცეცხლი სად არის, ვინ შეუკეთა ბუხარი?
ქვევრი გულსა ჰგავს კაცისას, - უცეცხლოდ ამომდუღარი.

ი.ნონეშვილი

ნათქვამია - წყალი ადამიანებს აშორებს, ღვინო კი აერთიანებსო. «ინ ვინო ვერიტას” – ღვინოშია ჭეშმარიტება, ყველაზე ჯანმრთელი დასახელებაა დასახელებებს შორის; და იგი ასე ეუბნება ყველას: “ჩემში ყველაზე მეტია მზე და თუ გინდათ ის თქვენშიც იყოს, იყავით ჩემთან ერთად”.

ათასწლეულებგამოვლილი ქართველი კაცი ჯამითა და ფიალით, დოქითა და ხელადით, ბადიითა და ფეშხუმით, კათხა-კულათი და ყარყარა-აზარფეშებით ამაყად სვამს იმ მიწისა და წინაპრის სადღეგრძელოს, რომელმაც რვა ათასი წლის წინ პირველმა მოაშინაურა ვაზი, დაწურა ყურძენი, დააყენა ღვინო, ირწმუნა სიკეთე, დაიდგა სალოცავი და შესწირა მას ყველაზე ძვირფასი – ღვინო. ღვინო, რომლის სახელიც მსოფლიოს მოსდო და შვა ქართული ცივილიზაცია.

ქართველ კაცს ღვინო თვითგამოხატვის, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა ყოველთვის. და, იგიც ბახუსნარევი ქართული ღვინით-სიკეთედ, რაინდობად, პოეზიად, სიმღერად, ცეკვად და ლაღ ხუმრობად იღვრება სუფრასთან თავმოყრილ მოყვასთა შორის.

_ მას შემდეგ, რაც კი მზე და მთვარე ცაზე ჰკიდია,
მადლი ღვინისა ამაქვეყნად დიდზე დიდია,
ისინი, ღვინოს გასაყიდად რომ იმეტებენ,
ვერ გამიგია, ღვინოზე კარგს რას იყიდიან...

ო. ხაიამი

* * *

_ ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით; შესვი? გაამოს!

ნ. ბარათაშვილი

* * *

_ დამისხი, დამალევინე, ეს ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალი!
ეგება გულის ვარამი ჩავკლა მაგ ჯიხვის რქაშია
თვალწინ დამიდგეს ლამაზი, ჟრჟოლა მამგვაროს ტანშია…

ვაჟა

* * *

_ როცა კაცი იბადება, მასაც ღვინით ლოცავენ,
მოკვდება და ისევ ღვინით აცილებენ, მოთქვამენ,
ღვინო, ღვინო, ღვინო, ღვინო ისმის მთად და ბარად,

უღვინოთა ეს ცხოვრება არ ივარგებს არაფრად.
რა სითხე ხარ ასე მძაფრი, თეთრო, შავო და ლალო,
ვინც გაიგო შენი მადლი მისთვის ხარ სამკურნალო.
ღვინით მთვრალი და ზედ ქალი-ეს სამოთხის მადლია,
აბა, ღვინოს თუ არ დალევ, ცხოვრებაში რა ყრია?

ო. რამიშვილი– პოეტი და მომღერალი

* * *

_ კაი სიტყვა – კაი მთქმელი, კაი ღვინო-კაი მსმელი.

ხალხური ანდაზა

* * *

_ მასპინძელო, ჩვენო ლხინო, მარნის კარი გიჭრიალებს,
მოგვიტანე კოკით ღვინო, ყელი ჩაგვიმაჭრიანე.
_ ღვინო კახურო, ვარ შენი მსმელი,
გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი.
ღვინოს შეჰხარის კაცი თუ ქალი,
ყველას ღვინისკენ უჭირავს თვალი.
შენა ხარ ჩემი შვება და ლხენა,
შენგან არ მახსოვს მისხალი წყენა.
_ მეუღლე ავი და ღვინო მჟავე – ღმერთმა გაშოროს
ერთად…ორთავე.
_ დროს კარგად ის გაატარებს და ჩაიტკბობს ყელსა,
ვინც ქალს ეტრფის ახალგაზრდას და ღვინოს სვამს
ძველსა.

ხალხური

* * *

_ დავლევ, დავლევ აბა რას ვიზამ,
მტრის ჯინაზე ვილოთავებ დღე და ღამე,
თავი, მე ცოცხალი რად მინდა
სიყვარულში ერთხელ თუ არ გამიმართლებს?!...

გული, გული ისევ ატირდა,
ამ ცხოვრებას ვერ გაუგო ვერაფერი,
ღვინო, რომ არ იყოს ამქვეყნად,
შავად მომეჩვენებოდა ყველაფერი

მ. ზაქარეიშვილი

* * *

_ ჩამოასხით ერთიც უნდა დავლიო,
ეს ცხოვრება ლხინში უნდა გავლიო,
ჩამოასხით სანამ ღვინო მწყურია
ეს ცხოვრება უფრო საამურია...

დოქის ტუჩი მირჩევნია ქალისას,
ეს ცხოვრება ღვინომ გაახალისა,
ყველა ბრძენზე მეტი ჭკუა ჰქონია,
ვისაც რომა ღვინო მოუგონია!

ქალაქური

ანტიკური ხანიდან მოყოლებული ღვინო და ღვინის პროდუქტი განიხილებოდა, როგორც წამალი. ჯერ კიდევ სულმნათი ჰიპოკრატე მიუთითებდა ღვინის რაციონალურ მიღებაზე. აღორძინების ხანის მკურნალები აგრძელებდნენ ღვინის მიღების ტრადიციას, და მას მიიჩნევდნენ საშუალებად, რომელიც აძლიერებს სასიყვარულო პოტენციას და მას ეძახდნენ "სიცოცხლის წყალს".

ცნობილია, რომ 1 ლიტრი ყურძნის წვენი თავისი კალორიულობით უტოლდება 1,5კგ ვაშლს და ატამს, 650გრ. ძროხის ხორცს და 1კგ თევზს. ენერგია, რომელსაც ადამიანი იღებს 1კგ. ყურძნის მოხმარებისას, 700-750 კკალორიის ტოლია. ეს კი ნიშნავს, რომ 4კგ ყურძენი ან 1კგ. ქიშმიში საკმარისია ერთი დღის განმავლობაში ადამიანისათვის ძალის მოსაკრეფად.

როგორც ცნობილია ადამიანი მინერალურ ნივთიერებებს ძირითადად საკვები პროდუქტებიდან ითვისებს. ერთ ლიტრ ღვინოს შეუძლია მათი დღე-ღამური მოთხოვნილების 75%-მდე დაკმაყოფილება. გერმანელი მეცნიერის ჰ. ეშნაუერის მონაცემებით, 100მ/ლ ღვინისა და ფარმაცევტული პრეპარატის ერთი აბის მინერალური შედგენილობა თითქმის ტოლფასია, რაც ღვინის თერაპიულ ღირსებაზე მიგვანიშნებს. XVIII საუკუნის დასაწყისში გერმანელი სწავლული სიდენგამი, ღვინოს, როგორც მინერალური ნივთიერებებით მასაზრდოებელ საშუალებას, სისხლნაკლულობისას დედათა და ბავშვთა სამკურნალოდ იყენებდა. ამ მიზნით იგი წითელ ღვინოებში 0.5-1მ/ლ-მდე რკინის ფხვნილის დამატებასაც კი ურჩევდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამჟამად ღვინით მკურნალობა წარმატებულად გამოიყენება უცხოეთის ბევრ ქვეყანაში: აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, სადაც ენოთერაპიის სახელითაა ცნობილი. არა ნაკლები სამკურნალო დანიშნულება ქონდა და აქვს ნატურალურ-სუფთა ღვინოს საქართველოში. ამის შესახებ აღწერილია არა ერთ უძველეს ხელნაწერებში და სამკურნალო კარაბადინებში. საქართველოში წარმოებული თეთრი ყურძნისგან დამზადებული მშრალი ღვინო შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, ექსტრაქტს, კალიუმს, გლიცერინს, ტანინს, მჟავებს და სხვა, რაც ზრდის

ორგანიზმის პოტენციალს და მრავალწლიანი დაკვირვებით დადგენილია მისი სამკურნალო თვისებები ჰიპერტონიული დაავადებების დროს. წითელი ღვინო გამოიყენება აგრეთვე ორგანიზმიდან რადიაციული ნივთიერების, კერძოდ სტრონციუმის გამოსადევნად. კახური ტიპის ღვინოებს აქვთ უაღრესად დიდი (საუკეთესო) თვისებები ანტიათეროსკლეროზული და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედების თვალსაზრისით. მკვლევართა, მედიკოსთა და მეცნიერთა აზრით ამ მხრივ კახური ტიპის ღვინოებს ჯერ-ჯერობით ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში.

_ აღმშენებელი მიწოდეს, სახეზე არის დასტური
ყველა ყურძენი _ ღვინოა, სასმელად მხოლოდ კახური

ი.კვინტრაძე

საქართველოში სტუმრობის დროს კახურმა ღვინომ აღტაცებაში მოიყვანა ალექსანდრე პუშკინი. პოეტმა "მშვენიერი კახური" მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებულ ფრანგულ (ბურგუნდიულ) ღვინოებს დაუყენა გვერდით. კახურ ღვინოს ქებითიხსენიებს გრიბოედოვიც. ქართული ღვინის მოტრფიალეთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ გამოჩენილი მწერალი, "სამი მუშკეტერი"-ს ავტორი ალექსანდრე დიუმა. მას საქართველოში ყოფნის დროს არა ერთხელ უგემია "საუცხოო კახური", იმერეთისა და გურიის ღვინოები. დიუმა ქართველებს დედამიწის ზურგზე პირველ მსმელებად თვლიდა – "ღმერთმა ქართველ მსმელებს კახური ღვინო მისცა, ესე იგი ის საუცხოო ღვინო, რომელიც არ ათრობს, ან უფრო სწორად, თავში არ უვარდება მსმელს." დიუმას საამაყოდ დარჩა, რომ თბილისში მის პატივსაცემად გამართულ ერთ წვეულებაზე ღვინის სმაში მასპინძლებს აჯობა.

თეირანში დიდი სამეულის (სტალინის, ჩერჩილის, რუზველტის) ერთ-ერთი სუფრის აღწერის შესახებ ბერეჟკოვი ასე გადმოსცემს: _"რუზველტმა მაღალი შეფასება მისცა ქართულ ღვინოებს და თქვა, კალიფორნიაში ახლახან დაიწყეს ღვინის წარმოება და მეღვინეობა აშშ-ს წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის სანაპიროზე სწრაფად ვითარდებაო. კარგი იქნებოდა, იქ გვეცადა ზოგიერთი ქართული ჯიშიო. სტალინმა მხარი დაუჭირა ამ იდეას. მან ზეპირად მოიყვანა ქართული ღვინის ყოველი ჯიშის წარმოების ციფრები, დაწვრილებით ლაპარაკობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში ნიადაგის თავისებურებების შესახებ, ილაპარაკა ხვანჭკარის ექსპერიმენტის გამო, რომელმაც მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, არ გაიხარა სხვა რაიონებში, რამდენადაც ჰავა და ნიადაგის პირობები, სადაც იზრდება ყურძნის შესაბამისი ჯიში, სრულიად განსხვავებულია."

საინტერესოა კონიაკ "ენისელის" ისტორიაც, რაც კონიაკის ცნობილი ქართველი სპეციალისტის ვახტანგ ციციშვილის მონათხრობიდან ვიცით: დიდი სამეულის იალტის კონფერენციაზე ჩერჩილს ქართული კონიაკი "ენისელიც" გაუსინჯავს. ის მაგარი სასმელების, კერძოდ, კონიაკის დიდი მოყვარული და მცოდნე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ფრანგები თვალში არ მოსდიოდა, ფრანგული კონიაკი სულ თან დაჰქონდა. ეს სტალინმა, რა თქმა უნდა, იცოდა. ერთ დღეს, სამუშაო შეხვედრებს შორის, ვახშამზე

შემოიტანეს რამდენიმე უეტიკეტო კონიაკი. მათ შორის იყო: ფრანგული და ქართული. ჩერჩილმა გასინჯა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, მესამე და ბოლოს ერთ-ერთ კონიაკზე თქვა: ფრანგული კონიაკი სასმელებში მაინც დედოფალიაო. აღმოჩნდა, რომ ეს კონიაკი ქართული იყო. ეს რომ ჩერჩილმა გაიგო, ძალიან გაოცდა. სტალინს კი გახარებია ქართული კონიაკის ამგვარი წარმატება და მაშინვე უკითხავს მისი ავტორი. ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგ ციციშვილს სახლში სამთავრობო შავი "ლიმუზინით" უცნობმა პირებმა მიაკითხეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოსკოვში გადააფრინეს. იქ კი "კრემლში" წაიყვანეს და მოულოდნელად განუცხადეს, კონიაკის წარმოებისათვის "სტალინური პრემია" მოგენიჭათო (შემდეგ ამ პრემიას "სახელმწიფო პრემია" დაარქვეს). წარმოიდგინეთ, მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო, ქვეყანა – დანგრეული და ვის ეცალა კონიაკისთვის, მართლაც კარგი რომ არ ყოფილიყო?! თანაც, სახელმწიფო პრემიით ამ დარგში ვახტანგ ციციშვილის გარდა არავინ დაუჯილდოებიათ. ეს კონიაკი იყო "ენისელი".

იმდენად დიდია ქართველი კაცის სიახლოვე ღვინოსთან, რომ მის გარეშე არსებობაც კი ვერ წარმოუდგენია. ამიტომაა, რომ რაც არ უნდა ფართო და მრავალფეროვანი ასორტიმენტის პროდუქტებით იყოს სუფრა დამშვენებული, როგორც წესი ყოველთვის მის ღირსებებს ღვინის ხარისხით აფასებენ. აღსანიშნავია, რომ "წინწკლების მფრქვეველი" კოლხური ღვინო მრავალგზის ნახსებნებია ჰომეროსის "ოდისეა"- შიც. ჩვენთვის მეტადსაინტერესო აზრი გამოთქვა ინგლისში გამოსული ღვინის ჟურნალის – "დეკანტერის" კონსულტანტ – გამომცემელმა სტივენ სპურიერმა. იგი აღნიშნავს: «_ქართული ღვინოები არა მარტო სასიამოვნო და გემრიელია არამედ, განსაკუთრებული შემადგენლობის წყალობით დიეტური და გარკვეული კვებითი თვისებებით გამოირჩევა. განსაკუთრებით მსურს ხაზი გავუსვა ქართული ღვინის ადგილობრივ საკვებთან შეხამების ფაქტორს. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, ადგილობრივი ღვინოები ისე არ ეხამება ადგილობრივ საკვებს, როგორც საქართველოში." ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა საკითხის ასეთი განსჯა. ერისათვის დამახასიათებელი კვების რაციონის შექმნას, ეჭვგარეშეა საუკუნეები დასჭირდებოდა. ღვინოსთან შეხამებული საკვების შერჩევა კი უდაოდ ღვინის შექმნასთან ერთად უნდა დაწყებულიყო. ასე, რომ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, ქართველი კაცი საკუთარ პურ-ღვინოს ჩაუტკბა, რითაც იგი თავისთავად ცხოვრებისეულ, დიდ სიამოვნებას ეზიარა. რჩევისათვის - ღვინო არც თბილი უნდა დალიოთ, არც ძალიან ცივი. გემური თვისებების შესაგრძნობათ ნორმალურ (რეკომენდირებულ) - ტემპერატურად ითვლება 10-15^{0}C.

ღვინო უნიკალური პროდუქტია. იგი იმდენად ბიოლოგიურად აქტიურ და სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ნივთიერებას შეიცავს, რომ მის დასალევად საბაბის ძებნა არ ღირს, რადგან მასში 300-ზე მეტი ორგანული ნაერთია აღნუსხული.

უდაოდ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მევენახეობა- მეღვინეობის თემატიკასთან დაკავშირებული 60-მდე ქართული გვარის არსებობაა დადგენილი. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ღვინაშვილი, ღვინაძე, ღვინერია, ღვინეფაძე, ღვინიანიძე,

ღვინიაშვილი, ღვინტიძე, ღვინჯილია, ჭაჭაშვილი, ჭაჭვაძე, ჭაჭია, ჭაჭიაშვილი, ჭაჭუა, ჭაჭუკაშვილი, მემარნიშვილი, რთველიაშვილი, მაჭარაშვილი, მაჭარიშვილი, მაჭარაძე და სხვა. ამ სინონიმური გვარების ჩამონათვალს ამშვენებს ცნობილი გვარი მეღვინეთუხუცესი.

ღვინოსთან ურთიერთობა, მისადმი განსაკუთრებული მოპყრობა და დამოკიდებულება ბრწყინვალედ აქვს გადმოცემული გიორგი ლეონიძეს თავის ნოველაში "ნათლობა" ღვინჯუას პირით: - "ღვინო როგორც ვარდი ისე უნდა იდგეს მინაში! წყლის დასხმა როგორ შეიძლება ღვინოზე! ჭიქა არ უნდა შეაჭანჭყარო, რომ ღვინო არ გაფუჭდესო! ყველა ვინმე გულჭუჭყიანი, აფშრუკული, ძმობის გამტეხი, პურუხვედრი არ არისო ღირსი ღვინის სმისა! ღმერთმა ღვინო სალხინოდ მოგვცა, სანადიმოდ, სამეგობროდ განა ჩხუბისა თუ კაცის კვლისათვის? ღვინო ქართველი კაცის ხმალია! თვითონ ღვინჯუა თამადობას დიდად აფასებდა. კაცის სიმაღლე ეგ არისო! ამით მთელ საქართველოში მცნობენ, ამიტომ, სალამი არ ჩამომელევაო".

ქართველები, როგორც წესი, სასმელს მიაჭამენ, ამის დასტური გახლავთ ჩვენში აღიარებული ტერმინები: «წავიდეთ დავლიოთ», «წავიდეთ ვიქეიფოთ», ან კიდევ _ «იცი რა ღვინო მაქვს?» . ევროპელები კი (ფრანგები, იტალიელები, ესპანელები) ჭამენ «მისმით». მათში ასეთი ტერმინებიცაა: «წავიდეთ ვჭამოთ», ან «წავიდეთ ვისადილოთ». ყოველივე ზემოაღნიშნული აშკარად გამოხატავს ღვინის კულტს (პირველობას) ქართულ სუფრაზე. ღვინო თავისი შინაარსით ქართულ ხასიათთან ძალიან ახლოსაა.

ალბათ საუკუნეების, თაობიდან-თაობაში გადმოცემულ ტრადიციად და ჩვეულებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ აქვს ვენახი თუ არა, იცის ღვინის დაყენება თუ არა, ქართველი კაცის ხასიათში მყარად დევს თავისი ხელით დაწურული ღვინო იქონიოს ოჯახში. ეს ყოველთვის იგრძნობა შემოდგომის პერიოდში. აქედანგამომდინარე ღვინო ქართული ოჯახის სიმტკიცის, სიწმინდის, სიმაგრის და სტუმრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების სიმბოლოდ უნდა ვაღიაროთ.

_ ეგეთი ღვინო მაქ, იტყვი: «ნეტა პირი ჩემი იყოს

მუცელი კი სხვისაო!»

_ კაცსა სტუმარი ეწვიოს სტუმარი არნახულისა,
დააპოს ურმისა მორგვი ზაფხულის შენახულისა,
დაწვას ფიწალი, ორთითი, ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს, დასვას და ანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას და ცხენსა შესვას პილოსა
ყველა ტყუილა ჩაივლის, თუკი არ ასმევს ღვინოსა.
_ მასპინძელ კარგა მასპინძლობს, გულითა მხიარულითა,
მწვანე ქოშები გაცვითა სუფრაზე სიარულითა.
წითელი ქვევრი მოხადა დაგვიხვდა სიყვარულითა.
_ უჩემოდ ქორწილს ვინა იქს ან ვინ დამარხა მკვდარია,
ბევრ კაცს ძაან ავაშენებ, ბევრს კი დავადე ვალია,





კაცი თავის სენით კვდება ამბობენ ღვინის ბრალია
_ ბრიყვი დამიწყებს ლევასა, დავაწყებინებ ძგერასა,
როდესაც მოვა ცნობასა მაშინ დამიწყებს ქებასა.
ღვინომ თქვა სახელგანთქმულმა: მეცა ვარ ყველას ქებული,
მცირედი კაცი არ დამლევს, თუ არა მირინდებული.
_ ნინო, ნინო, თასით ღვინო, მომიტანე მოვილხინო.

_ღვინო უფროსთაო, წყალი უმცროსთაო.
_ ღვინოს გასმევ კულაშელსა, გადაგიწყვეტს ულვაშებსა.
_ დავლევ და დაგალევინებ ფეხებსაც აგარევინებ.
_ ღვინით გალახულს ჯოხით გალახული ჯობიაო.
_ ღვინომ თქვა:ჭკვიან კაცთან ბრძენი ვარ, რეგვენთან
წამოვჩქარდებიო.
_ ამომიღებენ დამლევენ, ცოცხალს და მკვდარსაც ვუხდები,
მეტყვიან მრავალჟამიერ ღმერთსაც კი ავუხირდები.
ხალხური

უნდა აღინიშნოს, რომ ვაზთან და ღვინოსთან ურთიერთობას ვერ ასცდნენ ცნობილი ხელოვნების წარმომადგენლები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების მუშაკები თავიანთი საქმიანობით ვაზთან და მეღვინეობასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ასეთებია: ინგლისელი მომღერალი კლიფ რიჩარდი-ნაკვეთი და ქარხანა აქვს პორტუგალიაში; იტალიელი მომღერალი ალბანო-ნაკვეთი და ქარხანა აქვს იტალიაში; ფრანგი კინომსახიობი ჟერარ დეპარდიე-ნაკვეთი და ქარხანა აქვს საფრანგეთში; ინგლისელი მომღერალი სტინგი-ნაკვეთი და ქარხანა აქვს იტალიაში; ფრანგი კინომსახიობი პიერ რიშარი-ნაკვეთი და ქარხანა აქვს საფრანგეთში; ფრენსის ფორდკოპოლა, ამერიკელი კინორეჟისორი- ნაკვეთი და ქარხანა აქვს კალიფორნიაში. ბოლო დროს ცნობილ კინოხელოვანთა კოჰორტას შეემატა ანჯელინა ჯოლი, ბრედ პიტი და ალენ დელონი რომლებმაც ვენახები შეიძინეს საფრანგეთში. ცნობილმა მომღერალმა მადონამ საკუთარი ღვინოების წარმოება დაიწყო ამერიკაში. თავისი ხელით წურავდა და აყენებდა ღვინო "კიანტის" მსოფლიო ვოკალური ხელოვნების ლეგენდა ენრიკო კარუზო, რომელიც ყოველდღიურად მიირთმევდა ორ, სამ ჭიქა აღნიშნულ ღვინოს.

რუსეთის ესტრადის ვარსკვლავმა, ვლადიმერ ვინოკურმა, დააფუძვნა ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, აგრეთვე კვების პროდუქტების სარეალიზაციო კომპანია "ვინოკური". პროდუქციის საფირმო შეფუთვაზე გარდა გვარისა, წარმოდგენილია ხელოვანის სურათი.

საქართველოში გააშენეს ვენახი და ჩართული არიან ღვინის და ალკოჰოლური სასმელების ბიზნესში ნინო ანანიაშვილი, ირმა ნიორაძე, პაატა ბურჭულაძე, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე და სოსო პავლიაშვილი.

ცნობილი ფსიქოლოგები ამტკიცებენ და აღიარებენ, რომ ქალის პიროვნებაზე შეიძლება იმის მიხედვით იმსჯელო, თუ რომელ სასმელს ანიჭებს უპირატესობას. ამ მხრივ კვლევებით საინტერესო მონაცემებია მიღებული:

კონიაკი – სითბოს და ყურადღების მოყვარული ქალების თანამგზავრია. მგრძნობიარენი და რომანტიკულები სიამოვნებით მიირთმევენ სასმელთან ერთად რაიმე ტკბილეულს, თვალები უბრწყინავთ, ლოყები უხურთ და ფიქრები ვნებიან ღამისკენ გაურბით.

ვისკი – საკუთარ თავში დარწმუნებული და კომპლექსებისაგან აბსოლუტურად თავისუფალი ქალების თანამგზავრია. მიუხედავად იმისა, რომ ვისკი მაგარი სასმელია,

ნელა თვრებიან, მაგრამ სამაგიეროდ ისეთებს სჩადიან, რომ მეორე დღეს გახსენება არ ეხალისებათ.

არაყი – ძლიერი, მარტოხელა და მიზანდასახული ქალების სასმელია. პრაქტიკულად არ თვრებიან, ძალიან კარგად იციან რა უნდათ და ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ ამბობენ სათქმელს.

ლიქიორი – ნაკლებად მსმელი ქალების არჩევანია. მსუბუქი სასმელით გათამამებულები ხალისით სვამენ, მალე თვრებიან და ვერ ხვდებიან, როდის გაჩერდნენ. მეორე დილით კი თავბედს იწყევლიან და იფიცებიან, რომ არსად, აღარასოდეს და არავისთან...

შამპანურს – კეკლუცი, ცოტა ინფანტილური, ხშირად სერიალების მოყვარული ქალები ეტანებიან. ტკბილეულისა და კალორიული დესერტების თაყვანისმცემლები მომენტალურად თვრებიან.

წითელი ღვინო – ვნებიანი, ემოციური და აზარტული ქალების საყვარელი სასმელია. მათი თავშეკავებულობის მიღმა სექსუალური სურვილების ცეცხლი და ეროტიკული ფანტაზიები იმალება.

თეთრი ღვინო – თავშეკავებულ, ფრთხილ და შედარებით ცივ ქალებს უყვართ. მათ ძალიან კარგად იციან საკუთარი თავის ფასი, იშვიათად სჩადიან სისულელეებს და ოსტატურად ახერხებენ სიტუაციის კონტროლს (ბ.კალანდაძე).

ქართული სუფრა და მისი წეს-ჩვეულებები, თამადის ინსტიტუტი

ქართული სუფრა, ნადიმი და ქეიფი (არა ღრეობა) სიცოცხლის არსებობის ულამაზესი ფორმაა, ღრმა და შთამბეჭდავი შინაარსით არის აღსავსე, რადგან ცხოვრების მშვენიერების ინტერესით, მიზნებით და სიყვარულით გაჯერებული ადამიანების პურის ჭამას ქვია – ქეიფი. ღრეობა კი უკულტურო, უმიზნო, გაუნათლებელი კაცის თვისებაა. ღრეობა ქართული სინამდვილისათვის ყოვლად მიუღებელი ფორმა გახლავთ.

თვით საქართველოს დიდი მეფე დავით აღმაშენებელი და მისი შთამომავლები ქეიფის წინააღმდეგი არასდროს ყოფილან, ღრეობას კი გამორიცხავდნენ; რადგან ღრეობა, უდარდელობა, დაარხეინებული ყოფნა, სიფხიზლის მოდუნებას იწვევდა. დიდ შრომასა და ბრძოლაში გადაშვებულნი, როგორც კი საამისო დროს იპოვიდნენ, სიამოვნებით ილხენდნენ და ქეიფობდნენ. ქართული სუფრა _ «სერობად ჯდომა», როგორც ჭეშმარიტად ულამაზესი რიტუალი ხალხის წიაღიდან, მისი ღრმა ტრადიციებიდან მოდის. გონებამახვილურად მიგნებული მეთოდები, სარწმუნოებრივ, ქართველი ერის ადათ-წესების საბურველში გახვეული ნაირ-ნაირი დღესასწაულები, რიტუალები, სხვადასხვა სახის ნადიმები და მისთანანი მართლაც სუფრის გაშლისათვის საფუძვლიან მიზეზებს წარმოადგენდნენ.

საქართველოში იძახიან: “ქართული სუფრა პარლამენტის სხდომის მსგავსიაო”. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ ქართველი მეფეებიდან იწყება, რადგანაც ქართველი მეფეები ყველა აქტუალურ საკითხს სუფრასთან წყვეტდნენ, რომელსაც, როგორც ქვეყნის

მთავარი პირები, ასევე მხედართმთავრები და სხვადასხვა ქვეყნის ელჩები ესწრებოდნენ. სუფრაზე მსხდომ საზოგადოებას არ ეჩქარებოდა, ისინი დიდხანს იმყოფებოდნენ ერთად და ათასგვარ პრობლემებზე საუბრობდნენ. რასაკვირველია, სუფრაზე წარმოითქმებოდა ცნობილი ქართული სადღეგრძელოები, რომელთაც იქ მსხდომთ «მისი უდიდებულესობა თამადა" სთავაზობდა. სრულყოფილი ქართული სუფრა, რომელსაც შედარებისთვის - იდეალური კონსტიტუციური მონარქიის სახე ეძლევა, ყოველთვის ხასიათდებოდა ნაციონალური კოლორიტურობით, გამორჩეულ ტრადიციებზე აგებული ურთიერთობით, რასაც ყოველთვის ამშვენებდა განუმეორებელი და დიდი სულიერების აღმძვრელი ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

გადამწყვეტი მნიშვნელობა სუფრის ნორმალური მსვლელობისათვის ქონდა იმას, ვინ და რა საზოგადოება ესწრებოდა. თუ სუფრას ესწრებოდნენ განათლებული, ნაკითხი, ზრდილი, კულტურული ადამიანები, სუფრა ყოველთვის საზეიმო განწყობის იყო. არავინ არავის აძალებდა ღვინოს. ამ დროს სუფრაზე იმართებოდა გულახდილი მეგობრული საუბრები და დისპუტები, იყო მოლხენა და დროსტარება. ასეთი სახის სუფრა ყოველთვის მისაღები იყო და არის ახლაც.

თავისი შინაარსით და დანიშნულებით ქართულ სუფრას, როგორც ქართველი ხალხის ყოფითი კულტურის ერთერთ შემადგენელ ნაწილს, განასხვავებენ ლხინის (ქეიფის) და ჭირის (სამგლოვიარო) ხასიათისას.

ლხინის (ქეიფის) ხასიათის სუფრებს მიეკუთვნება: ქირწილი, ნიშნობა, ძეობა, დღეობა, ნათლობა, ახალსახლობა, ეროვნული-საეკლესიო და ხალხური რიტუალური დღესასწაულები თუ თარიღები, წარმატებული საქმიანობა, მეგობრული შეხვედრა, რთველი, ნადი, კალოობა, შემთხვევითი პურობა და სხვა.

ასე მაგალითად: ლევან სანიკიძის «უქარქაშო ხმლების» მიხედვით ჯერ კიდევ ქრისტეს წინა II საუკუნეში, კერძოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 150 წელს პონტოს ელინისტურ-ქართული სამეფოს ტახტზე ასულმა მეფე მითრიდატ V ევერგეტმა კაბადოკიაზე გამარჯვება ზეიმით გამოხატა, რაც შემდგომ ქეიფით და ღრეობით აღნიშნა, ხოლო მისი დიდი შთამომავალი მითრიდატე VI ევპატორი ყოველი ომიდან თუ ასპარეზობიდან დაბრუნებული ახალ შეჯიბრს სანადიმო სუფრასთან მართავდა.

ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში "მსოფლიოს ცენტრში" რომში მოხდა ქართველთა (იბერიის) მეფე ფარსმან ქველის და მისი ამალის, რომის კეისარ ანტონინუს პიუსთან დიდმნიშვნელოვანი სტუმარ-მასპინძლური შეხვედრა, რომლის დროსაც რომაელი კეისარი დიდად გულუხვი მასპინძლობით ეგებებოდა აღმოსავლეთიდან ჩამოსულ უაღრესად საპატიო სტუმარს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნადიმ-ღრეობა რამდენიმედღეს გაგრძელდა. გარდა ნადიმობისა და საქეიფო სიტუაციებისა იმ დღეებში რომაელმა ხალხმა იხილა ქართველების მიერ წარმოდგენილი უმნიშვნელოვანესი სანახაობები: მხედრული ჯირითი, საჩვენებელი საომარი როკვა-ვარჯიში და ვაჟკაცური შემმართველობა ქართველი ხელმწიფისა და მისი მხლებლებისა. შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქართველები შეიქმნენ იმ დღეთა გმირნი

მსოფლიოს მპყრობელ «მარადიულ ქალაქში”. ბოლოს, მარსის ველზე კეისარ ანტონინუს პიუსის საგანგებო ბრძანებით, აღმართეს დიდებული ქანდაკება ცხენზე ამხედრებული, მოჯირითე ქართველი ხელმწიფისა.

1072 წლიდან საქართველოს ტახტზე მყოფი გიორგი II იყო «პურად უხვი ყოველ კაცთა», თავდავიწყებით უყვარდა ლხინი, ნადიმობა და ნადირობა. ბრძოლის ველზე მიღებულ გვირგვინებს სანადიმო ყანწი და სანადირო მშვილდ-ისარი ერჩივნა.

ყოველ ახალ წელს «უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკვლევდა დავით მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა, სამკაულსა მეფესა და დედოფალსა», უკურთხებდა საახალწლო სუფრას, საბოძვარსა და ტკბილეულს. წირვის შემდგომ კი სრულიად ერისთავნი და ხელისუფალნი მეფეს უძღვნიდნენ რჩეულ ბედაურს და იარაღ აღკაზმულობას. სუფრის თამადა გამორჩეულად მჭევრმეტყველი უნდა ყოფილიყო. იგი ასე მიმართავდა მეფეს: «მრავალჟამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალ წელს და ისარი ესე გულსა გაერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა». წარმოთქვამდა თამადა სადღეგრძელოს და დაიწყებოდა სრულიად სპათა მილოცვა. მილოცვებს მოსდევდა დიდი პურობა, განცხრომა, ტკბილქართული სიმღერები, ცეკვები...

ქართველთა ძლევამოსილების აღსანიშნავად თამარ მეფის მეუღლემ დავით სოსლანმა განძის სულტნის სასახლეში დიდი და ბრწყინვალე დარბაზობის მოწყობა ბრძანა. შემდგომ კი - «შეიქმნა, პურობა და ნადიმობა შესატყვისი ჟამთა სადღესასწაულო”.

მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე დავით ნარინმა ლტოლვილი «მოკავშირე» მონღოლები დიდი ზეიმით მიიღო. მან უზარმაზარი «სერი» გაუწყო სტუმრებს. სუფრა ხუთასამდე მოხარშული ძროხის ხორცით და ამდენივე ცხვრისგან დამზადებული საჭმელებით იყო წარმოდგენილი. უღვინოთ პურის ჭამა არც მონღოლებს უყვარდათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველებისაგან მათ ღვინის ყადრიც კარგად შეიგნეს. დავით ნარინმაც მოიღო ღვინო უანგარიშოდ, ურმებით, ჭურებით, კასრებით, ჩაფებით. «დიდათ განკვირდნენ» მონღოლები, თუ როგორ «უცხოთა სტუმართმოყვარენი» არიან ქართველნი «თვისი ბუნებით».

1696 წელს ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე ისფაჰანს ჩავიდა და შაჰს შეურიგდა. დღე და ღამე აუღებელი სუფრა გაეშალა შაჰ ჰუსეინს გიორგის «სადიდებლად». ისევ «ქართული ყაიდით და ნაქცეურობით» გაეწყოთ ყოველივე სპარსელებს. მონადიმენიც უმეტეს წილ ქართველნი იყვნენ – უნებურად და «ნებიერად» სპარსეთს გადახვეწილნი. იყო სმა, ზმა და სიმღერა. ყველა დაეჩრდილა გიორგი მეფის ღრმააზროვან სიტყვას, მახვილგონიერებას, «მაღალ ხუმრობას». ქართულ ჰანგებს დაეკნინებინა სპარსული ბაიათი. მთელი დღე ატრიალეს ყანწები ჰუსეინმა და გიორგიმ. «ორივე დიდად დათვრნენ. ხან ყაენი დაუსხამდა ღვინოსა, ხან მეფე». თანამესუფრეთა ორივე მხარემაც – ქართველებმა და სპარსელებმა – ძალიან მოილხინეს ხელმწიფეთა «გარიგებისა» და «შერიგების» გამო.

მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის მეფე სოლომონმა თავისი ზეობის პირველ წლებშივე გადაწყვიტა და აკრძალა ტყვეების სყიდვა-გაყიდვის საკითხი,

რისთვისაც მან შემოიღო თორმეტი გვარისგან შემდგარი «ფიცის კაცების» სპეციალური ინსტიტუტი, რომლებსაც მისგან დიდი ნდობა ჰქონდათ გამოცხადებული. სანამ მთელს იმერეთში ფიცი და ზენაარი მიდიოდა, მანამ მზარეულნი, ხაბაზნი და მწდენი სანადიმო სუფრას აწყობდნენ, ჭამა-სმის «ყოველივე სამკაულით». მიუსხდებოდნენ თუ არა სუფრას ნაფიცარნი, პირველი საწესო სადღეგრძელო ყოველთვის ეს იყო: «დიდება ღმერთსა! ღმერთო გაუმარჯვე ჩვენს მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცის კაცსა»! მერე მიდიოდა სმა, ზმა, შაირი, სახუმარო სიტყვის გორება, ცეკვა, სიმღერა, თოფ-დამბაჩით სროლა ყაბახზე. მათგან არ იყო არცრა უღირსი საქციელი, არც უზომო თრობა, არც ჭინჭყლი და უგვანო აყალმაყალი, არც უთმინარი პირში ჩახტომა და უსმინარი ჭირვეულობა.

გურიელთა სამთავრო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის დავით გურიელის სასახლის მუდმივი და მოუწყინარი სტუმრები იყვნენ გურიის, სამეგრელოს და იმერეთის დიდგვაროვნები, რომელთა შესაქცევად იმართებოდა გაბმული ქეიფი, ცეკვა-სიმღერა, შაირობა, ჯირითი, ჭიდაობა და სხვა. ასეთი გაბმული ქეიფით აგზნებული დიდგვაროვნები ასე გაიძახოდნენ: «ნეტავ ამ ქეიფსა და სმაში ვინ არ მოილხენს, განცხრება."

ქეიფისა და ლხინისადმი დამოკიდებულებაა ასახული სიკო ფაშალიშვილის მოგონებებში: ჩვენი "სახალხო გაზეთის" რედაქციაში მოსვლამდე ვაჟა-ფშაველა თავის მეგობრებთან _ შიო მღვიმელთან, ნაპოლეონ პავლიაშვილთან, კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილთან, მასწავლებელ ვანო ბუქურაულთან და მღვდელ კოტე კავკასიძესთან ერთად ჯერ განთქმული "ოსების რესტორანში" დანაყრებულიყვნენ, შემდეგ კი ნაბახუსევთ "იარმუკაში" მირიანაშვილების ცნობილ სარდაფში - "ანაგა" ესადილათ. ჩვენს მარანში კი (სოფ. ქვემო მაჩხაანი) გაშლილ ფარდაგზე, ხევისბერივით ლურჯ სუფრასთან დაბრძანებული ვაჟა-ფშაველა, გულთბილი სადღეგრძელოებით მიმწყალობებდა მამა-პაპის ჭერ-ფუძეს და პოეტური ფერებით აღტაცებაში მოყავდა თანამეინახენი. ასე რომ, სუფრისადმი ლტოლვა ქართველ კაცს ოდითგან ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, ვინაიდან იგი ემსახურებოდა ადამიანთა ხასიათის საზეიმო მდგომარეობაში გადასვლას.

აკაკი წერეთლის თქმით გრიგოლ ორბელიანის აზრი და ფიქრი ლხინი იყო – "ლხინი აგონდება, ქეიფსა ჰნატრობს, შუბლის გამაგრილებელ კოჯრის ნიავს, ჯეირნის შუშხუნა მწვადს და სადღეგრძელოებს."

_ ...ლხინით აღვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს
ჩვენებურადა, ძველებურადა, ვსვამდეთ, ვიძახდეთ:
იარი-არალის.
გრ. ორბელიანი

* * *

_ გიორგობისთვის ღამენი გრძელია და მეტად ბნელი;

მაინც არა კეთდება რა, ქეიფს და ლხინს მივყოთ ხელი.
_ სტუმარნო, სტუმრების მზემა, არცა უსტუმროდ ლხინია,
უსტუმროდ პური და ღვინო, მწარეი, განა ტკბილია?
_ ღვინო ეუბნება პურსა: რატომ მე არ მიგდებ ყურსა?
მე და შენ რომ სუფრას გავშლით, ვერავინ ვერ შაგვდებს წუნსა.

ხალხური

სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირი წეს-ჩვეულებები არსებობდა საქართველოში სუფრასთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, აკაკი წერეთელი იმხანად ზემო იმერეთში არსებულ წეს-ჩვეულების შესახებ ასე გადმოსცემს: "სუფრაზე ღვინოს არავის არ აძალებდნენ, მხოლოდ მერიქიფეებს (მწდეებს) ეჭირათ ხელში ღვინით სავსე დოქები და დაიცლებოდა თუ არა ვისიმე ჭიქა, მაშინვე აავსებდნენ. პირველ ჭიქას, რომ აიღებდნენ, მაშინ კი პირჯვარს გამოისახავდნენ და იტყოდნენ – დიდება ღმერთსა! მოწყალესა ერთსა! ღმერთო გაუმარჯვე ბატონსა და ყმებსა, აქა მბრძანებელსა! შენდობა მამაო!" - ეტყოდნენ მღვდელსაც და გადაჰკრავდნენ ღვინოს. მერე კი იმდენს სვამდნენ, რამდენიც უნდოდათ. სამიზეზო სადღეგრძელოები კი ფიქრადაც არ მოსდიოდათ. სადილი რაც უფრო გრძელდებოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა მხიარულება ყველას. იცინოდნენ, ხუმრობდნენ და სასაცილო ამბებს ყვებოდნენ. ვაჟა-ფშაველას თქმით – "არავითარი წესი ამ სმა-ჭამის დროს არ სუფევდა. ვისაც რა სადღეგრძელო სურდა იმას სვამდა, რაც ესიამოვნებოდა იმას ამბობდა, მღეროდა. რამდენიმე პირად მღეროდნენ, ლექსობდნენ. გარეთ ეზოში ქალ-ვაჟები ლხინობდნენ; ისმოდა გარმონის ჭყუტუნი და სტვირების ბუბუნი. სმა და ჭამაში ყველას თავისუფლება ეძლეოდა, ვისაც რამდენი უნდა იმდენს სვამს და ჭამს." ყოველივე ზემოაღნიშნულში ალბათ რუსული ხასიათის გავლენა უნდა დავინახოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ გვიანეულ პერიოდამდე აჭარის მოსახლეობაში სპირტიანი სასმელების მიღება დაუშვებელი იყო, სუფრაზე მხოლოდ შერბეთს სვამდნენ, რაც რელიგიის გავლენით უნდა აიხსნებოდეს.

როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ეპოქაში ტრადიცია არეგულირებდა ადამიანთა ცხოვრებასა და ყოფას. ისევე როგორც წეს-ჩვეულებების სხვადასხვა სფეროში, სტუმართ-მასპინძლობაშიც ყოველთვის იყო გამოხატული რეგიონალური და კუთხურ-ტერიტორიული სპეციფიკა, რომელიც სტრუქტურულად ძირითადად ძველი ადათ-წესებით იმართებოდა, თუმცა მასში შეტანილი იყო ხალხის წიაღში აღმოცენებული ახალი, თანამედროვე ელემენტები, რაც შინაარსით თავისთავად ამრავალფეროვნებდა ამ საერთო ქართულ მოვლენას. ქართველი ხალხის ისტორიული აუცილებლობით მიღებული ეს თვისებები ბრწყინვალედაა გადმოცემული ვაჟა-ფშაველას გენიალურ პოემაში "სტუმარ მასპინძელი" და ხალხური პოეზიის შესანიშნავ ნაწარმოებში "შიოლა და მთრეხელი", სადაც სტუმარმასპინძლობის დიდებული თვისებებია გამოვლენილი.

ქართულ ენაში სიტყვა სუფრას, რომელიც სპარსული წარმოშობისაა (სოფრე) და პირდაპირი მნიშვნელობით გადაფა-რებულ ქსოვილს ნიშნავს, მრავალი სხვა

ლექსიკური სინონიმი ეძებნება, ესაა "ტაბლა" (იგივე მაგიდა). სუფრა, როგორც ასეთი ეთნიკური კულტურის ელემენტია, ორგანულადაა დაკავშირებული უძველეს ხალხურ, საწესო ქმედებათა და სანახაობათა საწყისებთან. ტრადიციული ქართული სუფრის სილამაზეზე, მის განსაკუთრებულ, ორიგინალურ თვისებებზე, საწესჩვეულებო ხასიათზე, ბევრს წერდნენ ადრე და წერენ ახლაც. სუფრა ყოველთვის საოჯახო და საზოგადოებრივი ურთიერთობების ამსახველი სოციალური ასპარეზი იყო. საქართველოს თითოეული კუთხის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ძველი ტაბლა – მაგიდების მრავალი სახეობა მათი შესატყვისი ტერმინებით, ესაა: აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში –სუფრა, ფეშხუმი; გურიაში –ხონჩა, ტაბლა; იმერეთში –სუფრა, ხონჩა; სამეგრელოში –ხონჩა, ტაბაკი, ტაბლა; სვანეთში – ტაბაგ, ფიჩ; რაჭაში-სუფრა; აღმოსავლეთ საქართველოსმთიანეთში – ტაბლა, ტაბლანი, ტაბაკი, ხონჩა; კახეთში – ტაბლა, სუფრა /გ. გოცირიძე/.

ქართული სუფრა, ნადიმი და ლხინი თავისი გამორჩეული მისტერიის რიტუალური ელემენტებითაა სავსე. დიდი შოთა რუსთაველი ასე ამბობს: "ავთანდილ უთხრა – ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია; ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია, მზე მოგვეახლა უკუნი, ჩვენთვის აღარა ბნელია, ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია".

ქართველი კაცისათვის თვითშეზღუდვა-ყველაზე მიუღებელი თვისებაა. ამიტომ იგი ვერასოდეს ვერც მონობას ეჩვევა, ვერც გამუდმებულ გლოვას, კაეშანს და მტარვალთა ძალმომრეობას. საკმარისია, გადავხედოთ საქართველოს ისტორიას და სავსებით დავრწმუნდებით, რომ მუდამ მტრის გარემოცვაში მყოფ ქართველ ხალხს სარჩო-საბადოს მოწევა ძვირად, დიდ ჭაპანწყვეტად უჯდებოდა და მაინც დაიმკვიდრეს გულუხვი და სტუმართმოყვარე ხალხის სახელი. ხასიათის ეს მხარე მაღალი ზნეობის ნიშანია. საოცრად მძიმე, დუხჭირ პირობებს, ხელვიწროობას და სიღარიბეს ერი არც გაუძუნწებია, არც დაუბეჩავებია, არც დაუთრგუნავს, გუშინდელ სისხლისმღვრელ ომში ნამყოფს, დღეს მაინც მხიარულების და ლხინის ძალა შესწევდა, ხელგაშლილობა, ბარაქიანობა, სტუმრის სულგრძელად დახვედრა შეეძლო.

– მე მისთვის მიყვარს სუფრა გაშლილი-
ყველი და პური დანით დათლილი,
ცხელ-ცხელი მწვადი შამფურს ასხმული,
წითელი ღვინო ჭიქას დასხმული.
– მაშ დიდება ღმერთსა, თასი ვიგდე ხელსა,
ორსავ მხარეს გაუმარჯოს, სტუმარ-მასპინძელსა.

ხალხური

სტუმრის საპატივცემულოდ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში წესად იყო ლხინის გამართვა სახელდახელო (თათა-რიახნი) სუფრის სახით, რომელიც ყოველთვის იმპროვიზირებულ ხასიათს ატარებდა. ეს იყო და არის მოულოდნელად მოსული

სტუმრისათვის გამართული პურობა, რომელიც სხვა სახის სუფრისგან განსხვავდებოდა. უცნობ თუ ახლობელ სტუმარს შესაქცევად და დროის გასატარებლად აუცილებლად უპატიჟებდნენ მეზობლებს – ენაწყლიან მოსაუბრეს, კარგ მსმელს, მომღხენს, გარმონზე და ჩონგურზე დამკვრელს და დამღიღინებელს. საქართველოში ყოველთვის სტუმარი ღვთის გამოგზავნილ კაცად ითვლებოდა და შესაბამისად ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი პატივი ეცათ მისთვის.

თუ ძველი წყაროების დახმარებით გადავხედავთ ქართველი ხალხის ჭამა-სმის წესებს, შევნიშნავთ, რომ იგი დროთა განმალობაში გამომუშავებულ გარკვეულ რეჟიმს ექვემდებარებოდა. გასაკვირი როდია ჭამა-სმაში ის ზომიერება, რომელიც ქართველთა ძველთაძველი ჩვეულება ყოფილა, შეიძლება ამაზე მეტყველებს ქართულ ოჯახებში დღემდე შემონახული წესი, წვეულების დამთავრებამდე მაგიდასთან ყოფნის აუცილებლობისა. ჩვენში ცნობილია ასეთი ანდერძი, რომელიც მოგვიწოდებს - «სმა-ჭამა დიდად შესარგი».... და გვახსენებს ქართული სუფრის შესახებ, მაგრამ განა მხოლოდ სმა-ჭამისთვის იკრიბებიან თანამეინახენი? სუფრა ის ადგილი როდია, სადაც მხოლოდ დანაყრდები, ადგები და წახვალ. არა, იგი მაგიდის თითოეული წევრისაგან მოითხოვს ყურადღებას, პატივისცემას, მონაწილეობის მიღებას სუფრის რიტუალურ წესებში. გააჩნია რა ხასიათის, რა შინაარსისსუფრასთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ სიმღერა და ლხინია საჭირო, ზოგჯერ ოჯახის თუ სოფლის საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი და აუცილებელი სჯაბაასი.

ე. ი. ქართული სუფრა მოითხოვს სიფხიზლეს და აქტიური შემოქმედებითი განწყობილების შენარჩუნებას, სუფრის ხელმძღვანელის საბოლოო სიტყვამდე და ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზომიერი, გადაუჭარბებელი ჭამა-სმის პირობებში თუ მოხდება... ცნობილი ქართული ანდაზაც -»მუცელს აღორებ, ღორია, აქორებ ქორიაო», ზომიერი ჭამა-სმისადმი პატივისცემის გამომხატველია. ტყუილად კი არ ათქმევინებს ხალხი ვაზს: «ვინც ჩემი წყარო მეტი სვა, ჩემსავით დაიბორდაო».

ქართული სუფრა არ არსებობს სადღეგრძელოების გარეშე. სადღეგრძელო – ქართული მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების იმ ორიგინალურ, თვითმყოფად ფენომენად უნდა მივიჩნიოთ, რომლის ფესვები განვითარების ადრეულ საფეხურებს უკავშირდება და თავისი შინაარსით, ხასიათით, შემოქმედებით, გამომხატველობით და შინაგანი ემოციების თვალსაზრისით მას ანალოგი არა ყავს მსოფლიოში. სადღეგრძელოების რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა სახის სუფრა გაიშლებოდა. ასე მაგალითად, ცნობილია ყოველდღიური სუფრა: საუზმე (დილით), სადილი (შუადღით), სამხარი (მზე, რომ გადაიწვერებოდა) და ვახშამი (მზის ჩასვლის შემდეგ). სიტუაციის მიხედვით საუზმის დროს სამ-ოთხ სადღეგრძელოს ამბობდნენ, სადილ-სამხარის დროსაც სადღეგრძელოების რაოდენობა კვლავ შეზღუდული იყო, რადგანაც მშრომელი კაცი სუფრის შემდეგაც აგრძელებდა მუშაობას. ვახშამი უფრო ხანგრძლივი იყო და ისმებოდა შვიდი-რვა, ზოგჯერ მეტი სადღეგრძელოც. ყველა პურობაზე, როგორც ყოველთვის, გარდაცვლილთა გახსენების სადღეგრძელოს სვამდნენ. საუკუნეების მანძილზე ქართულ ყოფაში სასმელთან

დაკავშირებით სუფრის მკაცრი რეგლამენტირებული წესი ყალიბდებოდა. ამა თუ იმ სადღეგრძელოს შემთხვევაში არა სასმელის მთლიან დაცლაში გამოიხატებოდა, არამედ მის რიტუალურ მიღებაში (ოდნავ მოსმა, ტუჩის შეხება). სუფრასთან სხდომის დროს დაცული იყო უფროს-უმცროსობის რიგი. ადრეულ პერიოდში "მახინჯი" წესი მოქმედებდა – ქალი და კაცი ცალ-ცალკე იჯდა მაგიდასთან, რაც სუფრას ერთფეროვანს და უინტერესოს ხდიდა.

_ შეიქმნა სმა და პურობა, ლხინი და უკუყრანიო,
მოჰყვნენ ლხინს წყნარად რიგზედა, პირველად ითქვა ზმანიო,
მეორის დალევის დროსა, იწყონ შაირის თქმანიო,
მესამე რიგსა მასზედა იქნება გალობანიო.

თეიმურაზ მეორე

* * *

_ სანახავად ლამაზია მინდორს ერთი მრგვალი ლოდი,
ზედ ასხია მარგალიტი, სულ არ მოვა ერთი კოდი,
დალიე და ნუ მოიწყენ, ალავერდი ჩემთან მოდი.
_ დალიე, ჩემო ბატონო, დალიე, დამალევინე,
წვეთი არ დარჩეს თასშია, დასცალე, დამაცლევინე,
დალიე ჩემო ბატონო, უარს ნუ მეტყვი ამაში,
ჩვენს სახლში, ჩვენსა მარანში, სულ ლხინი იყოს თამაში.
_ პურსა ჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო,
არ ვიცი, რასა გლოვობენ, არ ვიცი, არ იციანო.
_ სმა უმღერალი არ ვარგა, ვაჟკაცი დაუთრობელი.
_ დავეხსნათ ჭირვეულობას, სუფრას ნუ ავარევინებთ,
ნურც მეტსა ვეტყვით ერთმანეთს, ნურც მეტსა დავალევინებთ.

ხალხური

საქართველოს ყველა კუთხისათვის ერთნაირად დამახასიათებელია სტუმრის მიმართ პატივისცემა და სიყვარული, გულუხვობა და ხელგაშლილობა, მისი მოლხენა და შექცევა, თუმცა ყველაფერ ამას თავისებურად გამოხატავენ ქართლელები და იმერლები, აჭარლები და კახელები, მეგრელები თუ რაჭველები. ასე რომ ეროვნული ტრადიციები ამა თუ იმ კუთხის წეს-ჩვეულებათა შენაკადებით ივსება და მდიდრდება, მაგრამ არც ყოფილა და არც იქნება არც ერთი ტრადიცია ხალხების ტრადიციათა გავლენის გარეშე. თუ ერმა მდიდარი, მოწინავე, დროისათვის შესაფერისი და მისაბაძი ტრადიციები შექმნა, ეს მისი დიდი ისტორიისა და მაღალი კულტურის ნიშანია (დ. გოგოჭური).

უამრავი მკვლევარის, ჟამთა აღმწერლის, ისტორიკოსის, მემატიანის, მწერლისა თუ პოეტის, ხელოვანისა თუ მხატვრის შთაგონების წყაროდ ქცეულა ქართული სულის და ხასიათის ერთ-ერთი დიდი ფენომენი – სუფრა.

ასე მაგალითად, ა. ლეკიაშვილს თავის ნაშრომში "შენ ხარ ვენახი" დეტალურად აქვს აღწერილი იტალიელი მისიონერების და ელჩების მოგზაურობის შესახებ საქართველოში: XV საუკუნის შუა ხანებში ირანს მიმავალ ვენეციის ელჩს ამბროზიო კონტარინის საქართველოზე მოუხდა გავლა. როგორც კონტარინის დღიური მოწმობს, მასაც გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს ქართველებმა, რამდენჯერმე ნადიმზეც მიუწვევიათ. ქუთაისში ყოფნისას კონტარინი თვით მეფე ბაგრატმა მიიწვია სადილად. მოგზაური საჭმელებიდან ასახელებდა ქათმის ხორცსა და ცვრიან ("ცუდად შემწვარ")

მწვადს. სუფრაზე განსაკუთრებით უხვად იყო სასმელი. "ქართველებში, - შენიშნავს უცხოელი - ღვინის სიუხვე საუკეთესო მასპინძლობად მიაჩნიათ."

XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოს რომის პაპის მიერ წარმოგზავნილმა მისიონერებმა ქრისტეფორე კასტელმა და არქანჯელო ლამბერტიმ, რომლებმაც ოცი წელი დაჰყვეს საქართველოში, თავიანთ ნახატებში და ვრცელ თხზულებაში – "სამეგრელოს აღწერა", ზედმიწევნით დეტალურად გადმოსცეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფითი ამსახველი მასალები. მათ მიერ გაკეთებულ ჩანახატების ვრცელ ალბომში ხშირად გვხვდება ნადიმობის, "დროსტარების" სურათები. ერთ-ერთი მათგანის სახელწოდებაა – "ღვინის ზეიმი აღმოსავლეთში." სურათზე წარწერილია აგრეთვე მონადიმეთა სიმღერის სიტყვები: "ვსვათ და ვჭამოთ, საიქიოს ვინ იცის რა გველის." "აღმოსავლელთა" შორის, ერთ-ერთი წარწერის თანახმად, "მამაკაცი ყველა მსმელია. ბევრის დალევა დიდ ვაჟკაცობად მიაჩნდათ. ამის შემდეგ არც ენა ერევათ, არც გონებას კარგავენ და არც ფეხი ეშლებათ." ერთ-ერთ ნახატს იმერეთის მეფის – ალექსანდრე III-ის "მეფური ნადიმი" აღუბეჭდავს. წარწერა იუწყება: "ზოგჯერ მეფე თავისი ხელით პირთან მომიტანდა ჭიქაში ჩატოვებულ ღვინოს, რაც აქ ერთობ დიდ პატივისცემად ითვლება." სურათებზე მონადიმეთა შორის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებსაც ვხედავთ. "გრძნობას აყოლილი მამაკაცები ქალების წინაშე მუხლმოდრეკილნი შეექცევიან სასმელს და ზოგჯერ ჭიქის ნაცვლად მათი ფეხსაცმლით სვამენ ღვინოს"... თვით ქალები მისიონერის სიტყვით, "სმაში ძალზე თავშეკავებულნი არიან. მრავალ ლხინს დავსწრებივარ და არასოდეს მინახავს მსმელი ქალი".

არქანჯელო ლამბერტი "სამეგრელოს აღწერის" თხზულებაში გვაუწყებს, რომ მეგრული წვეულება დროსტარებასთან ერთად სმაში თავისებური შეჯიბრია – ვინც ბევრს დალევს ისე, რომ გონებას არ დაკარგავს, ის ღირსეულ კაცად მიაჩნიათ. ის აქვე მოგვითხრობს განთქმული მსმელის შედან ჭილაძის შესახებ, რომელსაც ამ მხრივ მისი სამშობლოს გარეთ, კერძოდ ირანის შაჰის კარზეც უსახელებია თავი.

«დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ არსად არ მოიპოვება იმისთანა ქვეყანა, სადაც ამდენსა და ასეთ შესანიშნავ ღვინოს სვამდნენ," წერდა თავის მემუარებში ფრანგი მოგზაური, ვაჭარი და იუველირი ჟან შარდენი საქართველოზე. აქვე მის მიერ აღწერილი გვარწმუნებს, თუ რა დიდებული ნადიმობა იცოდნენ საქართველოში.

მეფე ვახტანგ V-მ ფრანგი მოგზაური თბილისში ჩამოსვლისთანავე თვისი უცხოელი ძმისწულის ქორწილში მიიწვია. მრავლის მნახველი ვაჭარი გააოცა მდიდრულად მორთულმა სეფამ. სეფა განათებული იყო ორმოცი ოქროსა და ვერცხლის დიდი მაშხალით. იუველირის დაკვირვებულ თვალს სუფრაზე არც საჭმელთა და სასმელთა სიმრავლე დარჩა შეუმჩნეველი. აქ იყო ასოცამდე –ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სასმისი: ბადიები, თასები, ყანწები, კულები, აზარფეშები.

სმა თანდათან გაძლიერდა. სმის დაწყებისთანავე საკრავებიც აჟღერდნენ და სიმღერაც დაიწყო.... ჯერ ყველანი ცოტას სვამდნენ, მხოლოდ მესამე თავი საჭმელი რომ შემოვიდა, მაშინ შეხურდნენ და საკვირვლად დაიწყეს სმა. ჩამოურიგეს მეფესთან ახლო

მსხდომ რვა მამაკაცს, ოთხს მაჯვნივ და ოთხს მარცხნივ ღვინით სავსე ერთნაირი თასი. რვანივე ფეხზე წარმოდგენენ, "მემარჯვე-ნეებმა" ერთად დალიეს და გადასძახეს "ალავერდი" "მემარცხენეებს". მემარცხენეებმა უპასუხეს "იახშიოლ" (*თურქ.*–კარგად იყავი) და დაცალეს თასები. შემდეგ ყველანი ისევ დასხდნენ. იმავე თასებით ღვინო მიართვეს მათ შემდგომ მსხდომთ და ასე ჩაჰყვნენ ბოლომდე. ახალი სადღეგრძელო უფრო დიდი თასებით შეისვა. შარდენს ქართლის მეფესთან წვეულების დროს თვალში ეცა სუფრაზე მონადიმეთა "წესიერება და დიდი თავდაჭერა", ამ მხრივ საქორწილო ზეიმმაც მოხიბლა უცხოელი.

მათ, ვისაც წლობით მოუხდა საქართველოში ცხოვრება, შეუმჩნეველი არ დარჩათ, რომ ღვინის ამ კლასიკურ ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და მიუტევებელ ცოდვად ლოთობა ითვლებოდა. გადაჭარბებული ღვინის სმის, მემთვრალეობის წინააღმდეგ საკმაოდ ბევრი რჩევა-დარიგება წარმოუთქვამთ ადრეული პერიოდის საქართველოში მყოფ მისიონერებს, მოციქულებს, ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. სულხან-საბას განმარტებით – "მთვრალობა არის ყოვლისა ცოდვის თავი და შემძინებული უსჯულოებასა ზედა უსჯულოებისა. . . მემთვრალეს აღერევის თვალნი კეთილად მხედველნი, აღარა ესმის ალერსი სხვათა და თვით უბნობს ვითა ხელი; უკეთუ ზეაღდგმა, ფეხნი შეპყრობილ აქუნ და არა ძალუც დგომად. . . ეხვევიან ბრუ და ჰგონებს ქვეყნისა ბრუნვად."

სტალინი, როგორც ცნობილია იშვიათად სვამდა, ისიც მხოლოდ მშრალ ქართულ ღვინოს, მაგრამ სმა შეეძლო... თვითონ, მიუხედავად დიდი სტუმართმოყვარეობისა, სასმელს არავის აძალებდა და არ უყვარდა, როცა უზომოდ სვამდნენ და უთავბოლოდ თვრებოდნენ. ასე მაგალითად: სტალინის ერთ-ერთი ტრადიციული სადილის დროს ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ზასიადკომ ბოთლი არაყი დაცალა, მასპინძელმა მორიგი ბოთლი დაუდგა, მაგრამ სტუმარმა მოიბოდიშა, ბოთლი გვერდზე გადადგა და დასძინა: ამხანაგო სტალინ! ზასიადკომ იცის ნორმა, რითაც მასპინძელის მოწონება დაიმსახურა. გადის გარკვეული დრო, სტალინი იხილავს ზასიადკოს წარჩინებული საქმიანობის სახელმწიფო ჯილდოთი აღნიშვნის საკითხს. ერთ-ერთი მონაწილე თავისთვის იტყვის: ზასიადკო კარგი მუშაკია, მაგრამ სვამს. არ დააყოვნა სტალინის პასუხმაც: ზასიადკომ ზომა იცის! და ხელი მოაწერა დაჯილდოების საბუთს (გ. ბერძენიშვილი)

_როდის დაიტევს სტომაქი, თუ ბევრს ჰსვამ, ბევრი სჭამია,
ყველამ დაიცვას ისა სჯობს თავისი კერძო ჯამია.

ვაჟა

* * *

_ გულისა საგრილობლადა ღვინის სმას არვინ დაგვიშლის,
ცოტა რამ მოჭარბებული ჭკუას თავიდან შაგვიშლის,
მოყვარეს მტრად გარდაგვიქცევს, დავიდარაბას აგვიშლის.

_ მე მინახავს ტოლუმბაში, ოთხ კაცს, რო მიჰქონდა კარში.

ხალხური

უნდა აღინიშნოს ის რომ ადამიანი იშვიათად ექცევა ალკოჰოლიზმის გავლენის ქვეშ თუ იგი ხარისხიან, ნატურალურ ღვინოს სვამს. ცნობილია ის ფაქტიც, რომ იმ კუთხეებში, სადაც მევენახეობა და მეღვინეობა ფართოდაა გავრცელებული, ლოთობასა და ალკოჰოლიზმს ვერ შეხვდებით.

საქართველოში, როგორც წესი, ყველა სუფრას წარმართავდა და ხელმძღვანელობდა სუფრის თამადა.

და მაინც ვინ არის თამადა? საიდან მოდის ეს ინსტიტუტი (ფენომენი) ჩვენში?

1978 წელს, ვანის რაიონის სოფელ ინაშაურში, მაია ხელაძის საკარმიდამო ნაკვეთში, მიწის სამუშაოების დროს, უპოვნიათ სამარხი, რომელშიც აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს ქანდაკება, ადამიანის ფიგურით გამოსახული. ფიგურა მცირე ზომისაა (სიმაღლე 7,5 სმ). იგი წარმოადგენს ზურგიან სავარძელში მჯდომ მამაკაცს, რომელსაც მარჯვენა ხელში ყანწი უჭირავს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფიგურა სადღეგრძელოს ამბობს (სურათი24ა). სიუჟეტისა და პოზის მიხედვით იგი ყველაზე ახლოს დგას აფხაზეთში ბომბორის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძის «ღვინის მსმელის» ფიგურასთან. სოფელ ინაშაურში აღმოჩენილი «ღვინის მსმელის» ფიგურის წარმოშობის პერიოდი არქეოლოგების მიერ სავარაუდოდ მიჩნეულია ძვ. წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეები (ს. ხარაბაძე).

იოანეს სახარებანის მიხედვით - «სადღესასწაულო სახარების განმარტებანში» აღნიშნულია, რომ ლხინისა და სერობისას ძველად მოისვენებდნენ, რისთვისაც დაბალი სარეცელი ეწყობოდა. რომაული ადათის მიხედევით ეს მოსასვენებელი ხუთი ადამიანისთვის მზადდებოდა და მათ მომწყობს ანქიტრიკლინი ეწოდებოდა. ქრთულად მას «პურის უფალს» – ლხინის გამგებელს, ანუ საკუთრივ სარეცელის მეთაურს ნიშნავდა, მას ასევე ევალებოდა ღვინისთვის გემოს გასინჯვა. როგორც სჩანს სახელწოდება «თამადის» წარმოშობა უფრო გვიანეულ პერიოდთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად: ლევან გოთუას «ყინწვისის ანგელოზებში» ნახსენებია, რომ XIII საუკუნეში თამარ მეფის დროს თავად შიოშ ფანასკერტელის ქალიშვილის ლელაის და ბერდა გვარელის ქორწილზე თვითონ თავადი ჩაუდგა სუფრას თამადად და საგვარეულო ყანწით შესვა მათი სადღეგრძელო. სუფრის ხელმძღვანელად - «თამადას» ასახელებს აგრეთვე ლევან სანიკიძე «უქარქაშო ხმლებში» დავით აღმაშენებლის საახალწლო სუფრის აღწერის დროს. შეიძლება ვერ დავასახელოთ რა პერიოდს მიეკუთვნება «თამადის» სახელწოდების ზუსტი წარმოშობის ისტორია, მაგრამ ის კი ცხადია რომ ქართულ მეობაში სიტყვა-»სუფრის თამადა» რამოდენიმე საუკუნეს უნდა მოიცავდეს.

ადრეულ პერიოდში, სვანეთში "თაამადა", "თამადა" ერქვა თიბვის მესვეურს, წინამძღოლს, რომელიც მუშაობისას სიმღერას იწყებდა. დასავლეთ საქართველოში თამადის ნაცვლად ზოგჯერ თურქულიდან წამოსულ სიტყვას "ტოლუმბაშსაც"

24ᵇ

(თულუმბაშ -"ტიკის უფროსი") ხმარობენ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობით, "ტოლუმბაში" – "ამხანაგების თავს" ნიშნავს, ხოლო ცნობილი ქართველოლოგის შმიდტის თქმით თამადა ჩერქეზულად - «მამა უფალის» აღმნიშვნელია. ლევან სანიკიძის გადმოცემით, თამადას «ლხინის უფალი» უნდა ერქვას.

თამადობა - მაინც სულ სხვა, დარბაისლურ - ქართველური რიგისა და წესის დემონსტრირება გახლავთ, ამიტომ იგი გვევლინება როგორც შინაგანი მოწოდება, თავისებური ხელოვნება. თამადად არ იბადებიან, თამადად ყალიბდებიან. თამადა ეს არის ტალანტი, იგი ამავდროულად ფსიქოლოგიცაა. თამადად ძირითადად ირჩევენ ჭარმაგ, გამოცდილ, ღირსეულ, პატივსაცემ მამაკაცს, რომელიც ტრადიციის, სუფრის წეს-ჩვეულებების, თადარიგის მცოდნედ და მჭევრმეტყველად ითვლება. სუფრის დანიშნულების მიხედვით თამადას ევალება- "სეფე სიტყვა», ტრადიციული სადღეგრძელოების წარმოთქმა, სუფრაზე წესრიგის დამყარება, სმის წესების დაცვა, ცეკვა-სიმღერის და ლხინის მთელი მსვლელობის რეგულირება. თამადობა იყო და არის ერთი კარგი ქართული ლიტერატურის გაკვეთილი. იგი მთავარი ფიგურაა სუფრაზე და ყოველთვის საპატიო საქმედ ითვლებოდა. თამადა თავისი საქმიანობით შემოქმედია. საქართველოში, სადაც ასე სკრუპოლოზურად არის შესწავლილი და უკიდურესობამდე დახვეწილი სათამადო ხელოვნება, მაგიდის ესთეტიკა, უეჭველია, პირველობისათვის კონკურენცია გაძნელებულია. ამ თავისებურად საინტერესო შეჯიბრებაში უდავოდ უპირატესობა უნდა მიენიჭოს მას, ვის სიტყვაშიც მკაფიოდ ჩანს ეროვნული ძარღვი და ქართველი კაცის ბუნება, ამავე დროს იგი უნდა ხიბლავდეს სუფრის წევრებს ლაპარაკის მანერით, დიქციით, არტისტულობით, ოქროპირობით, მუსიკალურობით; ფიზიკურადაც საინტერესო კაცი უნდა იყოს, რომ ხალხმა ყური ათხოვოს; თავისთავად კარგი სმაც უნდა შეეძლოს. თამადა თუ არ არის დიდი იმპროვიზატორი, თუ ის მხოლოდ გამზადებულ, დაშტამპულ სადღეგრძელოებს ამბობს – ცუდი თამადაა. რომ იტყვიან, როგორც ნიჭიერმა მსახიობმა, თამადამაც სუფრაზე მხატვრული სახე უნდა შექმნას. მე ასეთ სუფრას ერთი მსახიობის თეატრს ვადარებ. ამავე დროს კარგ სპექტაკლს კარგი «მაყურებელი» სჭირდება. შთამბეჭდავია ბრწყინვალე ქართული ხალხური სიმღერის ტექსტი - «სუფრავ გაშლილო - ლხინი ხარ... სუფრისა თავსა მჯდომელო, ბოლომდე მამშვენებელო!.» რაც თამადის ადგილის, როლის, ფუნქციის შესანიშნავი მინიშნებაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველად ქართულ ოჯახებში თამადობას ბავშვობიდანვე აჩვევდნენ, რაც ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება და სმაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ ადათ-წესების და წეს-ჩვეულებების ცოდნაში. ასე მაგალითად, რუსთა ხელმწიფე ალექსი რომანოვის მიერ 1654 წელს თეიმურაზ კახთა მეფის 12 წლის შვილიშვილის ნიკოლოზ ბატონიშვილის საპატივცემულოდ გამართულ წვეულების შესახებასე გადმოსცემს ლევან სანიკიძე «უქარქაშო ხმლებში» - ისევ ღირსეულად ეჭირა თავი ყმაწვილს; იგი თავის დიდებულ პაპას - თეიმურაზს ბაძავდა. სადღეგრძელოებს მოზომილი სიტყვით ამბობდა და სასმურს დინჯად, ცოტ-ცოტა, აუჩქარებლად სვამდა.

სუფრაზე მსხდომთათვის თამადის ყველა წარმოთქმული სადღეგრძელო, ყოველი მითითების შესრულება სავალდებულოდ ითვლება. სადაც ეს არ სრულდება, იქ სრული ანარქია, ქაოსია და სუფრას თავისი სახე დაკარგული აქვს. ამიტომ თამადისადმი მორჩილება და მოსმენა, სუფრის წევრთა მხრივ მთავარი, აუცილებელი პირობა იყო და არის. ეს ურთიერთ პატივისცემის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს. შემთხვევითი თამადის სუფრა უეფექტო, უინტერესოა, დროზე ადრე იშლება და სუფრის წევრების აზროვნებიდან სწრაფად ქრება. გამორჩეული და კარგი თამადის ხელში ყოველს შანსი ეძლევა ჰპოვოს თავისი ადგილი თანამეინახეთა «ორკესტრში», ამავე დროს მისი ფრთიანი, მახვილი სიტყვა თითოეული სუფრის წევრის აღფრთოვანებას იწვევს და მოგონებაში დიდხანს რჩება.

_ ნეტავ ვინ იყო პირველი, საქართველოში თამადა?
ღვინის სმა, სუფრის წესრიგი, ვინც რიგიანად წარმართა.
მისი სახელი არ ვიცით, არც მისი გვარი, სახლობა,
არ მოჰკლებოდეს ხსენება, თამადობისთვის მადლობა.
რ. პეტრიაშვილი

* * *

_ხვავიანია ეს ჩვენი სუფრა, ყველა აცხადებს ამას ,ხმამაღლა,
ვინც "ღარიბ" სუფრას სიტყვით ამდიდრებს, სწორედ ის
არის "ნაღდი" თამადა!
სუფრა კარგია ძლიერი, სავსე გაშლილი ლამაზად,
არა აქვს აზრი "სმა-ჭამას", თუკი არ ვარგა თამადა!
სწორედ ის არის თამადა, სუფრა, რომ მიჰყავს თამამად;
სუფრა იშლება ორ კაცზე, ერთ-ერთი არის თამადა!
გ. ქსოვრელი

* * *

- წყნარად გავწიოთ ქეიფი, ნუ ვიტყვით აჩქარებასა,
ამოვარჩიოთ თამადა, ჩვენ ვიყოთ მისსა ნებასა,
თამადა ღვინოს მიირთმევს, ჩვენ მოგვცემს გაფრთხილებასა,
ვინც, რომა ჩხუბსა ახდენდეს, შარსა და ბოროტებასა,
შუალა ბოძზე დავაბათ, ვაყურებინოთ ყველასა,
ჯიხვი და ჯამი მივარტყათ, ჭიქები ზედიზედაცა,
მესამედ დავაჯარიმოთ, აღარ ელოდეს ლხენასა.
ხალხური

თამადა – ქართული ტრადიციული სუფრის რჩეული ხელმძღვანელი, მეუფე და მშვენება, ღვინის სმის, მოლხენის, პურობის საჭეთმპყრობელი, მამა-პაპათაგან მომადლებულ-მონიჭებული წეს-ჩვეულებების დამცველი და აღმსრულებელი, ენაკვიმატობისა და იუმორის დიდოსტატი.... ქართული ხასიათის ყველაზე საუკეთესო თვისებების – სიდინჯის, თავდაჭერილობის, სიტყვაზომიერების, სიდარბაისლის, ვაჟკაცობის უნარით შემკული ნიჭით დაჯილდოებული უნდა იყოს. თამადის სახეში თავს იყრის ერის ფსიქიკის თანდაყოლილი ჯანსაღი, მყარი თვისებები (ა. ქურდაძე).

_ ჩვენს თამადას გაუმარჯოს, ტკბილი ლხინი გავატაროთ.
ვინც ღვინოში ჭკვას წააგებს, ის სუფრას არ მივაკაროთ...
ჩვენი ტკბილი პურის ჭამა ბოლოს აღარ გავიმწაროთ...
ლხინის სუფრა როცა გვქონდეს იეთიმ-გურჯიც დავიბაროთ.

იეთიმ გურჯი

* * *

_ თამადათ ამოვირჩევდეთ ჩვენს ნიკალას ბრძენსა
სუფრას კარგად გაუძღვება, ღვინოს გვასმევს ბევრსა.

ხალხური

1878 წელს გაზეთ «დროება» №19-ში ზ. ჭიჭინაძე, ზ. მთაწმინდელის ფსევდონიმით სტატიაში «თამადა და ტოლუმბაში» წერდა: «ისე სუფრა არ გაიშლებოდა ჩვენს სახლში, მდიდრებში თუ ღარიბებში, რომ თამადა და ტოლუმბაში არ ამოირჩიონ, არ დასონ სუფრაზე და პირველი ალაგი არ მისცენ. მე აქ მოვიყვან რამდენიმე ცნობასა და სიტყვას, რომელიც ერთმა მოხუცებულმა გადმომცა ამ საგნის შესახებ. ეს ცნობები ტყუილი არ უნდა იყვეს, რადგანაც მთქმელსა თავის პაპისაგან გაუგონია — ჩერქეზიშვილი თამაზისაგან, რომელიც მეფე ერეკლეს დროს დიდად განთქმული ტოლუმბაში და ღვინის მსმელი ყოფილა, ისე რომ თითო ჩარექას ისე დასცლიდაო, რომ ერთსაც არ დაიკვნესებდა და ამისათვისაც უწოდეს მას «ჩარექიშვილი».

_ ლხინის პაპა, სახით არაბისტნელი,
ღვინისა და ეშხისათვის შექმნილი,
ტოლუმბაშად დასვით ქუდ ჩაკეცილი!
მის შკოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი?

გრ. ორბელიანი

თამადა ყოველთვის საუფროსო მაგიდის თავში, ანუ შუა, გამორჩეულ და საპატიო ადგილზე იჯდა.

სუფრის ხელმძღვანელად შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ ნამდვილი თამადა (თავის ხელოვნების ჭეშმარიტი მცოდნე) არც ისე ბევრია. ჯერ კიდევ იოანე პეტრიწის ცნობით XI-XII საუკუნეებში საქართველოში არსებობდა რიტორიკის სამი დარგი - თანამზრახველთა სათათბირო, მოპაექრეთა საპოლემიკო და სასუფრო სათამადო. იქნებ

ამიტომაც მოხდა, რომ ერთადერთი ქართველები ინახავენ სუფრის წესსა და რიგობას. წესრიგი კი სუფრის კულტურის პირველი საფუძველია. უპირველეს ყოვლისა ესაა, სუფრის წევრების ან მასპინძლის მიერ არჩეული თამადა, «სმის მაგისტრი». სავარაუდოა, რომ თამადის კულტმა სუფრის ფენომენში ყველაზე კარგად შემოინახა თავისი პოზიციები დღევანდლამდე. მისი საქმიანობა არ არის უბრალო ტრადიცია და უფუნქციო ფორმალობა. იგი არის სუფრის წინამძღოლი, მთავარი წარმმართველი ძალა. საქართველოში ხშირად ხუმრობენ, რომ – ქართულ სუფრაზე ყველა ისვენებს თამადის გარდაო (ს. თეზელიშვილი).

მოდით, გავერკვეთ, თუ რა საიდუმლო რიტუალის შემცველი შეიძლება იყოს ერთი შეხედვით ისეთი ჩვეულებრივი თავყრილობა, როგორიცაა ქართული სუფრა და მასთან დაკავშირებული თამადის ფენომენი. ღმერთის სიმბოლიური სახე – თამადა, და ღმერთის, ანუ – მამის, ძის და სულისწმინდის სადიდებელი ქართველი კაცის ცნობიერება ერთღმერთიანობის პრინციპზეა აგებული. დიახ, სამყაროს შემოქმედი ერთია, რომელიც ყოველივეს ავსებს და წარმართავს. ქართული სუფრაც სწორედ ამ ერთღმერთიანობის პრინციპზეა აგებული, რაც გამოიხატება თამადის არჩევაში. მაშასადამე ქართული სუფრა – სამყაროს მინი მოდელია, ხოლოთამადა – თავად ღმერთის სიმბოლური გამოხატულებაა. ალბათ ამასაც გულისხმობს ხალხში დამკვიდრებული გამოთქმა: «თამადა ლაპარაკობს – ღმერთი ლაპარაკობს»-ო (ს. სალუაშვილი).

ქართული წეს-ჩვეულებების და ტრადიციების ბრწყინვალე მცოდნე, ვენახისა და ღვინის მადლცხებული, გაწყობილი ქვევრ-მარნით მოამაყე, მოყვასის სტუმართმოყვარეობა დაწაფებული, დარდიმანდი, ლაღი მოქეიფე, მჭევრმეტყველი და ბრძენი_ასეთად წარმოედგინათ ჩვენს წინაპრებს სუფრის თამადა. ისტორიულადაც სუფრაზე ღვინის სმის ნორმას თამადა არეგულირებდა. ზომიერი სმა ყოველთვის იმსახურებდა მოწონებას. პიროვნება თუ ბევრს დალევდა, იქნებოდა თავდაჭერილი, ინარჩუნებდა ზრდილობას, სხვას არ შეაწუხებდა და ბოლომდე რჩებოდა სუფრის მეინა-ხეთ_ასეთი სმა პიროვნების ღირსებად ითვლებოდა. ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს არსებობდა დარბაზი თავისი შემადგენლობით, სადაც იხილებოდა სხვადასხვა საკითხი. დარბაზის მონაწილე მამაკაცებს ერთი აუცილებელი რიტუალი ჰქონდათ _ ორ ლიტრიან სასმისს სვამდნენ. თუ ვინმე დათვრებოდა დარბაზის შემადგენლობიდან უშვებდნენ_» ჯერ დაღვინებული არ არისო».

იყო და არის შემთხვევები, როდესაც პიროვნებას, ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეეძლო დალევა, თამადას სრული უფლება ჰქონდა ის ღვინის სმისგან გაენთავისუფლებინა. მას ასევე უფლება ჰქონდა აღეკვეთა ისეთ პირთა სიმთვრალე, რომელთაგანაც რაიმე ექსცესი იყო მოსალოდნელი. ასე, მაგალითად, კახეთში ნადიმობის დროს ვინც "გაკერპტდებოდა" – თავისი საქციელით ყველას ყურადღებას იპყრობდა, თამადა მას მიუთითებდა – "მომეტებული ღმერთი შეგეწიოსო", ე.ი. მეორედ დაალევინებდნენ ღმერთის შეწევნისას და ჭკუას დაარიგებდნენ საჯაროდ: «იქეიფე, ბიჭო, ნუ ხარ ცეტი, რა შეგრჩება მაგის მეტი, იქნებ მემრე შვილიშვილმა თავში

დაგიშინოს კეტი." თუ ამის შემდეგ კიდევ არ დაწყნარდებოდა, ადღეგრძელებდნენ_"შენს მგზავრობას გაუმარჯოსო". იმ შემთხვევაში თუ არც წავიდოდა და არევას განაგრძობდა, როგორც უღირს თანამესუფრეს, შუა ბოძზე აბამდნენ. "დამნაშავის" ასეთი წესით დასჯა წესად იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც, რაც დასტურდება ეთნოგრაფიული ლიტერატურითაც.

_ გრძლად სუფრული შემოსძახეს, სხვას სიმღერას არ აცლიან,
თვით თამადა ჭირვეულობს - აირჩიეს ვეღარ სცვლიან.
ს. შანშიაშვილი

აღსანიშნავია, რომ წარსულში იარაღით სუფრასთან ჯდომა მიუღებლად ითვლებოდა და ეს წესი მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მოქმედებდა. თამადა, ვიდრე ნადიმს მსვლელობას მისცემდა, იქ მჯდომ ყველა მამაკაცს შეახსენებდა – "იარაღი შეიხსენითო" და ამის მაგალითს პირველი თვითონ იძლეოდა. ყველა ვალდებული იყო, ეს მითითება შეესრულებინა და სანადიმო სუფრასთან უიარაღოდ მჯდარიყო. სტუმრების იარაღს ოჯახის უფროსი მამაკაცი საიმედოდ ინახავდა ნადიმის დასრულებამდე. ვინმე სუფრასთან თუ იარაღით ჯდომას მოინდომებდა, მას შეახსენებდნენ, რომ სტუმარ-მასპინძლობის წესს არღვევდა და ისიც იძულებული იყო ან საერთო წესს დამორჩილებოდა, ან სუფრა მიეტოვებინა (თ. იველაშვილი). როგორც ჩანს, აღნიშნული ჩვეულება ჩვენი ხალხის სტუმარ-მასპინძლობის უძველესი ტრადიციებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ჩვენში წესადაა სუფრასთან დაგვიანებულის (შემოსწრებუ-ლის) სადღეგრძელოს დალევა. თამადა და სუფრის წევრები სვამენ ახლად შემოსული პიროვნების სადღეგრძელოს. სტუმარიც ვალდებულია მიიღოს შემოთავაზებული სასმელი და შესვას სადღეგრძელო – "თავი დაიჯარიმოს"; იგი მხოლოდ ამის შემდეგ უერთდება დამხდურთა წრეს და ხდება სუფრის სრულუფლებიანი წევრი.

სალხინო სუფრიდან ქართული საგუნდო თუ ინდივიდუალური სიმღერებისა და ცეკვების უგულებელყოფამ თავისთავად შეუწყო ხელი თრობას, რადგან ძველად პურობის დიდი დრო გრძელ სუფრულ სიმღერებს და ქართულ ცეკვებს ეკავა. ღვინის გრადუსი, სიმღერისა და ცეკვის ხანგრძლივობაზე იყო გათვლილი. სამწუხაროდ ზოგჯერ დღევანდელი ლხინისა და სამგლოვიარო სუფრის თამადა ერთიმეორისაგან არაფრით განსხვავდება. ასეთ პიროვნებას შეუძლია მხოლოდ ბევრი დალიოს და სხვასაც დააძალოს, რაც ქართული ტრადიციული წეს-ჩვეულებების უგულებელყოფას ნიშნავს. სუფრის ნორმალურად წარმართვის, ლხინისა და საქეიფო განწყობისათვის უნდა გამოვიყენოთ პატარა მოცულობის სასმისები, რაც ადრეულ პერიოდში ჩვენში წესად იყო. იყენებდნენ თხის ან მოზვრის რქას _ არყისთვის, ხოლო თიხის მომცრო ჯამს _ ღვინისა და ლუდისთვის. შემდგომში კი ღვინის დასალევად განკუთვნილი ჭიქა ამშვენებდა ქართულ სუფრას.

სუფრა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ქართული ყოფის ტრადიციებმა შექმნა საქართველოში და არა რაიმე თეორიებმა და დაწერილმა კანონებმა. ღვინის სმას სუფრასთან იწყებდნენ პატარ-პატარა ჭიქებით, ამ პატარა ჭიქებს დღესაც ღვინის ჭიქებს ეძახიან. ორგანიზმი უნდა შეგუებოდა ალკოჰოლს. განსხვავებული სასმისით (ხარის რქისა თუ ჯიხვის რქის ყანწი _ საქართველოს მთიანეთსა და ბარში, "მარანი" და "კულა" _ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და ზეგანის რაიონები) მხოლოდ ცალკეულ განსხვავებულ სადღეგრძელოებს სვამდნენ. ღვინის სასმისის პირამდე შევსება ულამაზოა (ღვინის და საკუთარი თავის შეურაცხყოფაა). ოქროს წესად მიჩნეულია - დიდ სასმისში ჩაისხას მოცულობის მეოთხედი, უფრო პატარა სასმისში - მესამედი რაოდენობა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ წარსულში სპირტიან სასმელს სვამდა ის, ვისაც შეეძლო და იტანდა. სასმელის მიღება ნებაყოფლობითი იყო და არა ძალდატანებითი. ზემოაღნიშნულმა კარგმა ტრადიციამ ზოგიერთ შემთხვევაში დღეს ყოვლად გაუმართლებელი და მახინჯი სახე მიიღო. ასე, მაგალითად, ერთი სადღეგრძელოს რამდენიმე ჭიქით, სხვადასხვა ზომის ჭურჭლით (ბოთლი, გრაფინი, თასი და სხვა) შესმა, რაც შემდგომ ზოგიერთი პიროვნების სმის შესაძლებლობის და საკუთარი თავის უკონტროლობის გამო სუფრა გაუმართლებელ შეჯიბრში იზრდება, კარგავს მისთვის დამახასიათებელ სახეს და გადადის ღრეობაში, ზოგჯერ უსიამოვნო შეხლა-შემოხლაშიც კი. ყველანაირად მიღებულია ეგრეთ წოდებული კახური (კარდენახული) წესით სასმისის შევსება-შესმა, რაც ბახუსის მოყვარულებს არ მისცემს ზედმეტი სასმელის მიღების საშუალებას.

_ ჯამი და ჭიქა ყველაი, ფეროზისა და ლალისა.
არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშვება მთვრალისა.
შოთა

აღსანიშნავია ისიც, რომ წარსულში საქართველოს მთიანეთის საკულტო დღეობა-წვეულებებზე თამადას არ ირჩევდნენ _ მის მოვალეობას ხევისბერი, დეკანოზი, ან გვარ-ხატის რომელიმე მსახური ასრულებდა, საოჯახო სარიტუალო პურობას კი ოჯახის უფროსი მამაკაცი უძღვებოდა. სადაც სპეციალურად მოხარშულ ლუდსა და ჟიპიტაურს მიირთმევდნენ.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ქართველი კაცი სულ ძიებაში იყო, თანმიმდევრულად ცვლიდა არსებულ წეს-ჩვეულებებს დამასში შექონდა ახალი, პროგრესული, საინტერესო და მისაღები შტრიხები. ასე, მაგალითად, სერგი მაკალათიას მიერ აღწერილ მოხევეთა წეს-ჩვეულებების შესახებ ნათქვამია: ჯერ კიდევ 1901 წელს მოხევეებმა იგრძნეს გადაჭარბებული, გრძელი მამაპაპური ქორწილებისა და ქელეხების მავნებლობა, შეიყარნენ თემები და გამოიტანეს თავიანთი განაჩენი. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ დადგე-ნილების ტექსტს, სადაც ჩამოთვლილია ქორწილისა და ქელეხის შეცვლილი წესები, რაც უდაოდ საინტერესოა თავისი ხასიათით და შინაარსით.

"წარსული მარტის პირველს სოფ. სტეფანწმინდაში მთლად ხევის ყრილობა მოხდა. საგნად ქორწილებისა და ქელეხების შემცირება ჰქონდათ. ვინ იცის, კიდევ სადამდის გასტანდა ეს ხალხის ცუდ-უბრალოდ გამაღატაკებელი და დამღუპავი ჩვეულება, რომ საქართველოს სამხედრო გზაზედ მოხევეთათვის მუშაობა და ქირის ზიდვა არ მოსპობილიყო. დავინახეთ მოხევეებმა, რომ ამ ვიწრო ხევში მომწყვდეულთ გამორჩენა აღარსაიდანა გვაქვს და უშოვნელობა-უქონლობამ "რჯულთუმტკიცესი ჩვეულების" შეცვლა გვაფიქრებინა... საჭიროა ამისათვის ეს ძველი ჩვეულება და წესი ერთხელ კიდევ გაუმეოროთ მკითხველს». დავიწყოთ ქალის გათხოვებიდან:

1. ქალს რომ გაათხოვებენ, სასიძო ქალის პატრონს "ნიშანს" 5-15 მან. აძლევდა და ამავე დღეს ვაჟის პატრონიც და ქალისაცა თავ-თავის სახლში დიდის ხარჯით "კარგს" ნიშნობას იხდიდნენ. ეხლა კი, ახალ წესით, ნიშანი 3 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს და არაფერი ხარჯი არ უნდა გასწიონ არც ქალის პატრონმა და არც ვაჟისამ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასოფლო საზოგადოების სასარგებლოდ 10 მან. ჯარიმას გადაიხდიან, რაიცა ხალხის საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

2. დანიშვნიდგან მე-2-6 თვეზედ სიძე მოვიდოდა ცოლეურთასა და თან 3-6 ვედრო არაყს მოიტანდა, 100-200 წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარს ხმიადსა (პურს) და 1/2 ფუთს ყველს. ქალის პატრონიც დაიპატიჟებდა ყველა მეზობელს, მოკეთეებს, სიძისაგან მიტანილი სასმელ-საჭმელით პატივსა სცემდა და ახალადდანიშნულთ დაალოცვინებდა. ამას "სასიძოდ მოსვლა" ჰქვიან. ახალის წესით, სასიძოდ სიძემ მხოლოდ ერთი ვედრო არაყი უნდა მოიტანოს, 30 პური და 10 გირ. ყველი. თუ მეტი მოიტანა, საზოგადოებისავე სასარგებლოდ 10 მან. ჯარიმას გადაიხდის.

3. ქალის პატრონს ურვათში 80-200 მან. აძლევდნენ; ეხლა კი 50 მან. არ უნდა აღემატებოდეს ქალში და 25 მან. ნაქვრივალში. ვინც მეტ ურვათს გაიღებს ან აიღებს, 50 მან. ჯარიმას გადაიხდის (ყველა ჯარიმა ხალხის _ მოხევეების სასარგებლოდ იქნება გადადებული).

4. ჩვეულებად იყო ჩვენში, ვინც ქვრივს შეირთავდა, ძველნი ქმრეულნი ქვრივისანნი შემრთველს უმტრობდნენ და მტრობა ზოგჯერ სიკვდილით ბოლოვდებოდა. ახალის წესით, ეს ჩვეულება სრულიად მოსპობილ უნდა იქნას და დამრღვევი ამ წესისა დაჯარიმდეს 10 მან. და გარდა ამისა დასასჯელად გადაეცეს სასამართლოს.

5. წინათ დანიშნულთაგანი, ქალი ან ვაჟი თუ ჯვრის-წერამდე ერთი მეორეს დაიწუნებდნენ, მძახლებს შორის დიდი მტრობა და შფოთი ჩამოვარდებოდა. ახალის წესით, თუ ერთმა მეორე დაიწუნა არა საყურადღებო მიზეზით, დამწუნებელმა 50 მან. უნდა გადაიხადოს დაწუნებულის სასარგებლოდ და 50 მან. ჯარიმა სასოფლო საზოგადოების სასარგებლოდ და ამით საქმე საბოლოოდ გათავდება.

6. ვინც ძველი წესით იყვნენ დანიშნულნი ამ პირობის დადგენამდე, თუ მათ ჯვარი არ დაუწერიათ, ურვათი და ყოველგვარი ხარჯი ახლის წესით უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში 50 მან. დაჯარიმდებიან.

7. ქალის პატრონს წინათ ვალად ედო ქალის გათხოვებიდან ერთი-ორი თვის შემდეგ თავისი მძახალთაგანი, მეზობლები, კეთილის მყოფლები და ორი საპატიო კაცი მოეწვია თავისას, დაეკლა ცხვარი, 2-4 ვედრო არაყი ეყიდნა, ან შინ გამოეხადა. ამას ჰქვიან "მთხოვართ მირეკა". მთხოვართ მირეკა ეხლა სრულიად მოსპო ხალხმა და ვინც კიდევ გაბედავს, 10 მან. ჯარიმა გადაჰხდება.

8. ცოლეურნი მოვალენი იყვნენ სიძისათვის ერთი ხელი ტანისამოსი შეეკერათ, ხოლო სიძე მანამ დაასაჩუქრებდა სიდედრს. ახალის წესით, არც სიძეს უნდა შეუკერონ ტანისამოსი და აღარც სიძემ უნდა დაასაჩუქროს სიდედრი. თუ არ დაიშალეს ორივენი ხუთ-ხუთი მანეთით დაჯარიმდებიან.

9. ყველა მოკეთე კაციც და დედაკაციც ვალდებული იყო თავის ნათესავის საცოლე ჯვრის დაწერამდე 20 კაპ. _ 5 მან. დაესაჩუქრებინა ან ფულით, ან ტანისამოსით. დასაჩუქრებულს ქალსაც უთუოდ საჩუქრადვე უნდა მიეტანა როცა მიიყვანდნენ, ყველა დამსაჩუქრებლებისათვის, ზოგისათვის ჩოხა, ზოგისათვის ახალუხი, წუღა-მესტი, ქისა, საპერანგე და სხვა ამისთანები. ვაი, იმ სარძლოს, რომელიც საჩუქრისათვის საჩუქარს წესიერად ვერ შეუფერებდა. სამდურავი დედოფლობას ცუდად ჩაუმწარდებოდა _ "ორი მანეთით დავნიშნე (დავასაჩუქრე) და ქისა მომიტანაო" და სხვა. ამასობაში პატივისცემა და საჩუქრები მოკეთეთა შორის მტრობასა და უსიამოვნობასა ჰბადებდნენ. ამიტომ საჩუქრები მოსპეს და, თუ ვინმე კიდევ დაასაჩუქრებს, დამსაჩუქრებელიც და დასაჩუქრებულიც ხუთ-ხუთ მანეთს ჯარიმას გადაიხდიან.

10. ქორწილის წინა დღეს მეფე მოვალე იყო თავისს ცოლეურთათვის 2 ცხვარი და არაყი მიეცა, არა ნაკლებ ერთი ვედროსი. ხოლო ქალის პატრონს ეს არაყი და საკლავები ქალის ქორწილში უნდა დაეხარჯა. ქალის პატრონს თავისი შინაური არაყი რომ უფრო ცოტა დაჰხარჯოდა, მეფეს ებარებოდა: _ არაყი ცოტა მოგიტანიაო. და ეს უბრალო საქმეც ზოგჯერ აურზაურს და დავიდარაბას იწვევდა ხოლმე. ამის ასაცილებლად ახალს განაჩენში არაყი სრულიად მოსპეს.

11. მაყრებში ხშირად მეფესა და დედოფალს იმდენი გაჰყვებოდნენ ხოლმე, რომ რიცხვით ქორწილში მოწვეულს ხალხს სჭარბობდნენ და ზოგიერთს შეუძლო ოჯახიშვილს მოულოდნელად ამდენი მაყრების თავდასხმა და გამასპინძლება უკანასკნელ დღეში აგდებდა. ახალის წესით, მაყრების მეფის მხრივ მეფე-ეჯიფეს გარდა ხუთის მეტი არ შეიძლება და დედოფლის მხრივაც ამდენივე. პირის გამტეხს ჯარიმათ 5 მან. გადახდება სოფლის საზოგადოებისავე სასარგებლოდ.

12. მეჯვარე ვალდებული იყო ჯვრისწერის მეორე დღეს ნეფე, მაყრები და სტუმრები თავისს სახლში დაეპატიჟნა და კარგად გამასპინძლებოდა. დედოფალიც ვალდებული იყო მეჯვარისათვის მამის სახლიდან საჩუქრად ერთი ბუმბულის ბალიში, ერთი ქვეშსაგები ნაბადი, წუღა-მესტები და ახალუხი ან ჩოხა მიეტანა. ყრილობის დადგენილებით, მეჯვარეცა და დედოფალიც ამ ხარჯებისაგან თავისუფალნი არიან. თუ რომელიმემ ეს გადაწყვეტილება დაარღვია 10 მანეთით დაჯარიმდება.

ეს გახლავთ ნიშნობა-ქორწილი. ახლა მოგახსენებთ თუ რა ცვლილება შემოიღეს ქელეხში:

1. ქელეხში კავკავიდან მოქონდათ გამომცხვარი პური (ლავაში), მე-2 ხარისხისა 20-80 ფუთი; დახოცავენ 2-10 ცხვარს, თუ ცხვარი არ იშოვებოდა, ერთს ან ორ ძროხას, თუ არა და ხარს. ხარის დაკვლა ქელეხში უფრო სახელი იყო; ამასთანავე ყველი 1-5 ფუთი; ღვინო და არაყი რამდენის დალევასაც კი ხალხი შეიძლებდა, და ადვილად წარმოიდგენთ, მკითხველო, რომ ცოცხლებიც მკვდართან ერთად იმარხებოდნენ. ახალს განაჩენში ასე გახლავთ: პური უთუოდ შინ გამომცხვარი უნდა იყოს. ხუთ ფუთზე მეტი არ შეიძლება და ნაკლებისა ნება აქვთ. საკლავი (ცხვარი ან ხბო) 1-3 უნდა დაკლან. თუ წვრილი საკლავი ვერ იშოვება იმ შემთხვევაში ძროხის დაკვლაც შეუძლიან. სათრობი სასმელი ქელეხში სასტიკად აკრძალულია, თვით მესაფლავეებისათვისაც კი, რომლებისათვის უეჭველად საჭირო იყო გაყინული მიწის თხრის დროს ზამთარში, ქარბუქში. მარხვაში პურს გარდა მარტო ლობიო უნდა იხმარონ; თუ ლობიო არ იშოვება, მაშინ ბრინჯი, ხოლო ერთად ორი და სამი ფერი სამარხვო საჭმელი აკრძალულია. თუ გარდაცვლილი შვიდ წლისაზე მეტი არ არის 2 ფუთი ფქვილის პური უნდა გამოაცხონ, ერთი ცხვარი დაჰკლან და რომლისამე დღესასწაულში ერთი "დღიაისწელი" (სუფრა) დაუდგან. მეტი ხარჯვის გაწევა არავის შეუძლიან, ხოლო ნაკლებისა ყველას ნება აქვს. ვინც მეტს ხარჯს იზამს 50 მან. ჯარიმას გადაიხდის.

2. თუ ძალიან ახლო ნათესავი და მოკეთე არ არის, ან შემ-წევი, ქელეხში დასწრება არ შეუძლიან არც კაცსა და არც დედაკაცსა; წინააღმდეგს შემთხვევაში 3 მან. ჯარიმა წაერთმევა.

3. წინად წესად იყო, რაც სუფრაზე საჭმელი იქნებოდა დედაკაცებს მთლად შინ უნდა წაეღოთ, ეხლა კი აკრძალულია და თუ ვისმეს საჭმლის წაღება შეამჩნიეს 3 მან. ჯარიმა წაერთმევა. ამ წესების დასაცველად ყველა სოფლებში კაცები არიან დანიშნულნი, ამ კაცებმა მამასახლისს უნდა შეატყობინონ და მამასახლისი პირდაპირ ვალდებულია ხევის გადაწყვეტილება აღსრულებაში მოიყვანოს.

4. აქამდის ჭირისუფალი ქელეხს გარდა "დღიაისწელს" (სუფრას) სხვას სდგამდა წლის დამლევამდის. ეხლა კი მხოლოდ სამი სუფრაღა უნდა დასდგას; ვინც მეტს იზამს 50 მან. ჯარიმა წაერთმევა.

5. "ხორცის ჭმევა" ჩვეულებად იყო. დედაკაცი რომ დაქვრივდებოდა რამდენსამე თვეს და ზოგჯერ წელსაც ხორცს აღარ სჭამდა. შემდეგ დაქვრივებულის მამის სახლიდგან წავიდოდნენ დაქვრივებულ ქალის ოჯახში თან წაიღებდნენ რამოდენიმე ვედრო არაყს, ცხვარს, 40-120 პურსა და 20 გირვანქა ყველს. მოიწვევდნენ მეზობლებსა და ბიძაშვილებს დაქვრივებული ქალის ქმრისას და კარგად გაუმასპინძლდებოდნენ. ჩამოარიგებდნენ პატივისმცემლის სადღეგრძელოს, მკვდრის შესანდობარსა და ახლად დაქვრივებულსაც ხორცით მარხულობას გაახსნევინებდნენ. აი, ამას ერქვა "ხორცის ჭმევა". ხორცის ჭმევა ხალხმა მოსპო და თუ ვინმემ კიდევ გაბედა 10 მან. დაჯარიმდება.

6. "საქვრივოდ მისვლა" როცა ქვრივი სხვაზე გათხოვდება ძველი ქმრეულნი მის შემრთველს მტრად გადაეკიდებოდნენ. ეს მტრობა იმ დრომდის არ მოისპობოდა, ვიდრე ქვრივის წინანდელ ქმრეულის საგვარეულოში საპატიო კაცთაგანი არავინ გარდაიცვლებოდა. მაშინ კი მათი ნაქვრივალი რამდენსამე ვედრო არაყს მოიტანდა 40-

120 პურს, 20-40 გირ. ყველსა და ზოგჯერ ფულსაც. იტირებდა მკვდარს, ძველის ოჯახის წევრებს შეურიგდებოდა და მოუსამძიმრებდა. ამასაც ძველნი ქმრეულნი 5მან. დაასაჩუქრებდნენ. ამ დღიდგან მათ შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა. აი ეს იყო "საქვრივოდ მისვლა". საქვრივოდ მისვლაში ნაქვრივალმა ეხლა უნდა მიიტანოს არა უმეტეს ერთი ვედრო არაყისა, 30 პურისა და 10 გირ. ყველისა. მეტის მიმტანი 10 მან. დაჯარიმდება.

7. ჩვენში წესად არის მიღებული, თუ სხვა სოფლელი გარდაიცვალა სოფელში, ჭირისუფალს მიცვალებულის წაღების დროს სოფელმა პატივისცემა და შემწეობა უნდა აღმოუჩინოს. ეს პატივისცემა უფრო ხშირად სასმელით ხდებოდა ხოლმე, რისაც ჭირისუფალს არაფერი ემადლებოდა. ყრილობის განაჩენის ძალით, სასმლით პატივისცემა მოისპო და მის მაგიერად ფულით უნდა შეეწივნენ. თუ ვინმე სასმლითა სცემს პატივს 5 მან. დაჯარიმდება.

8. კაცის გარდაცვლის შემდეგ (დედაკაცზე ეს წესი არ არის) მეოთხე-მეხუთე დღეს ჭირისუფალი თავისს სოფელს მიუძახებს, ვისაც კი თოფის ხმარება შეუძლიან, გავლენ სოფლის განაპირად, დააყენებენ 200 ბიჯის მანძილზედ ხელის ტოლა მრგვალს ფიცარის ნიშანს, რომელსაც თეთრი ქაღალდი აქვს გაკრული და უფროსობით რიგზედ თოფის სროლას დაიწყებენ. ვინც პირველად ნიშანს ტყვიას მოარტყამს, ჭირისუფლისაგან იქვე ერთ მანეთს მიიღებს საჩუქრად, მეორედ მომრტყმელი_60კაპ. მესამე_40 კაპ. სამჯერ რომ მოარტყამდნენ სროლა გათავდება. შემდეგ ჭირისუფალი ხალხს სასმელს გამოუტანს, 4-6 ყანწს არაყს ყველას დაალევინებს და მიცვალებულისთვის "შენდობას" ათქმევინებს. ამას "თოფის ხმის გატეხა"ჰქვიან და ვიდრე თოფის ხმას არ გაატეხინებს ჭირისუფალი, სოფელში თოფს ვერავინ გაისვრის და ვერც სანადიროდ ვინმე წავა, დიდი სირცხვილია. თოფის ხმას ყველა უთუოდ გაატეხინებს, თუნდაც სულ ღარიბი ოჯახის შვილი იყოს; ხოლო ვინც უფრო შეძლებულია ის ერთხელს ახალ ტანისამოსს გადასდებს ფულის მაგიერად და ვინც ნიშანს ტყვიას პირველად მოარტყამს, ტანისამოსში რომელი ნაჭერიც მოსწონს იმას აიღებს, მეორე მომრტყმელიც აგრეთვე დანარჩენებიდან აარჩევს და ასე მიჰყვებიან ვიდრე თოფის სროლით ტანისამისს სრულიად არ აიღებენ. ტანისამოსი უნდა იყოს: ჩოხა, ახალუხი, ნაბადი, ქუდი, ყაბალახი, წუღა-მესტები, შარვალი და ერთი ხელი საცვალი. ამას ჰქვია "შესანდობარი". შესანდობის ტანისამოსს საუკესო ხელოსანს აკერვინებენ ყოველთვის. ეს წესი ხალხმა არ მოშალა და არც შეცვალა, რადგანაც ხალხის თოფის სროლაში გაწვრთვნისათვის იგი საუკეთესო საშუალებაა.

აი, ყველა ეს ზემოთ დასახელებული საგნები 1-ს მარტს იქმნა განხილული 1901 წელს მოხევეთა ყრილობისაგან, რომელთა განაჩენზედ ყველამ ხელი მოაწერა. ასეთი ცვლილებები საქართველოს ყველა კუთხეში მიმდინარეობდა საუკუნეების მანძილზე, რაც განპირობებული იყო იმით თუ როგორ სარწმუნოებას მისდევდა იგი, როგორ გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, ან როგორი იყო მათი შრომითი დამოკიდებულება ალკოჰოლის შემცველი კულტურის მოვლა-მოშენებაზე და სხვა. ჩვენში რომ სპეციალური წესები არსებობდა სუფრასთან დაკავშირებით ამაზე ივ.

ჯავახიშვილიც აღნიშნავს: "სადღეგრძელოები და ქეიფი, რომლითაც ქართველები სახელგანთქმულია, მხოლოდ მე-15 საუკუნეში შემოვიდა".

ტრადიციული იყო ვითარების მიხედვით სადღეგრძელოების რაოდენობის განსაზღვრაც. მის წყობას, ჩამონათვალს რაღაც გამოკვეთილი სცენარიც კი გააჩნდა. სადღეგრძელო, სუფრაზე ვისიმე დღეგრძელობისათვის, კეთილდღეობისათვის წარმოთქმული სიტყვა და შესმული სასმელია. სადღეგრძელოს ყოველთვის თავისი ადრესატი ყავს. გრ. რობაქიძის თქმით სადღეგრძელო არის – შესახელება. წარმოთქვამს თამადა, ვარიანტების სახით იმეორებენ თანამესუფრენიც. არის ტრადიციული ხალხური სადღეგრძელოები, რომლებშიც იცვლებიან ადრესატები. განასხვავებენ სალხინო და მოსაგონარ სადღეგრძელოებს.

_ ოცნებაა ჩემო ძველო, ვართ ღამისა მთეველი
ბევრი, ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი
სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც შიშმა ვერ დახარა
ვიდგეთ ფეხზე ჩვენ თბილისი ვადღეგრძელოთ ჭაღარა!

აქ სიცოცხლე და ხალისი ვის სხვად არ ესვენება
სადღეგრძელო იყოს მისი და დიდებით ხსენება.
მოდიოდა ერთზე ასი, _ გზა გშვენოდა დიდების,
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი, ბედთან არ დარიდების.

გ. ტაბიძე

ცნობილი ქართველი მეცენატის, ეროვნული კულტურის დიდი მოამაგის _ დავით სარაჯიშვილის ოჯახში ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი მოთხრობის "ოთარაანთ ქვრივის" საზოგადოებისათვის პირველად გაცნობის და წაკითხვის შემდეგ გამართულ ვახშამზე თამადად არჩეულმა რაფიელ ერისთავმა (იგი ცნობილ თამადად იყო აღიარებული) მართლაც რომ ლაზათი დასდო სუფრას. ამ ფაქტის თვითმხილველის იაკობ მანსვეტაშვილის თქმით ... "ვის სადღეგრძელოსაც დალევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითა მიჰმართავდა, ხან ექსპრომტად ლექსსაც ჩააკერებდა... მახსოვს კარგად ერთ-ერთ სუფრაზე იგი ალექსანდრე ჩოლოყაშვილის (ქართული ბანკის დირექტორი) სადღეგრძელოს ამბობდა, რომელიც იმ ხანებში ქალაქის საბჭოში (дума) ხმოსნად იქნა არჩეული _ "ჩემო ალექსანდრე, გიყვარდა კეთილი ცხოვრება და სულ იმას ნატრობდი, რომ კაი, მსუქანი ლუკმა გეშოვნა. აკი აგიხდა ნატვრა, ეხლა ქალაქის "дума" ხელში გიჭირავს, სთალე და სთალე , ნუ დაზოგავ, მსუქანი დუმააო». პეტრე უმიკაშვილის დღეგრძელობისას კი ალავერდი ნიკოლოზ ერისთავთან გადავიდა და თან დააყოლა: «შენთვის მომინდვია, ყური უგდე პეტრეს და თუ ჭიქა არ გამოცალოს, ულვაში აუწიეო». ყველას სიცილი წასკდა, ვინაიდან პეტრე წვერ-ულვაშს საერთოდ არ ატარებდა.

_ ყანწი მიყვარს მე, სპეტაკად თლილი,
ტურფა, მოხრილი, ბოლოში წვრილი;
ყანწით მიყვარს სმა ძველებურადა:
ლხინით, ღიღინით, ტკბილად, ძმურადა!

რად მინდა ჭიქა, რად მინდა ბროლი,
მე ყანწი მიყვარს, ყანწი ნასროლი-ტოლუმბაშისგან...
ყანწით სმა უფრო უხდება ლხინსა...
სანამ არ დასცლი, ვერ დასდგამ ძირსა!

მაშ, მოდით ისევ ყანწს ვტაცოთ ხელი,
ის არის სუფრის შემამკობელი!
გთხოვთ, ყველგან ლხინი ყანწით დაიწყოთ,
ყანწი აღარსად არ დაივიწყოთ!

რადგან სხვა სოფელს ვართ წასასვლელნი...
ამისიცა ვარ კვლავად მთხოვნელი:
როდესაც მოვკვდე, მოიხმეთ მღვდელი
და ყანწითა სვით შესანდობელი.

რ. ერისთავი

სამაგალითო სუფრის გაწყობა სცოდნია თურმე თავად ჩვენს სასიქადულო მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს. მისი თანამედროვე იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს: «ილია თუმც ძლიერ ხელმოჭერილი იყო, მაგრამ პურადობით, მასპინძლობით არც ერთს ქართველს არ ჩამოუვარდებოდა, თვითონაც უყვარდა სმა და ჭამა «ფრიად მარგე», იცოდა ჭამა ხარბად, საფუძვლიანად და სტუმრებსაც გულუხვად, ხელგაშლილად დაუხვდებოდა ხოლმე...»

იაკობ მანსვეტლაშვილის გადმოცემით ყოველ წელს ილიასადმი მიძღვნილ "ილიაობის" დღესასწაულზე იკვლებოდა რამდენიმე ძროხა, ცხვარი, ბატი, აუარებელი ქათამი და ვარიები. ცხვებოდა ასევე უამრავი შოთი პური, ნაზუქი, იხდებოდა ქვევრები საგურამოსი და ყვარლული ღვინოებით სავსე. ყოველ დღეობაზე დაახლოებით სამი საპალნე (საპალნე უდრიდა 750 ბოთლს) ღვინო იხარჯებოდა. ცოცხალი ზუთხი მოდიოდა ფოთიდან ეპისკოპოს გრიგოლ დადიანისაგან, არაგვიდან ცოცხალი ორაგული მოჰქონდათ საგურამოელ გლეხებს. იშლებოდა ოთხი, ხუთი სუფრა კაკლის ქვეშ _ ჩამოსული სტუმრებისათვის, კაკლის გაყოლებაზე _ წინამძღვრიანთ სკოლის მოწაფეებისათვის, მათ გაყოლებაზე კი გლეხებისათვის. მარტო გლეხების სუფრა საშუალოდ სამას კაცამდე შედგებოდა. თითქმის ყველა «ილიაობაში» მონაწილეობდა კარგად ცნობილი გოგი ყარაგოზიშვილი, განთქმული მოქეიფე, დარდიმანდი, ლოთი-შფოთი, რომელიც სმის დროს ჭკუას არ კარგავდა, ღვინის დალევა თავისებური ფოკუსებით იცოდა. მაგალითად სავსე ჭიქას დაიდგამდა ხელის გულზე, მერე ხელს ისე

მოიღრეცავდა, გადმოატრიალებდა, ჭიქაც ზედვე ედგა, არც ღვინო უნდა დაღვროდა და ასე უნდა დაელია.

რა მოთვლის რამდენი სუფრა გაშლილა საქართველოში, რომელსაც სხვადასხვა შინაარსი, ხასიათი, დანიშნულება და მისამართი ჰქონია. რამდენი ესთეტიური, ემოციური და სულიერი სიამოვნება უგრძვნია ქართველ კაცს ასეთი სუფრებისა თუ ნადიმებისაგან.

_ უკვე ჩათავდა სოფლად რთველი და ყურძნის კრეფა,
აზვავებული შემოდგომა ბეღლებს ჩაბარდა.
სტუმრებისათვის ლავაშებით დახურეს სეფა
და ჭავჭავაძე გულბაათი დასვეს თამადად.
დასვეს თამადად გოლიათი მსმელი კახელთა,
დასვეს და დაჯდა, დაიმშვენა, სუფრას გახედა:
ჩანდნენ ორ მწკრივად ჟღალ ჩოხებში ძველი მსმელები,
ღვინო სწყუროდათ, ღვინის ეშხით ვერ ისვენებდნენ.
მან ჯერ ულვაში გადიგრიხა ყურებზე, უკან,
მერე პირველმა წესისამებრ გატეხა ლუკმა,
თასი ასწია, მიულოცა ლხინი თავადთა
და აზარფეშამ ფრინველივით გაინავარდა.
სვეს უმოწყალოდ ღვინოები ცეცხლის მფრქვევლები,
მერიქიფეებს აღარ შერჩათ ხელში ქვევრები.
მოფარდაგულზე გაიშხვართნენ მსმელი კაცები,
ლეკურებივით მოიქნიეს სველი ყანწები.
და როცა სუფრას აღარ შერჩა ერთი კაციცა,
როცა ლავაშით დახურული სეფაც დაიქცა,
როცა დაიმსხვრა სასმურები და დაილია, _
მაშინ გულბაათ ჭავჭავაძე გადაირია,
გადაირია, როგორც ერთ დროს შედან ჭილაძე
და იერიში მიიტანა წვრილ ჭინჭილაზე...
_ კაცი ვშობილვარ, ეს ცხოვრება დამილევია
და გაბმულ სმაში ჭინჭილით არ დამილევია.
_ ბატონიშვილო, ეს ჭინჭილა გადაგრჩათ მარტო,
ღვინით შეუვსეთ და მოართვით ჭინჭილა ბატონს.
შეტორტმანებულს ნახევარიც არ დაელია,
წყენით წამოცდა: «ეს ოხერი რომ არ გათავდა!»
სანთელს გახედა, მოეჩვენა ერთი ათადა,
თვალთ დაუბნელდა, დაეკარგა მუხლებში ძალა,
წაიბორძიკა, წაიფირთხილ-წაიბანცალა
და ნაცოხნარით გაბერილი, როგორც კამეჩი,

აზრდაკარგული გაიშხვართა შუაღამეში.
ჭერი შეინძრა, იატაკმა გაიჭრიჭინა,
თაიგულივით ხელში შერჩა ჭრელი ჭინჭილა.
გაჩაღებოდა მაღვალაკი თვალი კახურში,
და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი.
თითქოს იტყოდა: «მასპინძელო, ეს რა კაცია,
ქვევრებსა ნთქავდა და ჭინჭილამ ვით წააქცია!»

ლ. ასათიანი

1829 წელს ალექსანდრე პუშკინის თბილისში სტუმრობის დროს გამართული ნადიმის შესახებ კონსტანტინე სევესტიანოვი ასე აღწერს: "ნადიმის საღამომ შეუმჩევლად გაიარა, სხვადასხვა საკითხზე ამბების თხრობაში და სასაცილო ანეგდოტების მოყოლაში. აქ იყო ზურნაც და თამაშიც, ლეკურიცა და სევდიანი სპარსული ჰანგებიც. ასეთ დროს პუშკინი თავს ანებებდა საუბარს და ისწრაფოდა მოესმინა ქართული სათამაშო ან იმერული მესტვირე მოშაირეებისათვის.

ღამის პირველ საათამდე გასტანა კონცერტმა საზაფხულო თეატრის დარბაზში. ბაღში ყველგან სუფრა იყო გაშლილი. ვანო სარაჯიშვილმა (საქართველოს ბულბულმა) სურვილი გამოსთქვა ლხინი ვერის ბაღებში გაგრძელებულიყო. ცოტა ხნის შემდეგ რესტორან «ფანტაზიას» ეწვივნენ. საამო და წარმტაცი იყო ეს ბაღი-რესტორანი, მეტადრე გათენების ჟამს. ვანოს პოეტური ბუნება აქ ერთიანად მოიხიბლა. სახელდახელოდ გაშალეს სუფრა კაკლის ხის ქვეშ. იქვე გაჩნდა მეზურნე ზუბიაშვილი თავისი დასტით. ლხინი გაჩაღდა. ვანომ მომცრო ტანის ზუბიაშვილს ხელი დასტაცა. მეზურნეები ხეზე შესვეს. ერთ წუთში დახურული კაკლის ტოტებში საარი აჟღერდა. ცოტა ხანში კი შეუმჩნევლად კაკლის კენწეროში ასული ვანო, ტოტს ჩაჭიდებული, გულმხურვალედ უგალობდა «ურმულს» გარშემო მყოფთ. მისი ხმის ტემბრით «თვით ბუნება» მონარნარებდა და ქართველი ადამიანი «მიწის სუნს» გრძნობდა. ქართულ მიწას კი .... მარადიული ჭეშმარიტების «სუნი» აქვს. თბილისში მიმავალმა გლეხებმა ჩამოიარეს, ვანოს სუფრას ეწვივნენ და თავიანთი პურმარილი უთავაზეს და დაილოცეს. ისინი მოჯადოებულებივით შესცქეროდნენ ვანოს და სიტყვას ვერ პოულობდნენ.

კახეთში ვანო სარაჯიშვილის ერთი კონცერტის შემდეგ ვახშამი გაიმართა. ნადიმი გაგრძელდა. – ნუ დავიძინებთ, ვანოს ვაჩვენოთ როგორია განთიადი, გათენება ალაზნის ველზეო, - წარმოთქვა ერთმა. მხიარულება დაულეველი იყო: ქეიფი კახური, სიმღერა არაჩვეულებრივი, განთიადისას კი ფრინველთ დაიწყეს შეხმატკბილებული გალობა. ბაღებში იადონი აკვნესდა, თითქოს დიდს მიმღერალს ეჯიბრებაო.

სუფრასთან ვანო სარაჯიშვილი მიჰყავდა ქართველი კაცის ლაღ ბუნებას, ადამიანის სიყვარულს და არა ღვინოს. ქალამნიანგლეხსაც რომ მიეწვია, პურ-მარილს არ დაუწუნებდა, დაილოცებდა, გადაჰკრავდა, სიმღერაშიც აიყოლიებდა. უშნო ღრეობა მას არ უყვარდა. რაინდულ ჩვევათა ტრადიციის კვალობაზე კი, რამდენადაც ეს



შესაძლებელი იყო, კაცს არ გაექცეოდა. ზოგჯერ განმარტოებითაც უყვარდა ჭიქა ღვინო, ისე როგორც «სიმღერა თავისთვის» (შ. კაშმაძე).

თედო რაზიკაშვილი ვაჟას ხელთუბნიდან სწერდა და სტუმრობას სთხოვდა, _ შობა მოდის, ერთი ქუდები ჭერსა ვკრათ, თასი თასს მაინც მოვარტყათ, ტიალი გული არ დაიჟანგოსო.

ვერის ბაღში ილია აგლაძის მიერ 1907 წელს მოწყობილი ნადიმის შესახებ იპ. ვართაგავა ასე გადმოსცემს: _ დაიწყო მართლაც ნამდვილი ზეიმი, ქეიფი. არაჩვეულებრივად გამხიარულდა ვაჟა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს ცვლიდა. ხშირად ისმოდა ილიას ძვირფასი სახელი. ღამის ხუთ საათამდის გაგრძელდა ჩვენი ქეიფი ვერის ბაღში.

სტალინთან შალვა ნუცუბიძის სტურობას ალ. ბარამიძე ასე აღწერს: "საუბარში კარგა დრო გავიდა. სტალინმა საათს დახედა, მეზობელ ოთახში შეგვიწვია. მაგიდასთან დაგვსხა, სუფრა გაშალა, ბუფეტიდან თავისი ხელით გადმოიღო და მაგიდაზე გაშალა ჭურჭელი და მშრალი მსუბუქი სავახშმო საჭმელი. _რა ღვინოს მიირთმევთო, გვკითხა და თან დაუმატა, მე გლეხური კუპაჟის ატენურს უფრო ვეწყობიო. ჩვენც არჩევანი უფრო მოუწონეთ, მხიარულად, მეგობრულად, ტკბილად, ქართველურად, შევუდექით ვახშმობას. თამადობა თვითონ სტალინმა იკისრა. ბევრი თბილი სადღეგრძელო წარმოთქვა. დასასრულს მოზრდილი ყანწი გადმოიღო და შეავსო, ეს რუსთაველის სადღეგრძელო იყოსო. ძირამდე დაცალა. ისევ შეავსო ყანწი და მე (სერგი ქავთარაძეც ესწრებოდა ამ სუფრას) გადმომილოცა. უკვე საკმაოდ შეზარხოშებული ვიყავი, სმაც მიჭირდა, მაგრამ საწამლავიც რომ ყოფილიყო უარს როგორ ვიტყოდი? ყანწი ბოლომდე დავცალე და ცარიელი სასმისი სტალინს დავუბრუნე. ისევ ბოლომდე აავსო და ახლა შალვას შესთავაზა. სამადლობელო სიტყვაც უფრო თქვენ გეკუთვნითო. მივიდა და შალვას შუბლზე აკოცა."

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პირველი დეკადის შემდეგ მოსკოვის გარეუბანში სტალინის მიერ გამართულ წვეულებაზე მყოფი ილიკო სუხიშვილი ცდილობდა, რომ ღვინო არ დაელია, რადგან იცოდა, რომ "ცეკვა მოუწევდა". ეს შენიშნა სტალინმა და თამადას მიმართა: _ მე ვხედავ, რომ სუფრაზე ყველა სვამს, გარდა სუხიშვილისა. მერე წავა სუხიშვილი და იტრაბახებს _ აი, ვიყავი სტალინთან, სტუმრად პურმარილზე, სტალინი და მისი სტუმრებიც დავათვრე, მე კი ფხიზელი დავრჩიო. ჩემი წინადადებაა, დავაჯარიმოთ! რას იტყვით ამაზე? ვინ რას იტყოდა?! თამადამ შეავსო ორი ბროლის ჭიქა და გამოემართა ილიკოსკენ. ილიკო წამოხტა, შეეგება და ორივე ჭიქა ჩამოართვა. _ თქვენი დღეგრძელობისა იყოს! _ მიმართა მან სტალინს. _ არა შვილო... ჯერ მშობლებს გაუმარჯოს, თუ ცოცხლები გყავს, თუ არა და ღმერთმა აცხონოსო. ასე მიმართა ილიკოს ქართული სუფრის წეს-ჩვეულების მცოდნე სტალინმა.

აკაკი ხორავა იგონებდა სტალინთან თავის ერთ-ერთ შეხვედრას ვიწრო წრეში, რომელსაც ბერია, აკ. მგელაძე და კონსტანტინე გამსახურდია ესწრებოდნენ. სტალინი ნამდვილი მასპინძელი გახლდათ, როდესაც შევმხიარულდით და მასთან ერთად ბუხარში მწვადებიც დავაწყვეთ.... ტკბილი, დაბალი ხმით წამოიწყო კახური სიმღერა

«ზამთარია და ზამთარი»... ჩვენი გაოცება და სიხარული არ გამოეპარა და გვითხრა: «რატომ გიკვირთ, ძირად ქიზიყელი ვარო».

შემოდგომის პირია, ბიძაჩემის (დავით ჩხეიძის) სახლში მორიგი წვეულებაა. გრძელი სუფრა უხვად არის დაძეძგილი ნუგბარი საჭმელებით. ჭინჭილას აზარფეშა ცვლის, აზარფეშას _ ჯიხვის ყანწი. ლხინი, სმა და სანადიმო ლიწინ-ლიწინი თანდათან შედის ეშხში. მალ-მალ ისმის აკაკი ხორავას საამოდ მჭექარე ხმა, ჩვეულებრისამებრ ოხუნჯობს აკაკი ვასაძე, მას არც სესილია თაყაიშვილი უდებს ტოლს, სუფრაზე არ წყდება სიცილ-კისკისი. თამადობს ბრწყინვალე ტოლუმბაში ბატონი შალვა დადიანი. ვინც კი შალვა დადიანის თამადობას ერთხელ მაინც შესწრებია, ის უეჭველად გაიაზრებდა ქართულ სუფრას როგორც უძველესი დროიდან მომდინარე ხალხურ ფენომენს, რომლის საფუძველი საწესოა და რიტუალურ პურობას უკავშირდება. ასე აღწერს ჯემალ (ჯიმი) მიქელაძე თავის წიგნში "წარსულის ღია ფანჯრები". იგი აქვე განაგრძობს ზურაბ სვანიძის ნაამბობს _ ქეიფია თენგიზ ჩანტლაძის ოჯახში, სადაც სტუმრადაა დიდებული ვაჟკაცი და პოეტი ოთარ მამფორია. ოთარი თითქმის ყველა სადღეგრძელოში ხოტბას ასხამდა ღვინოს. მოხდენილად და დამაჯერებლად ასაბუთებდა ამ კეთილშობილური სითხის სასიკეთო გავლენას ადამიანის ორგანიზმზე, მის ხასიათზე, გუნება-განწყობასა და ჭკუა-გონებაზე. თენგიზის მამა, ბატონი ვასილი ყურადღებით უსმენდა ოთარს. მერე წამოდგა, კარლ მარქსის რომელიღაც ტომი გამოიტანა, გადაფურცლა და წაიკითხა, რომ კარლ მარქსიც, თურმე ქება-დიდებით იხსენიებდა ღვინოს და ხაზგასმით აღნიშნავდა, _ ღვინის მოყვარული კაცი კეთილშობილიაო. _ ბიჭოს, ეტყობა, მარქსი კაი კაცი ყოფილა! მისთვის რომ მიმესწრო სმაში ავიყოლიებდი, წერის საშუალებას აღარ მივცემდი და კაცობრიობას მარქსიზმისაგან ვიხსნიდიო _ მშვიდად დაასკვნა ოთარმა.

გურამ გომართელი გადმოსცემს: - ერთ კვირა დღეს ნაძალადეველმა «გაღმელებმა» ვერელი «გამოღმელი» ძმაკაცები რესტორან «იორში» პურის საჭმელად მიგვიწიეს. საბანკეტო დარბაზში ოცამდე კაცი ვიყავით. ეს ის ბიჭები იყვნენ, რომლებიც მაშინდელი თბილისის იერსახეს თავიანთ პეწს და რაღაც კოლორიტს მატებდნენ. მათ შორის იყვნენ: ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ზაურ ბოლქვაძე, თამაზ ცინცაძე....

გაჩაღდა თბილისური ლხინი. საიდანღაც გაჩნდა: ჯამი, კულა და აზარფეშა, თასი და ჭინჭილა, ყანწი და ლამფის შეშა. სუფრაზე დახვავდა გაფიცხებული ქართული პური. წამოვიდა და წამოვიდა: ცოცხალი, სათალი, რებეცი და ოჩხის თევზი, კუჭმაჭი, წკეპლები და ცვრიანი მწვადი. გუდის ყველს ერბო სდიოდა, სულგუნს-რძე, ბუღლამას და ყაურმას - ოხშივარი... კარგად მოვილხინეთ. საბანკეტო დარბაზში შიგადაშიგ საამოდ იღვრებოდა მასპინძლების მიერ საგანგებოდ მოწვეული ქსოვრელების მედუდუკთა დასის სიმღერის ხმა, სადღეგრძელოს ტუში მოსდევდა, ტუშს- სიმღერა, სიმღერას -ცეკვა, ცეკვას ტაში, ტაშს-სიცილი და ხორხოცი.... ნოდარ დუმბაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა და ზაურ ბოლქვაძემ აიწყვიტეს. საოცრად მოსწრებულ ანგლობას ბოლო არ უჩანდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო განუმეორებელი სიმღერის და ფრთიანი სიტყვის ზეობა, მახვილგონიერება, იუმორის ოლიმპო, შესიტყვებისა და ექსპრომტების უმაღლესი რანგი. მოულოდნელად კარი შემოჯახუნდა და დარბაზში ორი ნასვამი

ახალგაზრდა შემობანცალდა. - დამკვრელები უნდა წავიყვანოთ! - გამომწვევად განაცხადა ერთ-ერთმა მათგანმა. ავუხსენით, რომ დამკვრელები საგანგებოდ მოვიწვიეთ, რომ პატივი დაგვდეს და ახლა ჩვენი სუფრის წევრები არიან. არაფერმა არ გაჭრა. საქმე გაწევ-გამოწევამდე მივიდა. ნოდარ დუმბაძე აქოჩრილი ბიჭების შუაშიჩადგა. - ეს ვინ არის? - იკითხა ჩასუქებულმა ახლადმოსულმა. ვუპასუხეთ- ეს ნოდარ დუმბაძეა. - ისა? -ისევ ჩაგვეკითხა ჩასუქებული. _ ჯანსუღ ჩარკვიანია. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ გაგვეცალნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ოფიციანტმა ერთი ყუთი სამარკო ღვინო შემოგვიტანა და ღიმილით გვითხრა: - აქ რომ იყვნენ, იმ ბიჭებმა გამოგზავნეს! «იმ ბიჭებს» მოვუხმეთ და ერთად შევსვით საქართველოს სადღეგრძელო. ჩვენებური ლხინი ლამის იყო დილამდე გაგრძელდა.

ბრწყინვალე და განუმეორებელი თამადის სიმონ (სიმონიკა) სხირტლაძის რაჭაში ერთად მოგზაურობის შესახებ თამაზ კვაჭანტირაძე ასე მოგვითხრობს: _ მახსოვს რაჭისაკენ მივდივართ. გზის გადაღმა გლეხი ხნავდა ხარით... მანქანა გამაჩერებინა, საგზლის კალანჩხა წამოიღეო, მითხრა და გადავიდა ხნულში. გლეხმა ხარები შეაჩერა. მივიდა, მიესალმა, ხარის ქედზე ჭიქა დადგა, დაილოცა, მაგრამ რა დაილოცა _ ასე მეგონა, ხარიც უსმენდა... ბოლოს მაგ შენს კოჟრიან მარჯვენას ვენაცვალე, მაგით გიჭირავს საქართველოო _ ჯერ ხარს ემთხვია და, გლეხის ხელისაკენ რომ დაიხარა, გადაგვერია გლეხი კაცი, იქით ჩაუჩოქა სიმონს და მუხლებზე მოხვევა დაუპირა.

მუხრან მაჭავარიანი იგონებს: - დუქანში სამნი ვსხედვართ - სიმონიკა სხირტლაძე, გიორგი შატბერაშვილი და მე. ქართული ლექსის ღვინიერ სტრიქონებს ფიჭვის შეშასავით გაუდის ტკაცატკუცი... ღვინის ძალას იძენს სიტყვა, სიტყვის ძალას -ღვინო. არის სულიერად ამაღლებული ურთიერთობა, რაც ასე ალამაზებს ქართულ სუფრას.

_ ძმანო, აღვავსოთ ფიალა წინაპართ მოსაგონებლად,
    რომელთა დასდვეს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად,
    რომელთა სახე დიდების სხივს მოგვფენს გასამხნევებლად,
    რომელთა სული მაღალი ჩვენც მიგვიზიდავს ცად მაღლად!

ან კიდევ:

_ ჩვენც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ.
                                                  გრ. ორბელიანი

ჩვენი აზრით, ადრინდელმა მეტად გადაჭარბებულმა, შემაწუხებელმა და გაგრძელებულმა სალხინო თუ სამგლოვიარო სუფრამ დღეს უფრო ცივილიზებული, კულტურული, შინაარსიანი (ერთეული შემთხვევების გარდა) სახე მიიღო. ესა თუ ის სუფრა გარკვეული წეს-ჩვეულების ჩარჩოში არის მოქცეული და სუფრის ყველა წევრის, როგორც ამა თუ იმ ღონისძიების მონაწილის პიროვნული ღირსების, ქცევის, ურთიერთ პატივისცემის გამოვლინების ასპარეზს წარმოადგენს. ამ საკითხს განსაკუთრებით

ახალგაზრდებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, ვინაიდან თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის ცხოვრებაში ერის ტრადიციებისა და ადათ-წესებისათვის უცხო ჩვეულებებმა შეიძლება დაიმკვიდროს ადგილი, რაც ჩვენი ისტორიისათვის, მისი ყოფა-ცხოვრებისათვის და ხასიათისათვის ყოვლად მიუღებელია.

ქართული ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებელ და ღრმად დამკვიდრებულ თვისებას წარმოადგენდა რამდენიმე ოჯახის ერთად ცხოვრება. ერთ ოჯახად იყო არა მარტო სამი და ოთხი თაობა, არამედ სანათესაო განაყოფებიც სიახლოვეს, ჯგუფ-ჯგუფად, მეზობლად ცხოვრობდნენ, რაც მტრის თავდასხმის შემთხვევაში ერთგვარ სიძლიერესაც კი წარმოადგენდა, აღარაა ლაპარაკი შრომითი, ჭირისა და ლხინის თუ სხვა ყოფითი საქმიანობის იოლად გაძღოლაზე. ასე მაგალითად, აჭარაში დიდი ოჯახის ერთ-ერთი დამახასიათებელი, მისი შესაბამისი სახელწოდებით _ "ერთიანობის სახლი" _ არსებობდა, რომელიც საცხოვრებელი სახლის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა. ხმარებაში იყო აგრეთვე ტერმინები: "დიდი ოჯახი", "ჯარისული ოჯახი", "ჯალაბი ოჯახი". ასევე არა ნაკლებ საინტერესოა "საძმო სახლი", რომელიც ძმების ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე მიუთითებს. საქართველოს მთიანეთში ცნობილი იყო მცნება _ "ერთობის სახლი".

შემოდგომა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ლხინისა და ოჯახური გაბედნიერების დროდ იყო მიჩნეული. მთაში ქორწილის გადახდა უმთავრესად შემოდგომაზე _ საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გასტუმრებამდე იცოდნენ, ხოლო ბარში ჭირნახულის, მოსავლის აღებას უკავშირებდნენ, როცა მარანსა და ბეღელში ბარაქა ტრიალებდა. აღნიშნული წესი ამჟამადაც შემორჩა და ქორწილები ძირითადად საქართველოში შემოდგომა-ზამთარში იმართება.

<u>ს ა ქ ო რ წ ი ნ ო ს უ ფ რ ა დ ა მ ი ს ი წ ე ს - ჩ ვ ე უ ლ ებ ებ ი</u>

ქორწინების საიდუმლო სხვა საიდუმლოთა მსგავსად, სულიწმინდის მადლის მოქმედებით აღესრულება. ქალისა და მამაკაცის კავშირი ღმერთმა იმთავითვე აკურთხა. წმ. წერილი ამბობს: «აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა – ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს». ქართული ოჯახი ხომ ქრისტეს მცირე ეკლესიად ითვლება. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ქორწინებით შეკავშირებულთა შესახებ ბრძანებს: «რომელნი იგი ღმერთმა შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებსო».

ქორწინება ნებისმიერი ადამიანისათვის უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ნაბიჯია. იგი საზოგადოებაში უკვე გარკვეული ადგილის მიჩენის დამთავრება იყო, რის შემდეგაც ახალგაზრდა ოჯახურ ორომტრიალში ებმებოდა და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. ქართულ ტრადიციულ ქორწილს უდიდესი ზნეობრივი შინაარსი და გამომსახველობითი ფორმაც ჰქონდა. ადამიანის ცხოვრებაში ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც სხვა ხალხებთან, ისე საქართველოში დიდ საზოგადოებრივ საქმედ ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ ქორწილის ტრადიციულმა მხარეებმა საუკუნეებს გაუძლო და ჩვენ დრომდე მოაღწია, როგორც ერის სულიერი

ცხოვრების მაჩვენებელმა. ქორწილის ულამაზესი დღე ადამიანის ცნობიერებაში რჩება,როგორც ყველაზე ლამაზი და ბედნიერი დღე. ისინი რამდენადმე დღესაც ინარჩუნებენ თავისთავადობას და ორიგინალობას. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იგი გარკვეული სოციალური მნიშვნელობის მატარებელიცაა, რადგან ქორწინებას და აქედან გამომდინარე ოჯახის შექმნას დიდი ეროვნული მნიშვნელობა ენიჭებოდა და განსაკუთრებით ენიჭება დღეს, ვინაიდან ერის სიძლიერე, გამრავლება, უმწვავესი დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება უშუალოდ მასზეა დამოკიდებული.

უამრავი საინტერესო ქორწილი აქვთ აღწერილი ამბავთმთხრობელებს, მემატიანეებს, ისტორიკოსებს, მკვლევარებს და მწერლებს. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს:

ქართლის მეფე 1714-1716 წლებში იასე ბატონიშვილის ერეკლე პირველის ასულ ელენე ბეგუნზე დაქორწინების შესახებასე გადმოსცემს მემატიანე: ქორწილი გადაიხადა მარტყოფს, «ხევსა ნორიოსასა». რვა დღე და ღამე გაგრძელდა ქეიფი, «სიმხიარულე, გამოჩვენება დიდი ... ჩირახუანი, ბურთაობა და ფარჩათა ხევა»... ხალხში ლექსიც კი გამოთქმულა «იასე ნეფის» საქორწინო ღრეობის «უკვდავსაყოფად»:

_ იასე ნეფე მობრძანდა, დადგა ქალაქის პირსაო,
სასახლეები დამართა, საჩრდილობელი მზისაო,
ზედ ნადირი გამოსახა: ნუკრი, ირემი, შვლისაო,
ბეგუნ დედოფალს თხოულობს, ნეფის ერეკლეს ქალსაო,
ორშაბათს ქორწილს აპირებს, ქართველთ უქადის ლხინსაო.

მეფე ერეკლე მეორის და სამეგრელოს მთავრის გიორგი დადიანის ასულ დარეჯანის შეუღლებასთან დაკავშირებით «ქართლის ცხოვრებაში» ვკითხულობთ, რომ ერეკლე დარეჯანს პირველად სურამში შეახვედრეს და ის მოხიბლული იქმნა მისი მშვენიერებით. «წარავლინეს იმერეთად ხორაშან ბატონიშვილი და თან აახლეს ნინო-წმინდელი, საბა ეპისკოპოსი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან, მეფის ერეკლესათვის: წამოიყვანეს სახლით მეფისა ალექსანდრესით და მიიყვანეს სურამს: ქალაქიდან წამობრძანდა მეფე ერეკლე, თან გაჰყვა პატრიარქი ანტონი ბატონიშვილი, მობრძანდნენ სურამს, ნახა ქალი მეფემ, დიდად მოეწონა შვეინიერება მისი და წამოიყვანეს ლხინ-მრავლობით და ჩამობრძანდნენ ქალაქს». აქედან ირკვევა, რომ დარეჯანი ამ დროს იმერეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა ალექსანდრე მეხუთესთან. ამის შემდეგ აღწერილია ის დიდებული ზეიმი, რომელიც პატარა კახს თვისმა ღირსეულმა მამამ, თეიმურაზმა, თბილისში ახლად აგებულ სასახლეში გაუმართა. «მზა ექმნა რიგი ქორწილისა», განაგრძობს მემატიანე, «მეფეს თეიმურაზს ცხებულს და შეიქმნა ქორწილი სახლსა ახალსა, რომელი აღეგო მეფე თეიმურაზს მტკვრის პირს შვენიერი და შემკული ყოვლით კერძო: იყო შვიდს დღეს და ღამეს შვება განცხრომა უზომო, რომ ერთი ამისთანა სიხარული არ გვენახა.. იყვნენ მეფენი ჩვენი მარადის სიხარულსა და განცხრომასა შინა: ვითარ მამა-შვილნი იყვნენ მეფენი ჩვენნი, სახელმწიფონიც გაერთნეს, დაადგინა მეფე ერეკლემ დედოფალი დარეჯან სახლსა

მამისა თვისისასა». მ. ბროსეს მოწმობით ეს ჯვრის წერა უნდა მომხდარიყო 1750 წელს, როცა დარეჯანი დაახლოებით 15 წლისა უნდა ყოფილიყო. დარეჯან დედოფალმა მეფე ერეკლეს აჩუქა 8 ვაჟი და 6 ასული, რომლებმაც სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს ბაგრატიონთა მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში.

ერეკლე მეორის ქალიშვილის თამარის და სარდალ დავით ორბელიანის ქორწილს ასე აღწერს სოლომონ თეზელიშვილი «სუფრის ისტორიაში»: _ ათი საათისათვის სასახლეში დავით ორბელიანის ნათესავები გამოცხადდნენ და თამარს ნიშნად ოქროს სინზე დაწყობილი ძვირფასი სამკაულები და დიდ ვერცხლის ლანგრებზე დალაგებული შაქრით დამზადებული ტკბილეული მოართვეს, შემდეგ სტუმრები თავდახრით გამოეთხოვენ დარბაზში მყოფთ და ზურგშეუბრუნებლად, უკუღმა ნაბიჯებით გაიკრიფნენ დარბაზიდან.

საღამოს სტუმრები და სასახლის მოქალაქენი კვლავ შეიკრიბ-ნენ რუსული აუდიენციის ზალაში, სადაც გაშლილი იყო გრძელი სუფრა.

ანა (მამიდა) კარებში შეეგება სასურველ სიძეს, შუბლზე ეამბორა და მეუღლეს წარუდგინა.

ეზოს მოძღვარმა სტუმრები სუფრასთან მიიწვია. ჩვეულების თანახმად ქალები ერთ მხარეზე დასხა, კაცები_მეორე მხარეს. ერთმანეთის პირისპირ მჯდომი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ან მეუღლე ან ახლო ნათესავი. დავითიც და თამარიც ერთმანეთის პირდაპირ დასვეს. თამადად იოანე ორბელიანი იყო. დაილია სადღეგრძელოები, შემდეგ დავითს სთხოვეს, რომ დაეკავებინა ადგილი სამეუღლეოს გვერდით. როდესაც თამარის გვერდით დასვეს, კარგახანს არ გახსენებია, რომ მისთვის თითზე ბეჭედი უნდა გაეკეთებინა და საგანგებოდ ნაჭედი ალმასის თვალებით მორთული ოქროს ვაშლი მიეწოდებინა. ხალხი ამბორს თხოულობდა, საბოლოოდ აიძულეს და საფეთქელთან აკოცა. შემდეგ ჟრიამული შეწყდა და დავითმა ხალხის შეუმჩნევლად თამარს თავისი ხელსახოცი გაუცვალა. ლხინის და პურობის მერე დავითი გამოეთხოვა ქალებს, რომლებმაც ის კარებამდე მიაცილეს.

ერეკლე დარბაზში შებრძანდა და პირდაპირ გაემართა ნეფე-დედოფლისაკენ. მან დავითისა და თამარის ხელები შეაერთა და ლაპარაკი დაიწყო: _ ამიერიდან ვაუწყებ ძირთა და მოდგმათა ქართველთა, აზნაურთა, გლეხთა და ყოველთა საეროთა, რომელთა ჰფარავდეს ლოცვა და ვედრება, მისი უწმინდესობის კათოლიკოს პატრიარქისა და ყოვლისა სამღვდელოსა ღმერთმსახურთა საქართველოს ეკლესიასა შინა, რამეთუ ჩვენის ნებასურვილით შევაუღლეთ ასული ჩემი თამარ საქართველოს ლაშქრის სპასპეტს და სახლთუხუცესს დავით ორბელიანთან. განაგრძობდა ერეკლე, საოცრად მიჩუმათებულ დარბაზში თავისი მომაჯადოებელი ხმით: _ ბედნიერჰყოს უფალმან და მეუფემან დამბადებელმა ჩვენთა, ღმერთმა იესო ქრისტემ ქორწინება მათი. გვედრებ, შვილო ჩემო დავით, იყავ პატრონი და მფარველი ასულისა ჩვენისა, ვითარც შეჰფერის რაინდობით, სიკეთით და განათლებულობით აღსავსე გვარსა თქვენსა.

სასახლიდან სიონის ბჭებამდე ნოხები იყო დაფენილი, ხოლო ნოხების ზემოდან ნეფე-დედოფლისთვის ვარდისფერი აბრეშუმის ბაფთა ეფინა მთელ ქუჩას, სახლის

ბანები და აივნები ისე იყო დახუნძლული საზეიმოდ მორთული ხალხით, რომ შენობათა კედლებიც კი არ ჩანდა. დავითს მარჯვენა ხელში ეპყრა თამარის წამოსასხამის მარჯვენა სახელო და ორივენი საოცარი წყნარი ნაბიჯით მიდიოდნენ ტაძრისკენ. მათ ოდნავ მოშორებით მიაცილებდნენ თამარის მდადე ანა და დავითის ეჯიბი ბესიკი. შემდეგ კი უმცროს-უფროსობის მიხედვით მისდევდნენ სეფე-ქალები, მაყრები, სასახლის დიდებულები. მთელი ეს საზეიმო მარაქა ისე აბრწყინდა ჩირაღდნების შუქზე, ისე აელვარდა მათი სტავრა_აბრეშუმის ტანსაცმელი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი უამრავი სამკაული, რომ ჩოგლოკოვს, რომელიც რუს ოფიცრებთან ერთად სიონის ბჭესთან ელოდებოდა მექორწინეთ, უნებურად აღმოხდა _ какая красата. მრავალხმიანი მაყრული მიაცილებდა მთელ ამ საზეიმო ცერემონიალს.

სიონში რუს ოფიცრებს საპატიო ადგილი დაუთმეს, აღმოსავლეთ კარის მარჯვენა მხარეს, იმ ადგილას სადაც ოქროს გუმბათიანი სამეფო კვარცხლბეკი იდგა. მთლად თეთრებში მორთული თამარი ოდნავ თავდახრილი იდგა დავითის გვერდით და ძლივს წვდებოდა მხრებამდე. რუსმა ოფიცრებმა ერთმანეთს წასჩურჩულეს "შეხედეთ რა ახალგაზრდა ბავშვია". მათ რასაკვირველია არ იცოდნენ, რომ ოც წელს გადაცილებული ახალგაზრდა ქალისთვის გათხოვება დაგვიანებულად ითვლებოდა.

ქანდარიდან გაისმა მგალობელთა შეწყობილი ძლიერი ხმები და მთავარმა დიაკონმა თავისი ტკბილი და თანაც უცნაური ძლიერი ბანით დაიწყო ქორწინების საიდუმლოების აღსრულება. დავითს და თამარს თავზე გვირგვინები დაადგეს, რომელიც მოჩუქურთმებული ოქროს რკალისგან შედგებოდა და თითოეულს ოთხი კოჩი ეკიდა.

სამი დღე გაგრძელდა საქორწინო ნადიმი. ღამენათევი, ნაქეიფარი სტუმრები ძლივს ასწრებდნენ გამოძინებას. სუფრა ხან აივანზე, ხან ბაღში იშლებოდა და გაუთავებლივ ისმოდა საზანდრის შეწყობილი ხმა, დუდუკთა ღუღუნი, აშუღთა გამყივარი სიმღერები და გულისცემასავით ამაღელვებელი ბაგა-ბუგი დაირებისა. ყველაზე პატივსაცემი სტუმრები ამ ნადიმზე რუსი ოფიცრები იყვნენ, რომელთაც ყოველთვის საპატიო ადგილზე სვამდნენ და ღვინის სმაში ავარჯიშებდნენ. ალექსანდრ რატიევს (რატიშვილი) ეშინოდა მის ხელქვეით ოფიცრებს რაიმე უწესობა არ ჩაედინათ და სასტიკად უკრძალავდა ყველას მისი ნებართვის გარეშე ღვინის დალევას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სუფრას თავად მეფე ერეკლე ესწრებოდა.

_ ანათებს დარბაზს ქალწულების ტანსაცმელები
ვერცხლის სურებში სჩქეფს ღვინო და სხვა სასმელები.

პ. იაშვილის სონეტიდან «ქორწილი»

გრიგოლ ორბელიანი თბილისში გამართული ერთ-ერთი ქორწილის შესახებ ასე გადმოსცემს: _ გუშინ დასრულდა მეოცე ღამე ქორწილში ყოფნისა. უკანასკნელი ორი ღამე იყო მეტად სამაგალითო. ბილეთებით ვიყავით მოწვეულები საზანდრის ქორწილში. დანიშნულ საათს სამისას, ათამდე ოთხის ფანრით მივედით სახლთან,

შევედით დარბაზში, თეჯირებითა და მაყრებით გამართულში, სადაც დაგვხვდნენ, დასტა-დასტად კარგნი კამპანიანნი.

ტივებზე გამართული ქორწილის შესახებ იოსებ გრიშაშვილი ასე გადმოსცემს: _ მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ: აქეთ ნეფე-დედოფალი იყო მღვდლით, ეჯიბით და მაყრებით; იქით ნაქვთიერი ბიჭები ორთაყვირს ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში. ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო დუდუკზე, მეორე მხარეს ცეცხლი ჩახჩახებდა, რომელზეც წყლით სავსე კოჭობი იდგა, ცოცხალი თევზისთვის.

ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ჯვრისწერის შესახებ კ. ადელუნგი ასე აღწერს: _ მთელი ტბილისი ავლენს თანაგრძნობას ამ შეუღლებისადმი. გრიბოედოვი განურჩევლად ყველასათვის სასიყვარულო და პატივსაცემია. მეუღლე მეტად ტურფა, კეთილი ქმნილებაა, თითქმის ბავშვი, რადგან მას ახლახან შეუსრულდა 16 წელი.

დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქორწილის შესახებ სერგი ჭილაია ასე გადმოსცემს: _ დადიანის მაყრიონი ერთ მხარეს დალაგდა, მოპირდაპირე მხარეს კი ალექსანდრე ჭავჭავაძის ახლობლები და სტუმრები ისხდნენ. თამადად ალექსანდრე ორბელიანი იყო დასახელებული. მან ნეფე-დედო-ფალს გრძელი სიტყვით მიმართა და მამა-პაპისეული ყანწით ადღეგრძელა. სუფრის წევრები მას ტაშით და გრძელი კახური "მრავალჟამიერის" სიმღერით შეხვდნენ. შემდეგ დავით დადიანის მაყრიონმა წამოიწყო სიმღერა "გეფშვათ ღვინით ხარათია". სტუმრები დილით აიშალნენ. სამეგრელომდე შორი გზა ქონდათ სავალი. ეტლებს უკან ასი ცხენოსანი მისდევდა, ორმოცდაათი ჩოხოსანი და ნაბდოსანი მეგრელი და ამდენივე ქულაჯებშიგამოწყობილი კახელები და ქართლელები. ბანებზე გამოფენილ ხალხს, ასე ეგონა ერეკლე მეფე გაცოცხლებულიყო და თავისი ჯარი შემოეყვანა.

_ სანადიროდ წასულიყავ, მოგეკლა მტრედი, გვიძინი
უფალმა ღმერთმა გიჩვენოს შენი შვილების გვირგვინი,
იმათ ქალნი უხაროდესთ, მე სმა, ქეიფი, ღიღინი.
_ დიდება ღმერთსაო, დიდსა მოწყალესაო,
ღმერთო დღეგრძელობა მიე აქა მბრძანებელსაო,
ნეფესა და დედოფალსა სახე მშვენიერსაო.
_ ქორწილია და მზადობა, ნეტავი მომცა მდადობა,
ეჯიბთან დავეგდებოდი, მაგრამ არ იცის დანდობა.
_ ასე გადავრჩით მაყრები, არავინ ჩაგკვრა თავშია,
ე ჩვენი მეღვინეები ცოტა იწევენ ქრთამშია.
ყოველთვის ცოტა დაასხეს, ყაზარას ბიჭის ჯამშია,
მე ვიჯექ ადგილობრივა, სხვა გადიოდა კარშია.

ხალხური

აქართველოს მთიანეთის ადრეული წეს-ჩვეულებით ქორწილის სუფრის ხელმძღვანელად (თამადად) გამოყოფილი გვარის უფროსი, ხევისბერი ან დეკანოზი პირველ რიგში ადღეგრძელებდა მასპინძლის ოჯახს, შემდეგ_ნეფე-დედოფალს, მესამე რიგში_ნეფის ოჯახს, მეოთხედ_საკუთრივ ქალის მშობლებს, მეხუთედ_ვაჟის დედ-მამას, მეექვსედ_ეჯიბს, მეშვიდედ_მაყრებს, შემდეგ იქ დამსწრეების სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა და ბოლოს მიცვალებულთა "საკარგყმოსა" თუ შესანდობარს ჩამოატარებდნენ. ქალის მამის სახლში გამართულ ქორწილში ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ეჯიბს სამი სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება ჰქონდა. ამ სადღეგრძელოებს ის თავისი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად აყალიბებდა და რიგგარეშე ამბობდა. ქალის მამა ხანმოკლე ქორწილს იხდიდა. მოხევური ჩვეულების მიხედვით, საქორწილო და, საერთოდ, სალხინო ნადიმის გახსნა "დიდებით" ხდებოდა. ნადიმის შემდეგ მექორწილენი და მაყრიონი სიმღერით _ "ნეფეო, ჩვენი მზე ხარო, მთავარს ანგელოზს გევხარო; ღმერთმა ხელი მოგიმართას, რასაც საქმეზე ზდგახარო", მიემართებოდნენ ნეფის ოჯახისაკენ.

ნადიმის დროს, ხევში, იყენებდნენ ჯიხვის ყანწებს. საქორწილოდ ნაყიდ "ჯიხვებს" (ჯიხვის რქა), რომლებსაც ზეზემდგომები ღვინით ავსებდნენ. ერთს ერქვა "გამახარე" (მასში ჩადიოდა ერთი ლიტრი და ერთი ჩაის ჭიქა სასმელი), ხოლო მეორე ყანწს ერქვა "გამაგორე" (მასში ჩადიოდა ერთი ლიტრი და ორი ჩაის ჭიქა). ზეზემდგომები პირველ რიგში ჩამოატარებდნენ "გამახარეს" და მის გამოცლას თითქმის ყველას აკისრებდნენ, რადგან მოხევეების მტკიცებით, ვაჟკაცს ის მხოლოდ მხიარულ გუნებაზე დააყენებდა _ "გაახარებდა". რაც შეეხება "გამაგორეს", ზეზემდგომებს მისი ჩამოტარებაც ევალებოდათ, მაგრამ გამოცლა მსმელის სურვილზე იყო დამოკიდებული, რადგან "გამახარესთან" ერთად "გამაგორეს" მიყოლებას ყველა ვერ უძლებდა, თვრებოდა და შეუძლოდ ხდებოდა. ე.ი. მსმელის ზომაზე მეტად დათრობას, ამით მის არა "გახარებას", არამედ "გაჯავრებასა" და წაქცევას (გაგორებას) იწვევდა (ვ. ითონიშვილი). სასმელისა და ჭიქების სუფრაზე დადგმა საჭმელებთან ერთად საქართველოს მთიანეთში გვიან პერიოდში შემოვიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქორწილი, თავისი ხასიათით რომელიც გავს თეატრალიზებულ სპექტაკლს, ადრე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში რამდენიმე სამი-შვიდი, ზოგჯერ მეტი დღე გრძელდებოდა. თანამედროვე საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა საქორწინო ლხინის ხანგრძლივობა. ქორწილი საშუალოდ თითო დღიანი (ზოგჯერ 7-8 საათიანი) ნადიმით განისაზღვრება. მეფე-პოეტს არჩილს თეიმურაზ მეფის ქორწილი ასე აქვს აღწერილი:

_ ენა ვით იტყვის მაშინდელს ჩემსა ლხინსა და შვებასა?
ორმოც დღეს ქორწილობასა, სიხარულ, არ თუ ვებასა.
_ თორღას ვიდექით ოდეს ვქენ ქორწილი, გამოჩვენება.
ცხადათ არ დაიჯერება, თუ იყო ძილ-მოჩვენება!
მუნ ორმოც დღემდის ზედა-ზედ სმა, ლხინი, არ მოსვენება,

ბურთობა, ყაბახის სროლა, ვის რა ასპარეზს ენება.

ქართლში ქორწილი სამ დღეს გრძელდებოდა, რასაც ალექსანდრე ორბელიანი ასე აღწერს: "სამ დღეს და სამ ღამეს ქორწილი უნდა ყოფილიყო, თან შექცევა და ლხინი. ვახშმის შემდეგ ყველანი თავის სახლში წავიდოდნენ და მეორე დილაზე კიდევ იქვე უნდა მისულიყვნენ. ასე, რომ მესამე ღამეს ვახშმის შემდეგ ნეფე-დედოფალს თავიდან გვირგვინს მოხდიდნენ." თეიმურაზ მეორის თქმით _ "დასდგმენ გვირგვინსა _ წესად არს სამ ღამეს გათენებასა". ვახტანგ ბატონიშვილი კი ასე გადმოსცემს: _ეკლესიაში შესვლის შემდეგ ნეფე-დედოფალს თავზე დაადგამენ გვირგვინს, დაე!" აღასრულოს ღვდელმან საიდუმლო ქორწინებისა. გვირგვინი ედგმოდისთ დღესა სამსა, ერთს ქალის სახლში და ორს ვაჟის სახლში და უწოდებდნენ მათ სამდღე ნეფესა და დედოფალსა". ცნობილია ის ფაქტი, რომ ღარიბი ოჯახის ნეფე-დედოფალს ერთ დღე-ღამეს ეხურათ გვირგვინი, შეძლებულებისას კი ორი ან სამი დღე.

_ სახლო, ღმერთმა აგაშენოს! ჯამ-ჭურჭელო, მერე თარო;
სახლში _ კარგო პატარძალო, მერმედ გაგახაროს, ქალო!
ხალხური

1957 წელს ქ. მოსკოვში ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის დღეებში სოფიკო იაშვილისა და ჯემალ კიკნაველიძის ქორწილი შედგა (სურათები 31, 32), რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრნენ. მან დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ამ ინტერესს აორკეცებდა ის გარემოებაც, რომ ქორწილს თეატრალიზებული, იმპროვიზებული და საჩვენებელი სახე კი არ ჰქონდა, არამედ ეს იყო ნამდვილი ქართული წეს-ჩვეულებით ნეფე-დედოფლის ქორწილი მეჯვარეებით (ხელისმომკიდე), მაყრიონით, 700-ზე მეტი მოწვეული სტუმრით და რა საკვირველია თამადით. საქორწინო სუფრას ქართული პურ-მარილი და სხვადასხვა ასორტიმენტის ღვინოები და სასმელები ამშვენებდა. მახარობლები შეძახილებით ნეფე-დედოფლის მობრძანებას იუწყებიან. თეფშის დამსხვრევის შემდეგ «მაყრულის» სიმღერით ნეფე-დედოფალს გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ატარებენ. შემოდიან ყარაჩოხელები, რომლებიც «გინდ მეძინოს» მღერიან. რომ იტყვიან - სუფრა თონესავით რომ გავარვარდა, საამოდ ისმოდა თამადის მიერ წარმოთქმული ქართული საქორწინო სადღეგრძელოები, სიმღერები და ცეკვა-თამაში. ახლადშეუღლებულებს მხურვალედ ულოცავენ ჭაბუკები და ქალიშვილები მსოფლიოს თითქმისყველა კუთხიდან. ქორწილის შთამბეჭდავმა სანახაობამ განცვიფრებაში მოიყვანა ისინი.

_...ღვინომ შეჰმატა ყველას ხალისი,
ზანგი ფრანგს, ფრანგი ეგვიპტელს ჰკოცნის.
ქართველ ყმაწვილკაცს, ქართველ ქალიშვილს
მთელი მსოფლიო უმართავს ქორწილს.

ფიალა გვაყრის ლალისფერ შხეფებს,
ჩარდაში მოსდევს ქართულ განდაგანს.
ქვეყნად რომელი შახი თუ მეფე
არ ინატრებდა ქორწილს ამდაგვარს.

ქალი მზეს, ვაჟი მთვარეს ადარეს,
ორივ ერთურთზე უკეთესია.
ქართულად ხმლებქვეშ გამოატარეს,
თეფშიც გატეხეს, როგორც წესია.

ღვინომ გაუხსნათ ბასკებს გუნება,
ცეკვით ასტეხეს აურზაური.
ჩვენი სიმღერა ეცნაურებათ,
ახლობელია, ნათესაური.

რამდენ უცხოელს გული წარსტაცა
უცხო კრებულმა ქართველ ქალების...
თქვეს: საქართველო, მართლაც ლამაზთა
მხარე ყოფილა შეუდარები...

ი. ნონეშვილი

ყველა ცნობა ქორწინების შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ დროიდან მოგვეპოვება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. იტალიელი მისიონერის პიეტრო დელა ვალეს გადმოცემით: «ყველაფერში ეტყობა, რომ ქართველები თავისი მოქმედებით ბერძნებზე უკეთესი ქრისტიანები არიან». ეკლესიაში მიმავალ ნეფე-დედოფალს "წარუძღვიან ყოველნი ქვეითად და ეგრეთვე მგალობელი თქმითა მაყრულისათა".

რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების «ძეგლის წერის» მიხედვით - გვირგვინთა კურთხევის შემდეგ იწყებოდა «ქორწინება», რომელიც გარკვეულ საერო ჩვეულებებზე იყო დამყარებული და წვეულებითა და ვახშამ-ლხინით თავდებოდა, ბოლოს «სამხრობა» იყო ხოლმე, რომელსაც მღვდელიც ესწრებოდა.

პირველი დიდი ცერემონიალი, რომლითაც იწყებოდა ქორწილი, იყო ჯვრისწერა. ამ დროს ხდებოდა ნეფე-დედოფლის მიერ საქორწინო ბეჭდების გაცვლა (საქორწინო ბეჭდის სიმრგვალე სიყვარულის მარადიულობის ნიშნად იყო მიჩნეული). ეს ცერემონია უშუალოდ ოჯახის კერასთან იყო დაკავშირებული. გარდა ეკლესიისა, კერასთანაც ხდებოდა ჯვრისწერის ცერემონია. ნეფე-დედოფალს კერის გარშემო შემოატარებდნენ ხოლმე, როგორც პატარძლის, ასევე ნეფის ოჯახშიც. მას თან ახლდა ცალკეულ კუთხეებში არსებული სასიმღერო რეპერტუარიც. იმერეთში ეს იყო_"ღმერთო ბედნიერი ქენი", სამეგრელოში_"კუჩხი ბედნიერი", სვანეთში_"სადამი" და "ორი ოხა", მთაში_"დიდება", აღმოსავლეთ საქართველოში _»ჯვარის წინა» ანუ «ჯორული». «ჯვარის წინა" ფშავში, მთიულეთში, მესხეთში, ქართლ-კახეთში ძირითადად ქორწილში სრულდებოდა, თანაც ტრადიციული ტექსტის დაცვით (ს.ჩოხელი).

უნდა აღინიშნოს, რომ პატარძლის გამოყვანასა და ეკლესიაში წაყვანასთან დაკავშირებით საქართველოს კუთხეებს ერთმანეთისაგან ცოტაოდენ განსხვავებული წესი ჰქონდათ: ზოგან ქალი მალევე გამოჰყავდათ, ზოგან კი _ აგვიანებდნენ. მაგრამ

ძირითადში რიტუალი პრინციპულად მაინც არ განსხვავდებოდა; ორივე შემთხვევაში ქალს ნეფეს ჩააბარებდნენ და ხალხმრავალი გუნდი, მდადესა და ეჯიბის წინამძღოლობით ეკლესიისაკენ გაეშურებოდა. მგალობელთა გუნდნი მოსდევდნენ და «გალობდნენ გალობასა ჯვარისასა». ჯვარდაწერილ ნეფე-დედოფალს ეკლესიიდან გამოსვლისას გადაჯვარედინებულ ხმლებქვეშ ატარებდნენ. გადმოცემით, გადაჯვარედინებული ხმალი ნეფე-დედოფალს იცავდა ავი თვალისა და ბოროტისაგან. იგივე მეორდებოდა სახლის ეზოში შესვლის დროსაც. მეფე-პოეტი თეიმურაზ ბატონიშვილი ასე წერს:

_ ხმალს ამოიღებს ეჯიბი, მიაბჯენს საყდრის კარზედა,
შიგ გაატარებს ორთავეს ქვეშ ამოღებულ ხმალზედა.

"ნეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდაწერილებს, რომ გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაყრულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მექორწილეთ და სალხინო სახლში შეიყვანდნენ მღერით"ო, _ გვამცნობს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი. ამ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მიხედვით მღეროდნენ _ "მოვდივართ, მოგვიხარია", "ჯვარულოს", "კარკუჩით წამოიყვანეს", "ოურაიდას", "ვორი რას", "ქალი მოგვყავს ნათელიო", "ავთანდილ გადინადირა", "ვისია-ვისია", "ღმერთო ნუ მოშლი ამ სახლში", "სახლო სალხინოდ ნაშენო" და სხვა. მგზავრულ-მაყრულთა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე მახარობლის სიმღერებიც.

ქორწილში ნამეტნავად კარგ მომღერლებს, დამკვრელებს და მოცეკვავეებს ეტანებოდნენ. ხშირად ასეთებს შორი სოფლიდანაც იწვევდნენ. ასეთი "ხმამადლიანების" სახელები სოფლიდან-სოფელ გადადიოდა და მათ ყოველ თავშესაყარში იწვევდნენ. ქალაქურ ქორწილებში ხშირად მონაწილეობდნენ საზის (საზანდარის), ჭიანურის შესანიშნავი დამკვრელი და მასზე დამამღერებელი აშუღები, რომლებიც ზოგჯერ ინსტრუმენტის გარეშე ასრულებდ-ნენ სხვადასხვა სახის საინტერესო და მრავალმხრივი რთული ტონალობით გამორჩეულ სიმღერებს. ამ მხრივ თბილისში ოდითგან ჰპოვა ბინა ირანულმა და სხვა ქვეყნების ნარევმა მელოდიამ, რაც ზოგჯერ დამპყრობთა სისხლიან ხმალს შემოჰყვა, ზოგჯერ სავაჭრო ქარავანს, ბოლოს კი იტალიური ოპერის დასს. მაგრამ არც ეს უცხო ჰანგი დარჩა უცვლელი. იგი თბილისის მკვიდრის ყაიდაზე გადასხვაფერდა და ჟამთა ვითარებაში წარმოიშვა ქალაქური კილო, ანუ ცალკეულ შემსრულებელთა ნიჭისა და მუსიკალურ გემოვნებაზე დაფუძვნებული «კუპაჟი» განიცადა.

ქორწილის თამადა სუფრის თავში ჯდებოდა პირით აღმოსავლეთისაკენ, დარბაისლების მარჯვნივ. თამადის სიახლოვეს საქორწილო ცეკვა-სიმღერების შემსრულებლები და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელნი ისხდნენ. თამადის არჩევის შემდეგ სრულდებოდა სპეციალური სიმღერა "თამადებსა გაუმარჯოს". თამადის სახელით მომღერალთა ერთი ჯგუფი შეასრულებდა სამადლობელო სიმღერას _ "მადლობელი ვარ"...

ზოგან საქორწინო სუფრას ნეფე-დედოფალი თავიდანვე ესწრება. ზოგან კი (მაგალითად სამეგრელოში) თამადის მიერ პირველი სადღეგრძელოს შესმის შემდეგ შემოყავთ სიძე-პატარძალი. სიძე-პატარძლის შემოყვანას პროცესიის სახე ჰქონდა, რომელსაც წინ ვაჟის მშობლები მიუძღვებოდნენ, შემდეგ მათ სიძე-პატარძალი და მეჯვარეები მოჰყვებოდნენ. ისინი შემოივლიან ყველა ტაბაკს (ასე ეძახიან მაგიდებს, რომლებზეც სუფრაა გაშლილი) და იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს. აღნიშნული პროცესია, ფაქტიურად შემოხაზავდა წრეს (ფერხუ-ლის მსგავსად), რაც, თავის მხრივ, როგორც ცნობილია, ცის, სრულქმნილებისა და მარადიულობის სიმბოლოა, საბოლოო მდგო-მარეობაა ერთიანობის (ნ. აბაკელია).

ქორწილისათვის დიდი რაოდენობით იკვრებოდა და ცხვებოდა: ლიკან-ლავაში, შოთი, ხოლო ნაწილით_"უხა" და "ჯვრის პური". ნ. მაჩაბლის გადმოცემით: პირველად ფქვილი უნდა გაეცრა ვინმე ბედნიერ დედამთილიან ან ქმარშვილიან ქალს. ამას ქართლში "საცრის გამართვა" ან "ვარცლის დადგმა" ეწოდებოდა. ვარცლის გამართვის რიტუალი ახლანდელ ქორწილებშიც ხშირად ხდება, რაც უდავოდ ადრეული პერიოდის ღრმა ფესვებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ქართველი ხალხის ძირითად საკვებს ხორბალი და მისი პროდუქტი წარმოადგენდა. ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე სვანეთის სინამდვილეშიც, სადაც საპატარძლო ვარცლის დადგმის რიტუალი სრულდებოდა, ხევში და მესხეთში სპეციალური ქადის გამოცხობა იყო სავალდებულო. ჯვრითა და ვაშლებით მორთული ჯვრის პური ფიქსირდება ფშავში და მთიულეთში. ქართლში ვხვდებით აგრეთვე ასტრალური ორნამენტებით დაჭრელებულ ჯვრის პურს, რომელიც თავისი ფორმით ანალოგიურია რაჭაში ფიქსირებული კერია-ბერიასი. იშვიათად, მაგრამ მაინც, ყოფაში დასტურდება ჯვრის პური, რომლის ზედაპირზე გამოხატულია ცხენზე მჯდომი ბიჭი მათრახით ხელში. ხალხის რწმენით, ასეთი სახის პური ვაჟიანობის მომასწავებლად ითვლებოდა.

ქიზიყში ქორწინებამდე თვითონ სიძე პატიჟებდა სტუმრებს, "კაი მომღერალ, დარახტულ" ვაჟკაცებს ცხენით ესტუმრებოდა და "სამაყრო თათბირისთვის დაიყაბულებდა". საღამოს მექორწინე ვაჟის ოჯახში მისული მაყრები წამოიწყებდნენ სამაყრო სიმღერას: "თვალ-გულს ნუ ამარევინებთ, სამაყრო დამალევინეთ" (სტ. მენთეშაშვილი). ასეთი სახის დაპატიჟების წესი მესხეთ-ჯავახეთშიც დასტურდება. ინტელიგენცია ხალხს იწვევდა ქორწილზე სპეციალური მოსაწვევი ბარათებით, რომლებიც იბეჭდებოდა მექორწინეთა შეკვეთით. საინტერესოა ერთი ასეთი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების დამხმარე ფონდში არსებული მოსაწვევის ტექსტი: "რადგან ღირს ვიქმენ უფლის ნებასა, ამ ქვეყნიურ კეთილ გვირგვინებსა, უმორჩილესად გთხოვთ მობრძანებასა და მათ პატივი მცეთ დავალებასა 1907 წელს ღვინობის 29-სა დღესა, ხუთშაბათ დილით 8 საათზე ქორწინება იწყება სოფელ ვაქირში, ჩემ საკუთარ სახლში... ზაქარია მ. სოსიაშვილი".

1888 წელს "ივერიის" ფურცლებზე ვკითხულობთ: "ქორწილის წინა დღეს ვახშმად ნეფე წამყოლს თავს მოუყრის. მოიწვევს სანეფო: მეჯვარეს, წამყოლ მაყრებს და მეურმეებს. მოიყრიან თავს ვახშამზე ყველა წამყოლნი, გაიცნობენ ერთმანეთს და

დააწყობენ პირობას, როგორც უნდა მოიქცნენ "უცხო სოფელში" _ საპატარძლოსას და შეებმიან ლხინსა და მღერაში. გადმოცემით კახეთში მაყრიონს წასვლის წინ ქალის მამა დედოფლის ხელს გადასცემდა _ "ხელში ჩაუთვლიდა" ნეფეს და ეტყოდა: "ქალს გაბარებ ქალწულს, დედა გაულანძღო, დედაშენისა იყოს, მამა გაულანძღო, მამაშენისა იყოს." მერე დალოცავდა: შეაბერდითთეთრი წვერითა და თეთრი კაბითა. ქალის ჩაბარების რიტუალი ხევსა და სვანეთში კერასთან სრულდებოდა.ნეფის სახლის კარებში შესულ ნეფე-პატარძალს ზღურბლზე დაუდგამდნენ გადაბრუნებულ თეფშს, რომელიც ერთ-ერთ მათგანს უნდა გაეტეხა სიმბოლოდ ოჯახის გამრავლებისა, ისე როგორც თეფშის ნატეხები. კახეთში ასეთი წესიც იყო: ნეფე-პატარძლის კერაზე სამჯერ შემოვლის შემდეგ მაყრები დედა ბოძზე ჩამოკიდებულ კაკლით სავსე ქილას ხანჯლით დაამსხვრევდნენ. ხალხის რწმენით ძირს გაფანტული კაკალი ნეფე-პატარძალის გამრავლების სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

_ დედოფალო გიხდება ლერწამ ტანზე ალია;
ვინც შენ ბედი დაგიწყიოს წამოუვარდეს თვალია.
_ ღმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს, მოგცემოდეს ხუთი ვაჟი.
_ ჩვენ ვაჟი დაგვბადებია, მზევ, შინ შემოდიო,
დუშმანსა ქალი ჰგონია, მზევ, შინ შემოდიო,
_ ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს, დედოფალო, შენცა;
თქვენ ქვევიდან ქალი რო ზის, თვალი უგავს მწყერსა,
ცოტა ხანს კარში გამომყვეს თუ კი შაიძლებსა.
_ ნეფეო, შენსა გვირგვინსა ოთხკუთხივ ჯვარი სწერია...
_ გიხარის ვარდი შეყრისა, ღმერთმა ნუ მოგიწყინოსა
გვერდს გიზის შუქურ-ვარსკვლავი, ქვეყანას გააწბილებსა.
_ პატარძალო, გადღეგრძელებ, მართა გქვია თუ მარია;
სუყველა შენ გენაცვალოს, საცა კაპასი ქალია.
_ ახალი პატარძალი ვარ, ფეხი დავუსვი კერასო,
პატარა ქმარი ვიშოვე, გებრალებოდე ყველასო,
კისერი წიწილას უგავს, ფეხები ჭიაყელასო.
_ მე რომ რძალი მოვიყვანე, სახელად ერქო ნენია,
იმისა მაჭანკალასა გაუხმა ენის წვერია!
ექვსი სარტყელი უყიდე, მეშვიდე ჭია ფერია.
იმი ჩამაყვანაზედა ცხენმა იწყვიტა წელია
სულ ერთიანად შეჭამა: ქილა, ქოცო და ქვევრია.
დედაკაცებში კვეხულობს, ნიგოზსაც უნდ მივჰყო ხელია.
_ ტაბახმელას დავინიშნე, გამიწყრა გამჩენელია.
მოსაყვანად რომ წავედით მე და ის ჩემი ცხენია,
სიდედრი გამომეგება, ბეჭებზე დამკრა ხელია,
სიმამრიც კარგა შემომხვდა, ხელადა ქონდა სველია.

მომიყვანეს, გვერდს დამისვეს, იყო არაბის ფერია,
მუშტისდენა ცხვირი ქონდა, ჯირკს მიუგავდა წელია,
ავდექ და გამოვიქეცი, მეგონა ჩემი მკვლელია.
მერე ჩემი ძმა გავგზავნე, წადი აიღე ხელია,
ის უფრო ძლიერ დაეთროთ, გამხდარა ჭკუათხელია.
მას ჩემთვის წამოეყვანა, ცხენს მომიწყვიტა წელია,
მომიყვანა და დამიგდო, როგორც რომ დათვის ბელია,
ზევიდან თავზე დამეცა, ქვეშ გამადინა მტვერია.
ერთსა დილას გამამიდგა, ხელში ეჭირა წნელია,
კარებიდან ვერ გავასწარ, ფანჯარას გადავძვერია,
ჩოხას მიტაცა ხელია, შიგ გამეჩხირა წელია;
დამიჭირა, ბევრი მცემა, ზურგზე მადინა მტვერია.
მე ჩემი მიყო; მის შემდეგ დედასაც მიყო ხელია,
მამათილს დამუქრებია, გებდღვნები როგორც შველია,
რომ დაგაგლიჯო ულვაში, არ შეგარჩინო წვერია!
ქალებში დაუკვეხია, ახლა რას მივაგენია,
შვიდი ქილა ერბო ვნახე, ყვითელი ოქროს ფერია!
სულ შეეჭამა ისინი, ძირზედ მოესვა ხელია,
საპალნე ღვინო დალია, ზედაც ცხრა გუდა ყველია,
ყველანი ამას ვამბობდით: ღმერთო, შენ დაგვიხსენია!

ხალხური

* * *

_ ღმერთო, ნუ შეყრი ვაჟკაცსა, ცოლსა, ყბედსა და მძინარეს,
ის მოგკლავს, ის დაგაბერებს, ის შეგყრის წყალსა მდინარეს.

ჯ. ბარამიძე

ნეფე-დედოფალს ტრადიციულად საგანგებოდ გამოყოფილ და მორთულ ადგილზე სვამენ. სამცხე-ჯავახეთში მას "აჯი-ლაკს" უწოდებენ.

გადალოცვის შემდეგ ქორწილის თამადა ტოლუმბაშებს ირჩევდა _ ერთს ნეფის, მეორეს დედოფლის მხრიდან. საერთოდ ქორწილის სუფრა სამი ნაწილისგან შედგება _ დარბაისელთა, ქალთა და ჯეელებისა. აღმოსავლეთ საქართველოში ქორწილის თამადა სუფრას ხსნიდა და ყანწით მთელი საქართველოს სალოცავებს ადღეგრძელებდა და დაიძახებდა: "ეჯიბ-ნეფეს გაუმარჯოს". თამადის მოადგილეები მოკლედ ამბობდნენ: "დიდ ღმერთს გაუმარჯოს, დასახელებულ სალოცავებს, ანგელოზებს გაუმარჯოს". ქორწილის სადღეგრძელოები წინასწარ იყო შერჩეული. თამადა ერთმანეთის თანმიმდევრობით შესვავდა ჭერ-ფუძის, ნეფე-დედოფლის, მეჯვარის, მდადეს, ნეფე-დედოფლის მშობლების, ნათლიების, წინაპრების, დედმამიშვილების, მაყრების, დამსწრეების, "ქვეყნიერების", "ხარ-გუთნის", წასულების შესანდობარს, მომსახურე

პერსონალისას და სხვა სადღეგრძელოებს, ბოლოს "ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისას" სვამდნენ. მისი მხატვრული გაფორმება თამადის იმპროვიზაციის უნარზე იყო დამოკიდებული. საქორწინო სუფრას ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვა-თამაში ამშვენებდა. პოლიფონიური ხალხური სიმღერების ოსტატები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს სუფრულ სიმღერებში: "სუფრის გახსნის", "ლხინში შესვლის" და "სუფრის დახურვის" ანუ შემოძახილის სიმღერებში. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ქართველთა ფუძეში აღმოცენებული განუმეორებელი _ "მრავალჟამიერი", "ბერიკაცი", "ჩაკრულო", «შემოძახილი", "შენ ხარ ვენახი", "ზამთარი", "სუფრულები" და მრავალი სხვა, როგორც უხუცესნი იტყოდნენ, "ღვინიფერი სიმღერები".

ქორწილს ყოველთვის ცეკვა_თამაში ამშვენებდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ზურნა _ დუდუკი, დოლ-გარმონი და მათ აკომპანიმენტზე შესრულებული _ "ლეკური", "შალახო", "ბაღდადური", "უზუნდარა". პირველად საცეკვაოდ ეჯიბი გადავიდოდა, შემდეგ მეჯვარე, ბოლოს მეფე. ყველას უნდა აეყოლებინა დედოფალი (ბ.ნანობაშვილი).

ქორწილში ან სხვა სალხინო სუფრაზე სტუმარ-მასპინძელნი ერთმანეთთან გამომშვიდობების დროს ფეხზე მდგომნი უკანასკნელ სადღეგრძელოს ე.წ. "სახლის (კარის) ანგელოზებისას" სვამდნენ. ამ სადღეგრძელოს წარმოთქმა დღესაც იციან აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ კუთხეში.

ადრეულ პერიოდში ქორწილი და საქორწინო ნადიმი ყოველგვარი დასაკრავი ინსტრუმენტების გარეშე ტარდებოდა. ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე იდგა საგმირო, სატრფიალო, სახუმარო საგუნდო სიმღერები თუ ცეკვები და ცალკეული კუთხეების მიხედვით სხვადასხვა სახის ფერხულები. ასე მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში ცნობილი იყო _ "პატარძლის ცეკვა", "შვიდი წყვილი ფერხული", "გულთამაშა" და სხვა. მომდევნო პერიოდში უკვე შემოვიდა სხვადასხვა მუსიკალური საკრავები: ჩონგური, ფანდური, დოლი, დაირა, დაული, აჭარაში_ჭიბონი, რაჭაში_გუდა-სტვირი. აღნიშნული ინსტრუმენტები თანდათანო-ბით შეცვალა დოლ-გარმონმა, ზურნა-დუდუკმა, მოგვიანებით კლარნეტმა. თანამედროვე საქორწინო სუფრაზე ახალ რეალობასთანა გვაქვს საქმე, როგორც წესი ასეთ სუფრაზე ჟღერს სხვადასხვა სახის ელექტრონულ აპარატურაზე ან მუსიკალურ ინსტრუმენტებზე შესრულებული (ზოგჯერ ყოვლად მიუღებელი, უგემოვნო) სიმღერები, მუსიკალური ნაწარმოებები თუ ცეკვები. რატომღაც იშვიათად ისმის ასეთ სუფრაზე, განუმეორებელი და დიდი შინაგანი ემოციებით დატვირთული ათასწლეულებგამოვლილი ქართული ხალხური სიმღერები, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს ერის ხასიათს და ყველაზე დიდ და მშვენიერ იარაღს წარმოადგენს ადამიანთა გულების დასაპყრობად.

ქორწილი, გარდა დიდი ეროვნული და სოციალური მნიშვნელობისა, ყმაწვილ ქალ-ვაჟთა ურთიერთგაცნობის, დაახლოების, დამოყვრების და დამეგობრების შესანიშნავი საშუალება იყო და არის ახლაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში აღდგა თავისი ბრწყინვალებით გამორჩეული ულამაზესი საეკლესიო რიტუალი "ჯვრისწერა".

საქორწინო სუფრაზე თამადის დანიშვნის და დღეგრძელობის შემდეგ (მოადგილეების დასახელება და მათი რაოდენობა სუფრის სიდიდის მიხედვით ხდება) სადღეგრძელოების ჩვენეული ჩამონათვალი და თანამიმდევრობა:

1. სუფრის დალოცვა _ "მამაო ჩვენო"; დღის მადლის კურთხევა-დღეგრძელობა.
2. მეფე-დედოფლის სადღეგრძელო.
3. ქართულ სინამდვილეში იმ დღეს ყველა მართლმადიდებელთა ქორწილისა თუ ნიშნობისადმი სოლიდარობის გამოხატვა-დალოცვა.
4. იმ დღეს ქართულ მართლმადიდებელ ოჯახებში ახლად დაბადებულთა (ძე თუ ასული) ამ ქვეყანაზე მოსვლის,მათი მომავალი ღირსეული ცხოვრების და ბედნიერების დალოცვა-სადღეგრძელო.
5. შეუღლების ოფიცილაურ დამადასტურებელთა, მეჯვარეების (ხელისმომკიდეების) დღეგრძელობა.
6. მეფე-დედოფლის მშობლების დღეგრძელობა.
7. თუ მეფეს ან დედოფალს მშობელი გარდაცვლილი ყავს, მათი ცალ-ცალკე დღეგრძელობა.
8. მეფე-დედოფლის დედმამიშვილების დღეგრძელობა.
9. მეფე-პატარძლის პაპა-ბებიების დღეგრძელობა.
10. მეფე-დედოფლის წინაპრების, ჯიშისა და ჯილაგის თამადობით, მაგიდის ყველა წევრის წინაპრების ხსენება-დღეგრძელობა.
11. მეფე-პატარძლის მეობიდან წასული პიროვნებების თამადობით, სუფრის ყველა წევრიდან წასულების სულის მოხსენიება.
12. მარადიული მცნების - სიცოცხლის დღეგრძელობა - ("სიცოცხლეს მაინც ვერ ჯობნის სიკვდილი შემაზრიალი" _ ვაჟა).
13. სიყვარულის და სიყვარულში გამხელილთა სადღეგრძელო მეფე-პატარძლის სიყვარულის თამადობით.
14. ქართული მიწის და ამ მიწაზე მშვიდობის დღეგრძელობა.
15. ქართველი კაცისა და მისი ნიჭიერების აღიარების სადღეგრძელო (დიდი წინაპრების გახსენება-დღეგრძელობა).
16. ქვეყნის ისტორიული დედაქალაქის თბილისის და ყველა კოლორიტი თბილისელის გახსენება - დღეგრძელობა.
17. ერის სულიერი მამის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია_მონასტრების და რწმენის სადღეგრძელო.
18. თუ ქორწილია ჯერ დედოფლის და თუ ნიშნობაა, პირიქით მეფის ახლო ნათესავ-მოყვრების დღეგრძელობა.
19. ანალოგიურად მაყრების სადღეგრძელო.
20. სუფრაზე მჯდომი მანდილოსნების თამადობით, ყველა მანდილოსნის (ქალის) სადღეგრძელო.
21. მეგობრობის მცნების და მეფე-პატარძლის მეგობრების თამადობით ყველა მაგიდის წევრთა მეგობრების დღეგრძელობა.

22. მეფე-დედოფლის და მათი მშობლების თანამშრომელთა სადღეგრძელო.
23. მეზობლების სადღეგრძელო.
24. მომსახურე პერსონალის სადღეგრძელო.
25. მუსიკოს-შემსრულებლებისა და მომღერალთა სადღეგრძელო.
26. მოადგილეების დღეგრძელობა.
27. მეფე-პატარძლის თამადობით ყველა მაგიდის წევრის ხვალინდელი დღის დალოცვა-დღეგრძელობა.
28. თამადის მოადგილის ან ოჯახის უფროსის მიერ თამადის დღეგრძელობა.

ჩვენი აზრით, სასურველია ქორწილში ან ნიშნობაში ლუწი, ხოლო სამგლოვიარო სუფრაზე კი კენტი სადღეგრძელოები შეისვას. ამას თავისი ახსნა აქვს, რომელიც ჩვენი წინაპრებიდანაც დასტურდება.

როგორც წესი ადამიანის ამქვეყნიური არსებობა მთავრდება მოვლენით, რომელსაც სიკვდილს ვეძახით. დგება დრო, როცა სიცოცხლის დასასრულს თვალი უნდა გავუსწოროთ. სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშეო, ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი სიცილად და ჟამი ტირილად - «დროს ჰსვრიტე, ჟამთა რა მოაქვს? რას ისხამს, რა მოისთვლების».

კაცობრიობის მთელი ისტორია ხომ სიკვდილ-სიცოცხლეზეა აგებული. მათი ურთიერთობა განუყოფელია. არსებობს ასეთი ცნობილი გამონათქვამიც - «გახსოვდეთ სიკვდილი»... სადაც სიცოცხლეა, იქ არის სიკვდილიც. ასეთია მათ შორის უწყვეტი ერთიანობა. როგორც ამბობენ - სიკვდილი არის თვალთახედვიდან ადამიანის ფიზიკური გასვლა მარადიული ძილის საუფლოში. რაც უფრო გავითავისებთ იმას, რომ ადრე თუ გვიან იგი ყველას მოგველის, მით მეტად შევეჩვევით ამ საოცარ და იდუმალ სამყაროს. ამასთან დაკავშირებით კონსტანტინე გამსახურდია ასე ბრძანებს: «ადამიანი ყოველ წუთს მზად უნდა იყოს სიკვდილისათვის, მაგრამ არ უნდა დაღონდეს, სახეზე არ უნდა გეტყობოდეს მოწყენის ჩრდილი, ყოველთვის ისე უნდა გეჭიროს თავი, თითქოს ნადიმზე მიდიოდე. ბერძნები უდიდესი პესიმისტები იყვნენ, მაგრამ ყოველი წამით ხარბად სტკბებოდნენ, ამიტომაც იმდენი მზე და იმდენი სინათლე, იმდენი ლხენა იყო მათ ყოფაცხოვრებასა, პოეზიასა და აზროვნებაში». მსახიობ ჯეიმს დინის აზრით: «იოცნებე ისე, თითქოს უკვდავი ხარ, იცხოვრე ისე, თითქოს დღეს კვდები». რომის იმპერატორი იულიანე სავსებით მშვიდად შეხვდა სიკვდილს. იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ასე ამბობდა: «მე ჩემს სიცოცხლეს ვუბრუნებ შემოქმედს, ვითარცა სესხს, რომელსაც კეთილსინდისიერად ვიყენებდიო».

ძველი რომაელების თქმით: «დაბადებიდანვე სიკვდილის გზას ვადგებით; დასასრული დასაბამიდან იღებს სათავეს». კათოლიკოს პატრიარქი - ილია მეორე ასე გადმოსცემს: «სიხარული საწყისია მწუხარებისა, მწუხარება კი საწყისია სიხარულისა». სიკვდილზე ჩაფიქრებული დავით გურამიშვილი კი ასე ამბობს: «ის ჩვენსკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერსად ავუქცევთ გზასაო». ასე, რომ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მანძილი ძალზედ მცირეა, რომ სიცოცხლე ერთი დაფახუნებაა თვალისა (წუთია სოფელი). თავისი შინაარსით ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა, ყველა სიკვდილის

შვილები ვართ, თუმცა კი ამა თუ იმ პიროვნების სახელი შეიძლება მარადიულად დარჩეს ამქვეყნიურ ყოფაში. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ასე ითქვას _ იცოცხლო ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე.

_ ათას ცოცხალსა ბევრჯელა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია.

ვაჟა

- სიკვდილს ვერვინ დაემალვის რაზომ კაცსა დაეზაროს,
მაგრამ მართებს დრო და ჟამი გონიერად მოიხმაროს.

შოთა

სულიერად განვითარებულ ერში განსაკუთრებულად რაფინირებულია გლოვის კულტურა, თანაც, კლასიკურ ზომიერებასა და დახვეწილ სისადავეს მოითხოვს. ყველას გვახსოვს, ალბათ, ქართული გენიის გადაძახილი სამყაროსთან «სიკვდილსა გლოვა უხდება».... და მართლაც სიკვდილს ქართულ ენაზე მსოფლმხედველობრივი ასპექტი აქვს - «გარდაცვალება», რითაც აუხსნელს გონიერი მიმართულება ეძლევა.

ჭირში თავშეკავება და საჭირო შემთხვევაში მისი დამალვაც კი მტკიცე ეთიკურ ნორმად იყო ქცეული საქართველოში. ერთი ასეთი შემთხვევა გახლავთ მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მიდგომა და დამოკიდებულება ლხინსა და მწუხარებას შორის: _ გარდაცვლილი ვაჟი ცხვრიდან (შირვანიდან) მოასვენეს თავის ოჯახში მამა-ბიძებმა. ამ დროს ოჯახში მეორე ვაჟი ქორწილს იხდიდა. სახლს რომ მიუახლოვდნენ და გაიგეს, რომ ოჯახში ქორწილია, მიცვალებულის თანმხლებნი გაბრუნდნენ და მთელი ღამე ალაზნის ველზე გაჩერდნენ, ქორწილი რომ არ ჩაშლილიყო. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტად ღირსეული პატივისცემა გამოიხატა მექორწინეთა და გარდაცვლილის მიმართ. აქედან გამომდინარე საქართველოში მტკიცედ ჰქონდათ დაცული ლხინსა და გლოვასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რაც თავისი შინაარსით და შინაგანი დატვირთვით მართლაც განუმეორებელი და შთამბეჭდავია.

_ თუ ლხინი გვინდა ღმერთისგან, ჭირნიცა შევიწყნაროთა.

შოთა

_ ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა
და შენც სიკვდილო ფასი გძე სიცოცხლის ნაწყენობითა.

ვაჟა

<u>სამგლოვიარო სუფრა და მისი წეს-ჩვეულებები</u>

საქართველოში სამგლოვიარო სუფრა (ქელეხი, ორმოცი, წლისთავი, გახსენება) თავისი დანიშნულებისა, ხასიათისა და დამოკიდებულების მიხედვით ყოველთვის

გამოირჩეოდა სხვა სახის სუფრისაგან. ქელეხი, ეს ქრისტიანული აღაპი, დამარხვის დღეს მიცვალებულის მოსახსენიებლად გამართულ პურობას ნიშნავს, რომელიც ამა თუ იმ პიროვნების დაკრძალვის შემდეგ იშლება (გარდა ზოგიერთი ეთნიკური კუთხისა, სადაც სუფრა დაკრძალვამდე იშლება, რაც არასწორად მიგვაჩნია).

ზომიერების ფარგლებში ამ ტრადიციული ჩვეულების შესრულებას გარდაცვლილის ჭირისუფლებისათვის ნუგეშის მნიშვნელობაც ენიჭება. აქ თავს იყრიან ახლო ნათესავ-მოყვრები, მეგობრები, თანამშრომლები თუ უახლოესი მეზობლები. იგი ქართული ტრადიციაა და სამომავლო საქმეს ემსახურება. ძველი ლიტერატურული ტექსტები და წმინდა მამათა წერილებიც ხომ მიცვალებულთა განუწყვეტელი მოხსენიებისკენ მოგვიწოდებენ.

სიკვდილი უძლურია მარადიულ სიცოცხლესთან ბრძოლაში. თუმცა მიცვალებულთა პატივისცემა, მათი მეხსიერებიდან არამოშლის გამუდმებული მცდელობა, მათი სახელებისადმი და საფლავებისადმი მოკრძალება ჩვენს წმინდათა წმინდა მოვალეობას წარმოადგენს.

საკითხის არსში ღრმად ჩახედვა გვარწმუნებს, რომ არც თუ ისე უსაფუძვლოა ქელეხების მოწყობა. ასეთ სუფრაზე ერთხელ კიდევ იხსენებენ გარდაცვლილის ღვაწლს ქვეყნისა და ოჯახის წინაშე. უქებენ განვლილ ცხოვრებას, ამქვეყნიურ ყოფას. ამ დროს თქმულს და მოსმენილს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც გააჩნია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის. აქ ჩანს თუ როგორ ფასობს კაიკაცობა.

- ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი
  მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი,
  ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
  სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!
  შოთა

ჩვენში გარდაცვლილთა ოჯახი ყველანაირად ცდილობს, რათა მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად ყველა აუცილებელი რიტუალი ჩაატაროს, სუფრიდან დაწყებული და სხვადასხვა წეს-ჩვეულებებით დამთავრებული. წესისამებრ სუფრაზე გარდაცვლილ სულთა ხსენების გარეშე პურს არ გავტეხთ. ვეკრძალვით და ვესათუთებით მათ ხსოვნას. ვყვებით მათ უკანასკნელ დღეთა ქრონიკას, გარდაუვალ სიკვდილთან მათი შეხვედრის წუთებს.

- წარმავალია ნათელი, უფრო და უფრო ბინდდება,
  რა არის ჩვენი სიცოცხლე? ჩიტივით გაგვიფრინდება,
  რა არის ჩვენი სიცოცხლე? ჩიტივით გაგვიფრინდება,
  ჩვენს ნასახლარზე ოდესღაც, ბალახი აბიბინდება...

იმასაც მოკლედ უვლია, ვინც გრძლად ეგონა იარა
თოფს ჟანგი შესჭამს, ჟანგს მიწა, კაცის გულს ჯავრი იარა.
მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა...
მ. ხელაშვილი

დაკრძალვის ცერემონიას, როგორც წესი ყოველთვის ახლავს სამგლოვიარო მუსიკა. ადრეულ პერიოდში (ამჟამად ფართოდაა გავრცელებული) ასეთ დროს მგალობელთა გუნდი ასრულებდა სხვადასხვა სამგლოვიარო საგალობლებს. ერთი ასეთი შემთხვევა მაგონდება, როდესაც რამდენიმე მომღერალი მამკაცისაგან შემდგარი გუნდი (ყოფილი საეკლესიო მსახურის დავით ქოქიაშვილის ხელმძღვანელობით) დაკრძალვის დროს ასრულებდა სამგლოვიარო სიმღერას, რომლის ტექსტი ასე გამოითქმებოდა:

- ჩვენ დავკარგეთ ამხანაგი, მეგობარი საყვარელი;
მისი სახე, მისი ხსოვნა, მუდამ არის სანატრელი;
ჭირისუფალთ ჩვენ ვუგალობთ გავუქარწყლოთ დარდი, ჭირი,
აკმაროს ეს მწუხარება, აღარ შეხვდეს გასაჭირი...

ჭირის (ქელეხი, ორმოცი, წლისთავი) სუფრის თამადა შესაბამისად ღვინის სმის თავისებურ წესს იცავს და იმდენ სადღეგრძელოს წარმოთქვამს, რამდენიც ტრადიციის თანახმად ასეთი შემთხვევების დროს არის მიღებული. ადრეულ პერიოდში მათი რაოდენობა კენტი _ სამი (იშვიათად შვიდი) სადღეგრძელო უნდა თქმულიყო. ეს სადღეგრძელოები უფრო წარსულთან მოგონების, მათი გახსენების და შესანდობარის ფორმით წარმოითქმებოდა და ამავე დროს სააქაოში დანატოვარისა და სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლიურ კავშირსაც ითვალისწინებდა.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ქელეხის სუფრის თამადა პირველ სადღეგრძელოდ ყოველთვის ახლად გარდაცვლილის შესანდობარს ამბობდა (თ. იველაშვილი): "ღმერთმა გაანათლოს ოჯახიდან ახლად წასული, მისი სული ნათელში ამყოფოს ქვეყნის გამჩენმა, ღმერთმა სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა, კეთილად წასულიყოს და ოჯახი დაელოცოს, აკმაროს მისი დანაკლისი ოჯახს ღმერთმა". ფეხზე ადგომით მაგიდის წევრები რიგრიგობით იმეორებდნენ ამ სადღეგრძელოს და სასმისიდან ცოტაოდენ სასმელს მოსვამდნენ. სასმისებად ჩვეულებრივ კულა, მარანი, თიხის ჯამი, კოჩხო და ჯიხვის ყანწი ითვლებოდა. გარდაცვლილების მოსახსენიებლად კახეთში ზოგჯერ ხელადასაც ხმარობდნენ. შუშის სასმისების გამოყენება საქართველოში გვიანეულ პერიოდში შემოვიდა. გარდაცვლილის მოსახსენიებელ სადღეგრძელოზე სასმისის ბოლომდე დაცლა მიუღებელი იყო და დიდ სირცხვილად ითვლებოდა (თანამედროვე სუფრაზე პირიქითაა, გარდაცვლილის სადღეგძელო, როგორც წესი, ბოლომდე იცლება).

ცოტაოდენი დანაყრების შემდეგ, სუფრის ხელმძღვანელი მეორე სადღეგრძელოდ გარდაცვლილის ოჯახის წევრების სადღეგრძელოს სვამდა, "ღმერთმა გაცოცხლოთ დიდხანს, თქვენგან იმქვეყნად წასულის სიცოცხლის დანაკლისი დღეები თქვენ შეგემატოთ; ღმერთმა გაკმაროთ დანაკლისი; იცოცხლეთ დიდხანს; ღმერთმა შეგაძლებინოთ თქვენი მიცვალებულის პატივისცემა და მისადმი ხსოვნა არ დაგევიწყებინოთ; დღეიდან ის თქვენთან ერთად თქვენში ცოცხლობს; ღირსეულად გეტარებინოთ და არ შეგერცხვინოთ მისი მოგონება; დღეგრძელობას და კარგ ყოფნას გისურვებთ ამიერიდან". ოჯახის წევრები, ფეხზე მდგომნი, ისმენდნენ ამ სადღეგრძელოს (ამ სადღეგრძელოზე სასმისის დაცლა შეიძლებოდა).

მომდევნო, მესამე და ბოლო სადღეგრძელო მგლოვიარე ოჯახს ეკუთვნოდა: "ოჯახს გაუმარჯოს! იხაროს, იმრავლოს, ღმერთმა აკმაროს ეს დანაკლისი (იგულისხმებოდა ახლად გარდაცვლილი). ამის შემდეგ ამ ოჯახში სულ ლხინში, კაი დღესა და ნიშანქორწილში შევხვედროდით ერთმანეთს, ღმერთმა გაუნათლოს და სასუფეველში უმყოფოს იმ ქვეყნად წასულები; ოჯახმა იმრავლოს და იმ ქვეყნად წასულები არ დაევიწყებინოს; მუდამ ჰქონდეს შეძლება და საშუალება იმ ქვეყნად წასულების მოგონებისა". ამ სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ ქელეხის სუფრა დამთავრებული იყო. ზოგჯერ ეს სადღეგრძელოები შვიდამდე და არც უმეტესი ადიოდა. ასეთ დროს სუფრის ბოლოს მიცვალებულის სადღეგრძელოს ერთხელ კიდევ ამბობდნენ. მოიხსენიებდნენ რა მიცვალებულს, შესანდობარს მიწას დააპკურებდნენ, თან ამბობდნენ: "აქ რომ პურს ღვინო დავასხათ, შეიძლება ძაღლმა შეჭამოს, მიწა კი შეიწოვს და მიცვალებულს მიუვაო". ამ წესით და რწმენით ხდება ამჟამადაც ღვინის მოპკურება გარდაცვლილთა საფლავზე.

ორმოცის და წლისთავის სუფრაზე შვიდი, ზოგჯერ ცხრა (აუცილებლად კენტი) სადღეგრძელო ითქმებოდა. ასეთ სუფრაზე საქართველოს ბევრ კუთხეში ბოლო სადღეგრძელოდ "ყოვლად წმინდა ანგელოზების"-ას სვამდნენ. მთიულეთში "მგზავრის ანგელოზის"-ას ამბობენ. ორმოცისა და წლისთავის თამადად იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო, ვინც ქელეხის სუფრას უძღვებოდა.

ძველად არსებული წესის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მიცვალებულის შემთხვევაში სოფლის მოსახლეობა ვალდებულად თვლიდა საკუთარ საქმეზე ხელი აეღო. მიცვალებულის დასაფლავებამდე არ მუშაობდნენ, ზოგან კი შვიდ დღემდე არ გავიდოდნენ საქმეზე. ამ ქმედებაში სოფლის ერთიანობის, ცალკეული მოსახლის მწუხარების საერთო მწუხარებად მიჩნევა და თანაგრძნობის პრინციპი იყო გამოხატული. ასე რომ, გაჭირვების დროს სხვისი დახმარების, გვერდში დგომის აუცილებლობა ჩვენი ხალხის ხასიათში, მის ბუნებაში მყარად იყო გამჯდარი.

მიცვალებულის ოჯახისადმი შეწევნა (გადახურვა) საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო დამახასიათებელი. ამ აქციას გავალების ხასიათიც ჰქონდა, დღეს მე დამჭირდა და დამეხმარე, ხვალ თუ საჭირო იქნება მე დაგეხმარები. ჭირისა და ლხინის დახმარების საქმეში არ შეიძლება არ დავინახოთ ნათესავ-მეზობლების და მეგობრების, განსაკუთრებული როლი, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან მოდის. როგორც

ისტორიული დაკვირვებიდან ჩანს, ურთიერთ დახმარების საჭიროებას განაპირობებდა ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა. ასე მაგალითად, XIV საუკუნის კანონმდებლის ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის მიხედვით _ "ქორწილისა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედა; აგრეთვე საჭირისუფლო შესაწევარიცა ვალია, _ წახურვა მიცვალებულისა". შოთა რუსთაველი კი ასე გადმოსცემს:

_...ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა;
ყოვლთა დღეთა მიართმევდეს უფასოსა ძღვენსა მზასა...

ბოლო დროს მართლმადიდებლობისადმი დიდი რწმენისა და სულიერების ჭეშმარიტ გამოხატულებად გვევლინება ამა თუ იმ რეგიონის, კუთხის, რაიონის თუ სოფლის რელიგიური , საკულტო და კალენდარული დღესასწაულების აღნიშვნა, რაც ახლობელ-ნათესავთა, მეგობრების და თანასოფლელთა შეკრების, გვარ-ტომიდან გარდაცვლილთა გახსენების შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს.

ქელეხის სუფრაზე თამადის დანიშვნის და დღეგრძელობის შემდეგ (მოადგილეების დასახელება და მათი რაოდენობა ამ შემთხვევაშიც სუფრის მასშტაბის მიხედვით ხდება) სადღეგრძე-ლოების ჩვენეული წყობა და ჩამონათვალი:

1. სუფრის დალოცვა _ "მამაო ჩვენო"-თი და დღის მადლის დღეგრძელობა.
2. განსვენებული პიროვნების სულის ხსენების სადღეგრძელო.
3. განსვენებულის გარდაცვლილი მშობლების გახსენების სადღეგრძელო.
4. განსვენებულის გარდაცვლილი მეუღლის გახსენების სადღეგრძელო.
5. განსვენებულის ახლო ოჯახიდან გარდაცვლილის (თუ ასეთი არის) სადღეგრძელო.
6. განსვენებულის გარდაცვლილი დედმამიშვილების სადღეგრძელო.
7. განსვენებულის ჯიშისა და ჯილაგიდან გარდაცვლილთა თამადობით, მაგიდის ყველა წევრის ჯიშისა და ჯილაგიდან გარდაცვლილთა გახსენება-სადღეგრძელო.
8. იმ დღეს ქართულ სინამდვილეში (მართლმადიდებელ ქრისტიანთა) გარდაცვლილების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა_დღეგრძელობა.
9. მაგიდის წევრთა მეობიდან და საახლობლოდან წასულების გახსენება_სადღეგრძელო.
10. სამამულო ომიდან არ დაბრუნებულთა _ "ღიმილის ბიჭების" გახსენება_სადღეგრძელო.
11. ბოლო წლების დროს საქართველოს ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში დაცემული ახალგაზრდების გახსენება-სადღეგრძელო.
12. სიცოცხლის მცნების, როგორც ადამიანთა ამ ქვეყანაზე მოსვლისა და არსებობის მთავარი ელემენტისა და წყაროს სადღეგრძელო.
13. გარდაცვლილის მეუღლის ჭირში გამაგრების და გამხნევების სადღეგრძელო.

14. გარდაცვლილის შვილების სადღეგრძელო.

15. გარდაცვლილის შვილიშვილებისა და შვილთაშვილების სადღეგრძელო.

16. გარდაცვლილის დედმამიშვილების სადღეგრძელო.

17. გარდაცვლილის ნათესავ-მოყვრების სადღეგრძელო.

18. ერის სულიერი მამის, მწყემსმთავარის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დღეგრძელობა-დალოცვა.

19. სუფრაზე მყოფი მანდილოსნების (დამტირებლების) სადღეგრძელო.

20. გარდაცვლილის ამხანაგ-მეგობრების სადღეგრძელო.

21. გარდაცვლილის თანამშრომლების სადღეგრძელო.

22. გარდაცვლილის მეზობლების სადღეგრძელო.

23. განსვენებულის გამპატიოსნებლების და საბოლოო სასუ ფეველის მიმცემთა სადღეგრძელო.

24. გარდაცვლილის ოჯახის გვერდში მყოფთა, დამხმარეთა და მომსახურეთა სადღეგრძელო.

25. გარდაცვლილის კიდევ ერთხელ სულის ხსენების სადღეგრძელო.

ქელეხზე სუფრის ბოლოს თამადის სადღეგრძელო არ ითქმება.

სამგლოვიარო სუფრაზე სადღეგრძელოთა წყობა და ჩამონათვალი თავისებურ წესს ემორჩილება, თუმცა მათი გადაადგილება თუ ახალი სადღეგრძელოთა სუფრაზე შემოტანა სიტუაციის მიხედვით ხდება და სუფრის ხელმძღვანელის (თამადის) უნარ-ჩვევებზე არის დამოკიდებული. ორმოცსა და წლისთავზე უფრო საამქვეყნო სადღეგრძელოები სჭარბობს. ამ დროს დასაშვებია და ისმება თამადის სადღეგრძელო, ხოლო თავის მხრივ თამადა სუფრის ბოლოს სვავს - «ყოვლად წმინდის».... სადღეგრძელოს. წლისთავის სუფრის ბოლოს კი როგორც წესი ხდება ჭერის გახსნა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დამწუხრებული ოჯახი უკვე ჩვეულებრივ მდგომარეობაში გადადის, რომლის შემდეგაც შესაძლებელია ქორწილების, ნიშნობების და სხვა სალხინო სიტუაციების აღნიშვნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე მარადიული მცნებაა წარსულიდან მომავლისაკენ და კვლავ გრძელდება უსასრულობამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ქართველი მეფეების გარდაცვალების შემთხვევაშიც კი გლოვა როგორც ჩანს, ერთ წელიწადს გასტანდა ხოლმე. გიორგი III და თამარ მეფის ისტორიკოსის ბასილი ეზოს მოძღვრის გადმოცემით წლისთავს «მოქცევასა წელიწადისას» ეძახდნენ, იმ დროს, როდესაც წლისწირვას გადაიხდიდნენ ხოლმე, «ვითარცა წესი იყო, რამეთუ გარდახდა ჟამი ამის ჟამისა, და მოსწორებასა მოქცევისასა», «შემდგომად გლოვისა მის გარდახდისა». ამის შემდეგ მხიარულება კვლავინდებურად შეიძლებოდა.

ასე, რომ საქართველოში საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებები დღესაც მოქმედებს და არსებობს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხალხში აღმოცენებული ძირძველი ადათ-წესები და ტრადიციები არ გახუნებულა და არც არასდროს გახუნდება.

ჩვენ განგებ არ შევეხეთ სუფრის მენიუს, ქართულ კერძებს, ვინაიდან იგი საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით თავისებური და მრავალფეროვანია. ხშირ შემთხვევაში მას რიტუალურ-საკულტო მნიშვნელობაც კი ენიჭება. ამის გარდა, ამა თუ იმ სუფრის მენიუ ოჯახის, პიროვნების შესაძლებლობის მიხედვით დგინდება და მისი შერჩევა ინდივიდუალურად ხდება.

ხალხური დალოცვა_სადღეგრძელოები:

_ ღმერთო, შენა სწყალობდე, აქ მბრძანებელ ყველასა,
გაჭირვებულსა ბრალობდე, არ აკლებდე შველასა!
შეაწიე ღვთის მადლი, დღევანდელი დღის მადლი.
უცოცხლე სახლში მყოფი: შინაური-გარეული,
მეღვინე და მზარეული,
კერა, მათი შემყურე ყველა; გაგიმარჯოს თქვენა,
ეს ჩარექა მენა!..
აივსეთ შვილითა, საბძელი _ შვილიშვილითა,
თქვენი მტერი დაამარცხოს, ეზიდებოდნენ ვირითა,
ვირები დაჰკოჭლებოდეთ, ეზიდებოდნენ კბილითა,
ელასა, მელასა, ჭიქა მეჭირა ხელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გწყალობდეთ ყველასა!
_ გაუმარჯოს იმ პირებს, ვინც სიკეთეს გვიპირებს,
სიცოცხლეში გვაფასებს, მოვკვდებით და გვიტირებს.
_ გაგიმარჯოს, გადღეგრძელოს, პური-ღვინო დაგიძველოს,
ცხრა უღელი ხარი მოგცეს, გუთნეული გაგიგრძელოს,
ღმერთმა ისიც გიდღეგრძელოს, ვინც, რომ ღამე დაგიჯეროს,
შვიდი ვაჟი შვილი მოგცეს, წვერი თეთრად დაგიბეროს.
_ სუფრა გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთრითა,
ზედ გიდგან მეღვინეები, ხუცითა, დიაკვნებითა,
ამოიღებენ, დალევენ ვერცხლის იმ ვაშრაპებითა,
შენდობა, (სახელი), ღმერთმა გაცხონოს სულთა.
_ ღმერთმა ისე გადღეგრძელოს, როდორც შიოს მარანიო,
ხახვის ნერგი დაგიძველოს, სარჩო მოგცეს მრავალიო.
ბეღელში პური, სკივრში ფული,
ლოგინში ქალები, ლამაზნი, განა შავები,
დერეფანში ჩიტები, სახლში ბიჭები.
_ მზე-მთვარესავით ხარობდე, ოჯახობაში გვარობდე,
სუფრა კარგი გაგეშალოს; ქვეყანას შენა სწყალობდე,
შეგეწიოს სამებანი, გავარდნილი გქონდეს ხმანი,

გყავდეს კარგი შვილი-ძმანი, წელზე ერტყათ კარგი ხმალი.
ოქროს ქამარი წელზეა, გუთანი გებას ველზეა
მეცხვარები ბევრი გყავდეს, ოქროს ბეჭედი ხელზეა.
ნათელი დაგიდგეს კვდარსა, ანგელოზი გაჯდეს მხარსა,
იბრალებდე კამეჩ-ხარსა,...
უქმე კვირას ინახავდე და პარასკევს იმარხვამდე.
_ გაგიმარჯოთ თქვენა, ჯამით ღვინო მენა!
მე ძალიან არ დავითრო, თქვენ მოგეცეთ ლხენა.
ჩიტს უხდება ფრთების გაშლა, გაფრენ-გამოფრენა,
ვაჟკაცს მკლავი მოულოცე, დიაცს ტკბილი ენა,
მხრებზე შოლტა ნაწნავების კოხტად გადაფენა.
თქვენ სიმღერა, სიხარული,სადღეგრძელო მენა.
თამადისა კარგი სიტყვა, სუფრის წევრებს სმენა.
ლამაზ გოგოს ბიჭის მკლავზე კოხტად გადაწვენა.
როცა სადღეგრძელოს ვიტყვი, თქვენა გმართებთ სმენა!
_ გაცოცხლოს და გადღეგრძელოს და მოგიმართოს ხელია,
ათას წელიწადს იცოცხლე, ფრჩხილიც ნუ წამოგტკენია.
_ აშენდეს შენი ოჯახი, შენი ცხვარი და ბინაო,
ასორმოცმა ანგელოზმა სულ შენს ოთახში სწირაო,
ოქროს სახლები დაგიდგა, ვერცხლის ფანჯრები წინაო
გარშემო შემოურიგა აზარფეშა და მინაო,
ლამაზი წითელი ღვინო შენს ქვევრზე მოადინაო,
შენი ღვინითა დაგათრო, შენს სახლში დაგაძინაო,
შენი ჯვარწერილი ცოლი, შენს მკლავზე დაგიწვინაო,
როდის რო ავად გაგიხდეს, უფალმა მოგირჩინაო.
არც საექიმო გაგივა, არცა წამლების ქირაო.
_ გიორგი, ღმერთმა გაცოცხლოს, ღმერთმა გიმართოს ხელია,
ღმერთმა ცოლ-შვილი გიცოცხლოს, დაბრმავდეს შენი მტერია,
ექიმის კარზედ იაროს, არ ქონდეს საშველელია,
ცხვარი და ძროხა შინ ებას, ედოს სიკვდილის ფერია.
ზოგი მასხარად ამიგდებს, განა დალოცვა ძნელია.
ორი ტომარა სავსე მაქვს, გუდა პირმოუხსნელია.
ეგრე მოვყვები დალოცვას, როგორც საყდარში ღვდელია,
- დაგლოცოთ პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიმისამა.
_ საყდრი მადლი შეგეწიოთ, განა ძალიან ძნელია.
ოთხფეხი შენი გამრავლდეს, ფურები კუდაგრძელია,
დეკეულები დაზარდე, მოზვრები _ უფრო ჭრელია,
ურემი კარგი გამართე, გადაუჭირე წნელია,
ზედ შეშა-ფიჩხი დაუდე, ზოგი ახალი, ძველია.

სოფელში ჩამაატარე, დაბრმავდეს შენი მტერია.
მარჯვენა ფეხი გაუხმეს, მარცხენა კიდე ხელია.
სახლში ბარაქა გაუქრეს, ენატრებოდეს ქერია.
_ გადღეგრძელოს (სახელი) მოგცეს ადამის დღენია,
გაცოცხლოს, ამიერიდგან ფრჩხილიც ნუ წამოგტკენია,
უწინ შენ მოგაკვლევინოს შენზე მოსული მტერია.
დაგიფაროს შიშისაგან, შენ სახლში შიმშილისაგან,
დაგორებული ქვისაგან, აღელვებული წყლისაგან,
ავი კაცის ვალისაგან, კახპა ქალის შარისაგან.
გაცოცხლოს და გადღეგრძელოს, სანამ მინდორს წავიდოდე,
კურდღელებს თავს მოუყრიდე, დავბანდეყე, დავვარცხნიდე,
დავაწვენდე, დავპარსავდე, წინდა პაიჭს დავართამდე,
მოვქსოვდე და მოგართმევდე,-მანამდე ღმერთმა გაცოცხლოს..!
_ ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი მოწიწინობს თავშიშველი,
საქვაბე და საკიდელი, დოი არ აქვს საყიდელი.
ღმერთმა ყველა გადღეგრძელოს სტუმარი და მასპინძელი.
_ გაუმარჯოს ცხვრის მატყლს, ძროხის ჯიქანს, ხარის
ქედს, ცხენის მუხლს, ძაღლის თვალ-ყურს, ვაჟკაცის მარჯვენას, ქალის ნამუსს!

_ გაგიმარჯოთ, გადღეგრძელოთ, ღმერთი შეგეწიოთ და მისი ლოცვა-კურთხევა არ მოგიშალოთ. შინ მშვიდობა, გარეთ გამარჯვება მოგცეთ უფალმა.

_ ღმერთმა აცოცხლოს კაცის მარჯვენა, ხარის ნახნავი, დედამიწის მოსავალი, ცა და ღრუბელი, მზე და წვიმა, კაცის პირიანობა, დედაკაცის ნამუსი, გემით მგზავრები, უპატრონო ავადმყოფი, მართალი პატიმარი, სწორე მოსამართლე, გაჭირვებული მელოგინე, ობოლი ბალღები, კარგი მთავრობა.

ხევში ასეთი სადღეგრძელოც ყოფილა: _ ღმერთო გვარიდე ადიდებულ წყალსაო, გამოგორებულ ქვასაო, დედაკაცის შარსაო და საწყლის კაცის ვალსაო.

<u>სადღეგრძელოები წარსულიდან</u> :

1770 წელს ასპინძის ველზე ომამდე მეფე ერეკლე მეორის მიერ ნადიმზე თქმული:_*გულოვანნო, მხნენო ქართველნო! ჩემო განუყრელო ყოველსა საშინელებაში, ჩემო გულის ძმანო! კარგად იცით რა სიკვდილის ლხინი გველოდება დღეს. ვიომოთ სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა ვერ იხილოს: ეს ხომ ჯაბანთა წესია. ჩვენ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა გამოვესალმოთ ჩვენს თავს და აქ უნდა გავწყდეთ; დამარცხებით მისვლა ჩვენს ცოლ-შვილთან ხომ სირცხვილია? გვიჯობს, რომ თმები ვაწეწინოთ ჩვენ დედაკაცებს, ჩვენს მიერ დაქცეულ წმინდა სისხლზედა ჩვენის მამულისათვის.*

ნადიმზე ქართლის მეფის ლუარსაბ პირველის მეომრული შეგონება: _ *მამაცმან კაცმან თავი თავისი მგელს უნდა ამსგავსოს და მტრის ლაშქარი ცხვრის ფარად*

ჩაითვალოს; ვითარცა მგელი ცხვარსა, ესრეთ მტერსა უნდა მიუხდეს; ხოლო გამარჯვება ღმერთისა ხელთა არს. გაგვიმარჯოს! გამარჯვების გზით გვევლოს.

1878 წელს აჭარის საქართველოსთან შემოერთებასთან დაკავშირებით მუხრან_ბატონის სახლში გამართულ ბანკეტზე დიმიტრი ყიფიანის მიერ თქმული: _ *ამ ჩვენს ძველს მოძმეებს, რომ თვალთა ვხედავთ და ძმური სიყვარულით შევხარით, შევსვათ სადღეგრძელო იმათი!*

ილიას სადღეგრძელო "ილიაობაზე" გლეხების მიმართ ნათქვამი: _ *თქვენი სადღეგრძელო იყოს, შრომის შვილებო, ამ ქვეყანაზე რაც კარგი და ლამაზია, ყველაფერი თქვენი შექმნილია, იცოცხლეთ და იმხიარულეთ!*

ყაჩაღ გაუხარაშვილის მიერ თქმული ილიასთან სახელდახელოდ შეხვედრილ სუფრაზე: _ *ქვეყანაში კაი კაცსა და სიმართლეს გაუმარჯოს!*

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ თქმული ცნობილ თამადა და საზოგადო მოღვაწე ყაფლან ორბელიანზე: _ *ო, სწორუპოვარო ყაფლან ასლანის_ძევ! რა იქნებოდა ავარია უორბელიანოდ, თავრიზი უერისთავოდ და სუფრა უშენოდ?*

ტატოს ექსპრომტად თქმული სადღეგრძელო: _ *რა ბედნიერი ვარ თასი სავსე, სასმისი ღმერთასი! მენახოს ლხინი ათასი მანანასი და მართასი!*

ალექსანდრე ორბელიანის მიერ ეკატერინე ჭავჭავაძის და დავით დადიანის ქორწილზე თქმული სადღეგრძელო: - *ბატონებო და ქალბატონებო! მე დიდად ბედნიერ ვარ, რომ ერეკლე მეფის ნაქონი ყანწი, რომელიც მე ალექსანდრე ჭავჭავაძეს ვაჩუქე ნინოს ქორწილში, კვლავ შემიძლია ხელში ავიღო და დავლოცო ეს ოჯახი, ეს დიდებული წყვილი, ნეფე-დედოფალი, დღეგრძელნი და ბედნიერნი იყვნენ. გამრავლდნენ, გაღონიერდნენ და გაძლიერდნენ, მუდამ ახსოვდეთ სამშობლოს ვალი. გახსოვდეთ წინაპართა ჩვენთა თავდადება მამულისათვის, რომ წინაპარნი ჩვენნი გმირნი იყვნენ, მამულისათვის შეწირულნი. თხუთმეტი საუკუნეა მას აქეთ რაც ქართველ კაცს ცალ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში _ ჯვარი ქრისტესი. ჩვენი ქვეყნის ძველი დიდება ამ ხმალს და ჯვარს დაუცავს, საქართველოსთვის ზვარაკად შეუწირავთ თავი დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, სამას არაგველს, ცოტნე დადიანს, ერეკლე მეფეს. ღმერთმა გადღეგრძელოთ!*

როკოსოვსკი ამბობს სტალინის სადღეგრძელოს: _ *მხოლოდ ასეთ ხალხს (ქართველებს) შეეძლოთ სტალინის შობა.*

ნიკო მუსხელიშვილის მიერ ცოლების შესახებ თქმული: _ *ხელმძღვანელთა ხელმძღვანელებს გაუმარჯოს!*

გიორგი ლეონიძის «ღვინჯუას» მიერ თქმული: _ *ამ ყანწითა და ამ წმინდა გულით, მინდა გადღეგრძელო, იცოცხლე იმდენი ხანი, ვიდრე კახეთის საწნახელებში და ქვევრებში ღვინო იწურებოდეს; ვიდრე დედამიწა ისე გაცვდებოდეს, რომ ადამიანის ფეხის სიმძიმეს ველარ უძლებდეს, ვიდრე დედამიწაზე წყალი დაშრებოდეს და დედამიწა უწყლოდ იწვებოდეს! ერთსაც გეტყვი, _ როგორც ცას ცისარტყელა ამშვენებს და რამდენიმე ფერით დედამიწას დაჰყურებს და ახარებს, ისე გამხიარულოს!*

კონსტანტინე გამსახურდია: _ *ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამალ ორაგულს, აღმა რომ მიჰყვება ამაყად არაგვს, უფსკრულებში დაეძებს თავის დედალს, ვაჟკაცურად მიარღვევს ტალღებს, რათა გუდამაყარში წამოეწიოს და მისწვდეს საწადელს.*

ვახტანგ კორინთელის მიერ თქმული სადღეგრძელო კ. გამსახურდიას "ვაზის ყვავილობიდან": _ *რომაელებთან და ბერძნებთან გვიბრძოლია, მონღოლებთან და სელჯუკებთან, ზოგ-ზოგი მათგანი აღარ არიან უკვე ამქვეყნად, ჩვენ გადავრჩით, და გადაგვარჩინა ჩვენი ხალხის შეუმუსვრელმა მხნეობამ და ვაჟკაცობამ. ქართველი ხალხის სადღეგრძელო იყოს!*

სიმონ (სიმონიკა) სხირტლაძე მართლაც გამორჩეული (იმათში ვინც ჩვენ გვინახია საერთოდ) და სწორუპოვარი თამადა, რომელიც მჭევრმეტყველების სასწაულებს ფანტავდა ირგვლივ და მუდმივად მონუსხულივით ეჭირა ხელში მსმენელი. ასე ამბობდა ეს თამადა-მასწავლებელი: _ *ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი, ბულბულს დავსვამ ჭიქაზედა, ვარდის რტოზე ნამყოფია, ჩვენთან ყოფნას ინატრებსო.* ბს თითქმის ნახევარი საქართველო იცნობდა, უამრავი მეგობარი და თანამეინახე ჰყავდა, ყველგან ღირსეული და სასურველი სტუმარი იყო. აქ სიმონიკას ერთ ეპიტაფია_სადღეგრძელოს მოვიყვანთ ქართული სუფრის უძლეველ ფალავანზე შქმერელ გოლიათ აღდგომელა გლოველზე თქმულს:

_კაცი ვიყავი, ახლა მტვერი ვარ, მე აღდგომელა გვარად გლოველი,
ვიდრე ვცოცხლობდი არ მომკლებია, ქერის პური და დოქი სოველი.
რაც ჩემზე გითხრან, არ გაიოცოთ მართალი იყო, არა თქმულება,
შემეძლო ჩაფის პირქვე დამხობა, და ჩასავლების დანაკლულება.

სიმონიკა სხირტლაძე: _ *ისინი ვახსენოთ, ვინც გულებში სიყვარულის მწვავე ცეცხლი დაგვიგზნო, ვინც ავგაროზივითგარედან კი არა სულის შიგნიდან ესალბუნება გულს და შვებას გვაძლევს, ამასთან ერთად პატარა სევდასაც გვიტოვებს თან სატარებლად.*

ოთარ მამფორიას სადღეგრძელო, გალექსილი ტარიელ ჭანტურიას მიერ:

- *გადიდებულ ჩვენს სურათებს, სანამ მოავლებენ ჩარჩოს; ვწეროთ ლექსი, ვრანდოთ სიტყვა, ნაღვინევზე ვხვრიპოთ ხარჩო.*
  გული ვხარჯოთ, სული ვხარჯოთ, მასთან ერთად ფულიც ვხარჯოთ, და ვინც კარცერს, ჩვენსას ასწევს, მათ ავანსად გაუმარჯოს!

დავით ქოქიაშვილი: - *სიცოცხლე ღვთის წყალობაა. ადამიანი დიდი ღვაწლისთვისაა მოვლენილი ამ ქვეყნად, აქედან გამომდინარე ცხოვრებაში სანიმუშო მაგალითის ძალას საოცრების მოხდენა შეუძლია. გავიხსენოთ ის ხალხი ვინც თავისი თვითმყოფადი ნიჭიერებით, საამაყო საქმიანობით, ცოდნით, ქვეყნის და ხალხის ერთგულებით, ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ერის ისტორიაში. მამულიშვილების სულის ხსენებისა იყოს!*

სიკო ფაშალიშვილი: _ *მაშ, გამარჯობა ტკბილო სიცოცხლევ, იყავი ჩემთან შენ განუყრელი.*

<u>სადღეგრძელოების საინტერესო და ორიგინალური გამონათქვამები</u> :

ქიზიყში ჩვენი წინაპრებიდან გადმოცემული და გაგონილი, რაშიც უდაოთ ღრმა შინაარსის სიმბოლიკაა ჩადებული: _ *ვაზისა და ჭიგოს ურთიერთობიდან გამომდინარე ადამიანებს შორის ურთიერთობის სადღეგრძელო იყოს! _ გაგვიმარჯოს! კარგად ვიყვნეთ, არც გავირყვნეთ, არც გავიყვნეთ და არც გავირიყნეთ. _ გაგვიმარჯოს! ყველგანა: ცაში, ზღვაში და ხმელეთზე. _ ვისაც წყალმოსხმულ მარანში ქვევრიდან ღვინო დაულევნია , ღმერთი, ერი, ბერი და ადგილის დედა დაულოცნია, მათი ხსენებისა იყოს!- ვაზის მრუდე ძირს გაუმარჯოს! რადგან ვაზია, უფალთან ზიარების წმიდა სითხეს რომ გვაძლევს, ახალდაბადებულთ ლოცვით რომ ხვდება და უკანასკნელ გზაზეც რომ მიგვაცილებს _ მახინჯ მამას, ლამაზ დედას და ცელქ შვილს გაუმარჯოს! (სადაც მამაში ვაზი იგულისხმება, დედაში ყურძენი, შვილში კი ღვინო); _ შვილი ფუტკარია, შვილიშვილი კი თაფლი; _ შვილი კაკალია, შვილიშვილი კი კაკლი გული; ან კიდევ _ შვილმა გულში გაიარა, შვილიშვილმა გულის გულშიო.*

ქიზიყელების სადღეგრძელოდ გამოხატული სურვილები: *- სიყვარულის პერანგი გცმოდეთ და ამაყად გულით ატარებდეთ... შრომა არ დაგზარებოდეთ, ბარის და თოხის დანახვაზე უკან არ დაგეხიოთ, ქვეყნის სამსახურში, როგორც ხარს გუთანში, ისე გაგეწიოთ; გაგიმარჯოთ, გადღეგრძელოთ!*

კავთისხეველი გლეხი: _ *ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ვისაც უჭირს, მაგრამ ღირსი კი არ არის, იმ კაცსაც გაუმარჯოს ვინც დაეხმარება, თუმცა ვალდებული სულაც არ არის!*

გიზო ნიშნიანიძე: _ *ვენაცვალე იმ სადღეგრძელოს ჭიქის ხელში აღებისას რომაა ჩამოსხმული, ჭიქასთან ერთად რომაა აწეული და არა გაწოლილი და გაწელილი, ფიქრის თეთრ აფრასთან ერთად. _ მოდი გაუმარჯოს ბიჭებო, სახლიდან ჩვენს გამოღოღებას, ჩვენს პირველ გაპარვას ეზოდან, თვალების ფართოდ გაღებას, ჩვენს პირველ შეხვედრას თბილისთან, და მისი კარების შეღებას, პირველ გაოცებას, პირველ შიშს და პირის მტკაველზე დაღებას, დედის შეკივლებას: მიშველეთ! ბავშვი ქუჩაში გასულაო.*

ჯანსუღ ჩარკვიანი: _ *მოვიგონოთ ის ხალხი, სიცოცხლით სიცოცხლეს რომ გვიხალისებდნენ, თავიანთი სიკვდილით კი სიკვდილი გაგვიადვილეს.*

დეკანოზი მამა ამირან ამირანაშვილი: _ *მარადიულობა შეიძლება დიდ ხეს შევადაროთ; მისი ფესვები, რომლითაც ხე იკვებება _ ჩვენი წარსულია, ჩვენი წინაპარია, რომლებმაც ჩვენ მოგვავლინეს ამ წუთისოფელს, სხეულით ვატარებთ რა ფესვებიდან მიღებულ გენებს, კულტურას, ნიჭს, ტრადიციას და ამის შემდგომ გადავცემთ შთამომავლობას. ამაშია უკვდავი მარადიულობა, რომელიც ღმერთმა შექმნა. გაუმარჯოს უფლის ქმნილებას!*

მერაბ კოკოჩაშვილი: _ *ერთმანეთის ნახვის სურვილის სადღეგრძელო იყოს!*

გურამ გოგიაშვილი: _ *ოთხი გვარის, მამის ორი და დედის ორი გვარის სადღეგრძელო იყოს!*

ზურაბ ქაფიანიძე: _ *საქართველოს სალოცავებისა და სულეთის დიდებისა იყოს!*

ვახტანგ ცხადაძე: _ *მასწავლებელს გაუმარჯოს! ვინც ჩვენს ჩამოყალიბებაში, სიკეთესა და ადამიანობაში წვლილი შეიტანა.*

გივი სიხარულიძე: _ *ქალს გაუმარჯოს ყვავილთან ერთად!*

თემურ ბაინდურაშვილი: _ *ჩვენს ოჯახებში კაცის (სტუმრის) ფეხის ტალახი არ გამოლეულიყოს.*

ჟემალ ღაღანიძე: _ *მოდით, ვიყოთ ისეთი სტუმრები, ოჯახიდან რომ გამოვალთ, ჩვენზე მასპინძელს ეთქვას, ნეტავ, ეს კაცი კიდევ მოვიდეს ჩემს ოჯახშიო.*

ავთანდილ საყვარელიძე: _ *პატიოსან კაცთა შორის მოციქულად მხოლოდ მორალი და ღირსება უნდა ჩაითვალოს. მაშ, კაცის სინდისის და ქალის ნამუსის სადღეგრძელო იყოს!*

ჯიმი სხირტლაძე: _ *ეს იმ სხვა ქალბატონებისა იყოს, რომლებიც დედებად, ოჯახის ბურჯებად, ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის გასამრავლებლად შემოვიდნენ ჩვენს ოჯახებში. ავდგეთ და დედულეთის სადღეგრძელო შევსვათ!*

სოკრატ სალუქვაძე: _ *მოქეიფენო! დასახული მიზნებისათვის ჩვენს მსახურებას გაუმარჯოს და სანამ არ მოვა დრო-ჟამი სულ ბოლო ამოქშენისა დაე, ყველა ერთგულად ვემსახუროთ ჩვენს კეთილ მიზნებს და მისწრაფებებს; ოცნების განხორციელებისა იყოს!*

კონსტატინე ჩოლოყაშვილი: _ *ხომ კარგია ამ რთულ, გაჭირვებულ დროში ვიღაც რომ მოგეფერება, შენს კარგ თვისებებს წინ წამოსწევს და კაცობას შეგიქებს? ღვინის მადლითაა ეს ქართულ სუფრაზე. ღვინოს გაუმარჯოს!*

რევაზ ავალიანი: _ *ვინც რაინდული სულით იცხოვრა, ვისაც კაცურ-კაცობის ქუდი ეხურა და მის კოდექსს მტკიცედ იცავდა, ძმობაში და ურთიერთობაში არ შეშლია და არ ჩაჭრილა, მათი დიდებისა იყოს!*

ნუგზარ შოშიაშვილი: _ *სადაც დაბადების ტირილი ამოვთქვით, ენა და ფეხი ავიდგით, შიშველ ფეხში შერჭობილი ეკლის ტკივილი ვიგრძენით, იმ მიწის და ეზო-კარის სადღეგრძელო იყოს!*

ზაზა ქინქლაძე: _ *შექმნილი ახალგაზრდა ოჯახის ბედნიერების მოციქულების _ მეჯვარეების (ხელისმომკიდეები) დღეგრძელობა იყოს! რომლებიც ხშირ შემთხვევაში ღმერთის გზის გამკვლევ შუქურებათ _ ნათლიებადაც გვევლინებიან გამრავლებულ ოჯახში.*

გურამ საღარაძე (მსახიობი): _ *იმას გაუმარჯოს! ჩვენ რომ გვაწუხებს და ვერც ვერავის ვეტყვით, ვერც მეგობარს, ვერც დედას, ვერც მამას და ვერც ცოლს, რომელიც ჩვენშია, ჩვენია, საკუთარია და ჩვენთან დარჩება.*

ვახტანგ ქიზიყურაშვილი: _ *ცუდი კაცის გაკეთებულ საქმესთან კარგი კაცის შემთხვევით გაფუჭებული საქმის უპირატესობას გაუმარჯოს!.*

დავით ტარყაშვილი: _ *უიღბლო სიყვარულისა იყოს! ნიკალასა და აქტრისა მარგარიტას, გალაქტიონისა და მერის სიყვარულის თამადობით.*

ნუგზარ ჯუღელი: _ *ვისი გული ვისთან იყოს, უნდოდეს და აქ არ იყოს _ იმას გაუმარჯოს!*

გოგი დოლიძე (კინომცოდნე): _ *ჩვენი ჯიშის სადღეგრძელოს ვსვამ, ქართული ჯიშისა და ჯილაგის, რომლითაც უნდა ვიამაყოთ ყველამ:*

_ და მხოლოდ ჯიში მიმაგრებს სტრიქონს, ჯიში გმირული, ჯიში ქართული,

გაბუაჩემი ვაჟკაცი იყო, სატევარით და ცხენით განთქმული.

მან დიდ მუხნარში მოჰკლა ტახები და მათი ხორცით მზრდიდა ნიადაგ,

მიტომ არ მიყვარს მე არტახები და მიტომ ვვარგვარ ადამიანად!

შოთა ხოდაშნელი: _ *ვინც ათობით საუკუნე, გაიტანა შრომით ლელო, მოვიგონოთ ყველა მეზვრე, და ვთქვათ ღვინის სადღეგრძელო!*

ვანო ხუხუნაიშვილი: _ *იმ სიყვარულს გაუმარჯოს! რომელიც ჩვენს შორის არის, თუ არ არის ყოფილიყოს.*

დავით როსტომაშვილი: _ *მეგობრობის სიმტკიცეს, სიწმინდეს და უღალატობას გაუმარჯოს!*

სოლომონ თეზელიშვილი: _ *მოვა დრო, როდესაც ადამიანთა ცივილიზაციის ხარისხი შემოწმდება მათი ხელოვნებით და არა ატომური ბომბების ქონებით, მანქანათმშენებლობით და სხვა. დიდი ბედნიერებაა იფიქრო, რომ შენი ხელთუქმნელი სიმღერები შექმნეს შენმა წინაპრებმა და ეს დღეს შენია და კაცობრიობას ანცვიფრებს. ჩვენს უკვდავ ხელოვნებას გაუმარჯოს!*

სოსო ტორიაშვილი:_*იმის სადღეგრძელო იყოს! ვინც ყველანაირ ცდუნებას გაუძლო, მართალი, კაცური სიტყვა არ გატეხა, არაფერზე და არაფერში არ გაიყიდა და ბოლომდე თავისი მრწამსის ერთგული დარჩა.*

ვალერიან (ვალიკო)ხუბულავა: _ *მეგობრობა ცხოვრების ერთი გრძელი მარათონია, რაშიც ბევრი პიროვნება მონაწილეობს. აქედან რაღაც ნაწილი დრო და დრო გვეცლება, ზოგი კი ბოლომდე მიგვყვება. მარათონის ასეთ მცნებას გაუმარჯოს! რაც თავისთავად განგების ნებით ხდება.*

ლია დალაქიშვილი: _ *იყავი ნაზი იასებრ და სწრაფი როგორც მიმინო, შენ გაგიმარჯოს სიცოცხლე, ხვალინდელი დღის ღიმილო.*

ზურაბ ტყემალაძე: _ *უკან რომ მოიხედავ, განვლილ ცხოვრებას რომ გადაავლებ თვალს და რაც გაგახსენდება, ის, რამაც შენს ცხოვრებაში კვალი დატოვა, იმ მოგონებებს გაუმარჯოს!*

გელა ჩარკვიანი: _ *თბილისს გაუმარჯოს თავისი დიდი ისტორიით, რომელიც თითოეული თბილისელის გულის სიღრმეშია. იმ კოლორიტ თბილისელ კაცსაც გაუმარჯოს! რომელიც ქალაქის პეწს და სახეს ქმნიდა და ქმნის ყოველთვის.*

ზურაბ დარჩიაშვილი: _ *ჩვენი სულის ნაწილის, ჩვენი შთამომავლობის ჭეშმარიტი გამგრძელებლების, შვილიშვილების და შვილთაშვილებისა იყოს!*

მერი კვინტრაძე: _ *ღმერთმა პურის ჭამა ნუ მოგიშალოთ, ვინც მწყურვალს ღვინოსა და მშიერს ლუკმას მიაწვდის, პერანგს გაიხდის და სხვას ჩააცმევს, წასულის*

შესანდობარსა და მომავლის დღეგრძელობას იტყვის, სიკეთის უღელში შეებმევა და კაცობის კვალს დატოვებს, იმას გაუმარჯოს!

პაატა ცუცუნაშვილი: _ *მინდა ვიცოცხლოთ იმგვარი მადლით, ოდესღაც ვინმემ კაცურად გვაქოს.*

ჯონი ბარამიძე: _ *ჩვენ სამშობლო არავისთვის წაგვირთმევია და ნურც ნურვინ შეგვეცილება. ამის დასტური ჩვენი ისტორიაა. მაშ გაუმარჯოს ერთიან და ძლიერ საქართველოს!*

შოთა მუკნიაშვილი: _ *ამით გაუმარჯოს ქართულ სუფრას, სადაც ოდითგანვე წყდებოდა სამშობლოსთან დაკავშირებული მრავალი საჭირბოროტო საკითხი. ქართულ სუფრაზე იზრდებოდა თაობები, მამულის სიყვარულით გაჟღენთილი.*

თემურ თურმანიძე: _ *მშობლებს გაუმარჯოს! სიყვარულისა და ერთგულების თამადებს.*

ტრისტან კიკნაველიძე: _ *ეს იმ პიროვნებას გაუმარჯოს! რომელიც ადამიანში მხოლოდ დადებით თვისებებს ეძებს და ყველანაირად ცდილობს, რომ აღმოაჩინოს იგი.*

ზურაბ ბახტაძე: _ *გაუმარჯოს ორ დიდ გრძნობას, სიყვარულს და მეგობრობას.*

მერაბ კერესელიძე:

_ *ეს გაუმარჯოს პირველ თბილისელს,*
პირველ მცხეთელს და პირველ ასპინძელს,
ეს გაუმარჯოს, პირველ სიყვარულს,
პირველ სტუმარს და პირველ მასპინძელს.

ნინო ზაუტაშვილი: _ *გაუმარჯოს იმას კი არა, ვისაც შენი ცუდი არ უხარია, არამედ იმას ვისაც შენი კარგი უხარია.*

ჯემალ კვირიკაშვილი: _ *სამყარო ერთი დიდი სცენაა, სადაც ამქვეყნად შემოსვლის და გასვლის დრო ყველას გვაქვს და ვიდრე ცოცხლები ვართ, ჩვენი საამქვეყნო ადამიანური (თუგინდ მცირედი) ვალი უნდა მოვიხადოთ. ჩვენი თავის სრული რეალიზებისა და ღირსებებით სავსე ცხოვრებისა იყოს!*

ალექსანდრე ივანიშვილი: _ *როდესაც განგება განსაცდელს გვიგზავნის, ამასთან ერთად ძალასაც გვაძლევს, რომ ეს ყველაფერი ღირსეულად გადავიტანოთ. ეს ჩვენზეა დამოკიდებული მოვძებნით ჩვენს თავში ძალას თუ არა. მაშ, ძლიერი სულიერების სადღეგრძელო იყოს!*

ზაზა ჯანაშია: _ *ზოგჯერ ცრემლით დაწყებულ, მაგრამ ტკბილი კოცნით დამთავრებულ წმინდა და სპეტაკ პირველ სიყვარულს გაუმარჯოს!*

თემურ მოსაშვილი: _ *ჩვენს ახალგაზრდობაში რაც გაგვიკეთებია და ძალიან გვინანია; რაც არ გაგვიკეთებია და გვინატრია, რისი გაკეთებაც გვინდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია; ჩვენი ყველა დროის ოცნებას გაუმარჯოს!*

ამირან მონიავა: _ *ღმერთმა გვიმრავლოს კაცი-კაცური, ბავშვი _ ბავშური, ქალი _ ქალური და ვაჟკაცური.*

თეა მარტყოფლიშვილი: _ *იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს! ვისი სიმღერებიც მწუხრია, ვისაც სიყვარულში გაუავდრდა, სხვისი გაღიმება უხარია. ვისაც შეუძლია*

ატირება, გზით და სიკეთით ძლეულია, დიდი შეცდომების პატიება, ვისაც დიდსულოვნად შეუძლია. ეს იმ ადამიანს გაუმარჯოს, ვისაც სიყვარული შეუძლია.

მარინა წიკლაშვილი: *_ გაუმარჯოს! ქალის უანგარო ცრემლს და კაცის ალალ მზერას. სადღეგრძელოს რა გამოლევს? მაინც დამრჩა ერთი _ სახლში, გზაში, სამსახურში, შეგეწიოთ ღმერთი.*

თეიმურაზ ფაჩულია (მეუღლეს):

_ ისე მინდიხარ, ისე მჭირდები, როგორც პილიგრიმს წმინდა ნამაზი.
ასე მგონია, რომ ქვეყანაზე არავინაა შენზე ლამაზი.
შენ გადღეგრძელებ, ჩემო ძვირფასო, შენი მშვენება ცისკენ მეწევა,
სანამ არსებობ, სანამ მიყვარხარ, მანამ სიკვდილი ვერ დამეწევა.

ელგუჯა ტურძელაძე: *_ ვინც დედობის ულამაზესი განცდის გარდა, ერის გამრავლების უპირველესი და საპატიო მისია იკისრა, მისი დიდება იყოს!*

ნოდარ ხუციშვილი: *_ მუსიკალური ანბანის, შვიდი ნოტის სადღეგრძელო იყოს!*

გივი ჯანყარაშვილი: *_ ეს ჩვენი ცხოვრების ზიგზაგისებურ გზაზე პატარპატარა პერიოდულ გამონათებებს (სასიამოვნო მოგონებებს) გაუმარჯოს!*

თამარ კირვალიძე: *_ უანგაროდ გაღებულ ცრემლს გაუმარჯოს! ცრემლს სიხარულის, ცრემლს მწუხარების.*

ოთარ თაბუაშვილი: *_ ვინც ღვინის ჭეშმარიტი შემფასებელია და თაყვანისმცემელი, იმას გაუმარჯოს!*

ნანა ჩიქოვანი:

_ მე იმ ხელების სადღეგრძელოს შევსვამდი ღმერთო,
ვინც მოუარა, ვინც დარგო და ახარა ვაზი.
მე იმ ხელების სადღეგრძელოს შევსვამდი ღმერთო,
ვინც ააშენა და მიაწყო ოჯახი ნაზი.

გივი გალდავა: *_ მამაკაცებს გაუმარჯოს! ვინც მამულს, ენას და ეკლესიას მოუარა, ვინც ვენახს, გუთნის დედას და სიმღერას მიხედა, თქვენი მრავალჟამიერი იყოს!.*

ლეილა მითაიშვილი: *_ სიკეთის მთესველ და დამნახავ კაცს გაუმარჯოს!*

ლიანა ბასილაშვილი: *_ ზეცაში ღმერთს, ღრუბლებში ანგელოზებს, მიწაზე ხალხს და მიწის ქვეშ ჩვენი წინაპრებისა იყოს.*

თეიმურაზ გამრეკელი: *_ დღეგრძელობა და მზეგრძელობა იყოს ყველასი, ვისაც დაბადების მოწმობაში არც მეტი, არც ნაკლები _ 29 თებერვალი უწერია.*

გიორგი გოდერიძე: *_ იმ კაცს და ქალს გაუმარჯოს! ვინც ამ დუხჭირ და გაუსაძლის ცხოვრებაში გაწითლების გრძნობა შეინარჩუნა.*

ავთანდილ ქიზიყურაშვილი (დესპანი თამადა):

_ ვინც არ იცის სმის დროს შფოთი, მსმელია და არა ლოთი
ალალია, რომ შეერგოს, გუდის ყველი, ცხელი შოთი,
ცოცხალი და ბატკნის მწვადი, სახლის ლორი, კეცის მჭადი,
ლოქო ქინძმრით დანამული, წარმოშობით ალაზნური,
ხაშლამა კი, მწვანილმოყრით, არომატულ ცხელი ორთქლით,

კოლორიტი ფიგურაა, ქალაქის და ქუჩა_უბნის,
და ასევე, რა თქმა უნდა, შესანიშნავ ქართულ სუფრის,
დესპანია, სასიკეთოდ მოვლენილი მაღალ უფლის,
მაშ, დავლიოთ სადღეგრძელო, ასეთ კაცის რაღას ვუცდით.

თეიმურაზ ნაყოფია: *_ ავ მოსურნე გაგირბოდეთ წამსა, მოკეთე კი გიმშვენებდეთ მხარსა.*

სულიკო კერესელიძე: *ჯერჯერობით კაცობრიობა ბოლომდე ვერ ჩასწვდა თავის გენიალურ შვილთა ნამოქმედარის საიდუმლოში:*

_ და მაშ ვადიდოთ ამა ქვეყნად ყველა მგოსანი,
ყველამ ერთად ვთქვათ წინაპართა შესანდობარი,
კვლავ ვადღეგრძელოთ უჩინარი დიდი მგოსანი
მომავალში კი გენიოსი მგოსანთ-მგოსანი.

გივი თუშიშვილი (სახალხო მთქმელი):

_ გაუმარჯოს ქართულ სუფრას, მის ლაზათს და ეშხს,
პირანთებულ ჩვენს თამადას, უფალს_ენამჭევრს,
ქართულ ვაზს და აზარფეშას, ღვინოს ლალისფერს.
გულში ჩამწდომ, ტკბილ_ქართულად მოღუღუნე ხმებს;
გაუმარჯოს საქართველოს და ჩვენს ლამაზ ერს,
საქართველო დღეგრძელობდეს მრავალჟამიერ!

ქართულ ყოფაში უამრავი სადღეგრძელოები არსებობს, რომლებიც წარმოითქმება ჩვეულებრივ თუ მიზნობრივ პურობაზე. მათ შორის ძველი ქალაქური (ყარაჩოხელების) გამოთქმული, თავისუფალი, არყის დროს თქმული სადღეგრძელოები. ლუდის სმის დროსაც კი ამბობენ (სახუმარო, იუმორისტულ) სადღეგრძელოებს.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მკითხველისთვის მიგვეწოდებინა ქართულ სუფრასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებები, ტრადიციულ-კანონიკური დალოცვა-სადღეგრძელოები. როგორ გამოგვივიდა განსაჯოს მკითხველმა.

თამადები, ისე როგორც ადამიანები, არასდროს არ გვანან ერთმანეთს. თვითოეულ მათგანს თავისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი მასშტაბები, ხელწერა, მანერა, ხასიათი და სახე აქვს. აქედან გამომდინარე გთავაზობთ ლხინის სუფრის თამადების კატეგორიებად დაყოფის ჩვენეულ ვარიანტს, რომელიც ჩამოგვიყალიბდა მრავალწლიანი დაკვირვებით და თავისთავად არ გააჩნია დოგმატურობის პრეტენზია:

1. განუმეორებელი, შეუდარებელი თამადა: ზედმიწევნით გამორჩეულად უნდა იცოდეს ქართული ტრადიციული სადღეგრძელოები, ადათ-წესები და წეს-ჩვეულებები; უნდა იცოდეს საქართველოს ისტორია, ქართული პროზა, პოეზია, ხალხური ზეპირსიტყვიერება; ნორმალური შესახედავიც უნდა იყოს, რომ ხალხმა ყური ათხოვოს; სასურველია კარგად სვავდეს (არ არის აუცილებელი ბევრს და უზომოდ სვავდეს); კარგი მჭევრმეტყველი და იმპროვიზატორი უნდა იყოს, ესმოდეს იუმორი; უნდა

შესწევდეს უნარი სუფრის წარმართვის, რეგულირების და წესრიგის დამყარების; იყოს მუსიკალური (შეეძლოს სიმღერა და ცეკვა).

2. ბრწყინვალე თამადა: ყველა პირველ შემთხვევაში ჩამოთვლილი თვისებებიდან შეიძლება არ იცოდეს ან ცეკვა, ან სიმღერა.

3. შესანიშნავი თამადა: ყველა პირველ შემთხვევაში ჩამოთვლილი თვისებებიდან შეიძლება არ იცოდეს ცეკვა და სიმღერა.

4. კარგი თამადა: ყველა პირველ შემთხვევაში ჩამოთვლილი თვისებებიდან შიძლება არ იცოდეს ქართული პროზა, პოეზია, ხალხური ზეპირსიტყვიერება, სიმღერა და ცეკვა.

5. ნორმალური თამადა: ყველა პირველ შემთხვევაში ჩამოთვლილი თვისებებიდან შეიძლება არ იცოდეს საქართველოს ისტორია, ქართული პროზა, პოეზია, ხალხური ზეპირსიტყვიერება, სიმღერა და ცეკვა; არ იყოს კარგი მჭევრმეტყველი და იმპროვიზატორი.

6. «ისე რა» თამადა: ყველა პირველ შემთხვევაში ჩამოთვლილი თვისებებიდან შეიძლება არ იცოდეს საქართველოს ისტორია, ქართული პროზა, პოეზია, ხალხური ზეპირსიტყვიერება, სიმღერა და ცეკვა; არ იყოს კარგი მჭევრმეტყველი და იმპროვიზატორი, არ შეეძლოს სუფრის წარმართვა, რეგულირება და წესრიგის დამყარება.

7. ცუდი თამადა: რომელსაც შეუძლია მხოლოდ სმა, მაგიდის წევრებზე სმის დაძალება და სხვა არაფერი.

უამრავი გამორჩეული, წარმატებული და კარგი თამადაა აღიარებული საქართველოში, რომლებმაც სულიერებით სავსე, დიდებული და ულამაზესი ელფერი შესძინეს ყოვლად სახალხო ფენომენს _ ქართულ სუფრას. ასეთებად შეიძლება დავასახელოთ: **შედან ჭილაძე, გულბაათ ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ყაფლან ორბელიანი, იოანე ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, თედო რაზიკაშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, რეზო ლაღიძე, სიმონიკა სხირტლაძე, გურამ ფანჯიკიძე, ლევან სანიკიძე, ჟორჟიკა იაშვილი, ტუპია იაშვილი, დოდო აბაშიძე, თემურ ჩირგაძე, ოთარ მამფორია, აღდგომელა გლოველი, გიორგი გელოვანი, ჯანო ბაგრატიონი (უფროსი), ანტიფო ჭეჟია, გივი წითლიძე, პეტრე ბოკერია, ტარიელ კვაშალი, როსტომ ყენია, სოსო ხარაბაძე, თენგიზ ჩანტლაძე, გენო ონაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, კოტე ჩოლოყაშვილი, ნიკო ლეკიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ სოხაძე, გურამ გოგიაშვილი, ავთანდილ საყვარელიძე, გიზო ნიშნიანიძე, ვახტანგ ცხადაძე, გივი სიხარულიძე, ზურაბ ქაფიანიძე, გიორგი (ასანა) ნადირაძე, გურამ საღარაძე (მოჭიდავე), ჯიმი სხირტლაძე, სოლომსარჩეონ თეზელიშვილი, გურამ სულთანიშვილი, ვალიკო გურაშვილი, სოკრატ სალუქვაძე, ხვთისო ნიქოკელი, ბიძინა ნანობაშვილი, გელა მუხაშავრია, ზაზა ქინქლაძე, გია ბაღაშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, დავით ტარყაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი, დავით ტიგინაშვილი...**

რა საკვირველია ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, რამეთუ საქართველოში უამრავი ნიჭიერი პიროვნებაა, რომლებმაც ზედმიწევნით კარგად იციან ქართული ყოფის, ტრადიციის და წეს-ჩვეულებების ამსახველი ელემენტები. ასეთი ადამიანები ყოველთვის ალამაზებდნენ და მომავალშიც გაალამაზებენ მსოფლიოში აღიარებულ და გამორჩეულ ქართულ სუფრას.

ГРУЗИНСКОЕ ВИНО
СИГНАХИ
ПОРТВЕЙН БЕЛЫЙ
ГРУЗИНСКОЕ ВИНО
СИГНАХИ
ПОРТВЕЙН БЕЛЫЙ



სურათების ჩამონათვალი:

გარეკანის პირველი გვერდი: - ნ. ფიროსმანი-თავადების ქეიფი მინდვრად.
გარეკანის ბოლო გვერდი: კ. იგნატოვი - ვერის უბნის მელოდია.
№1. ძველებური კერამიკული ჭურჭელი.
№2. ჭედური სასმისები.
№3. ნ. ფიროსმანი - რთველი კახეთში.
№4. შემოდგომის ბარაქა.
№5. ნ. ფიროსმანი - რთველი იმერეთში.
№6. შემოდგომის ეპიზოდი.
№7. ყურძნის კრეფის ეპიზოდი.
№8. გოგონა ყურძნით ხელში.
№9. ნ. ფიროსმანი - ზეიმი რთველში.
№10. ღვინის მარანი.
№11. ნ. ფიროსმანი - მუშა ღვინის კასრით.
№12. 1591 წელს გერმანიაში დამზადებული დიდი კასრი.
№13. ბარელიფი.
№14. ბადაგონი.
№15. ძველებური დუქნის ატრიბუტი - «ტიკი».
№16. ახლად გახსნილი ქვევრიდან შინაური ღვინის ჭაშნიკი.
№17. კახელი გლეხი კოკით ხელში.
№18. კ. იგნატოვი - პურის მცხობელები.
№19. ლ. გუდიაშვილი - სადღეგრძელო გამთენიისას.
№20. ლ. გუდიაშვილი - ახალი ღვინის - «მაჭრის დღე».
№21. ლ. გუდიაშვილი - თევზი - «ცოცხალი».
№22. ლ. გუდიაშვილი - ძველი თბილისი.
№23. ნ. ფიროსმანი - ქეიფი ბუნებაში.
№24. კ. იგნატოვი - დაბრუნება.
№24ა. ღვინის მსმელი
№24ბ. ქეიფი დუდუკებით, ღვინის სმა «მარნით» XIXს.
№24გ. კახელი მეღვინე.
№25,26. კ. იგნატოვი - თბილისური «დილის სიმღერები»
№27. ლ.გუდიაშვილი - ყარაჩოხელების სუფროს გამოძახილი.
№28. ლ.გუდიაშვილი - ყარაჩოხელების ქეიფი დუქანში.
№29,30. ქართული სუფრა.
№31,32. ქორწილის სუფრა.

<u>სარჩევი</u>

1. წინათქმა;
2. ქართული მიწა, ვაზი და ღვინო;
3. ქართული სუფრა და მისი წეს-ჩვეულებები, თამადის ინსტიტუტი;
4. საქორწინო სუფრა და მისი წეს-ჩვეულებები;
5. სამგლოვიარო სუფრა და მისი წეს-ჩვეულებები;
6. ხალხური დალოცვა-სადღეგრძელოები;
7. სადღეგრძელოები წარსულიდან;
8. სადღეგრძელოების საინტერესო და ორიგინალური გამონათქვამები;
9. სურათების ჩამონათვალი.

აცხოვრე უფალო და შეიწყალენ დიდი მეუფე ჩვენი, უწმინდესი და უნეტარესი-სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სულიერი მამაი ჩვენი ილია, წმინდანი მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტერთა მსახურნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზნო წესნი ზიარნი ეკლესიისანი, რომელნი დაადგინენ მწყსად სიტყვიერთა ცხოვართა შენთა ზედა და ლოცვითა მათითა მეცა ცოდვილი შემიწყალე და მაცხოვნე.

გიხაროდენ, რამეთუ ჩვენთან
არს ღმერთი, ამინ!

რედაქტორი: გურამ გოგიაშვილი

კორექტორი: ნინო ქოქიაშვილი

დამკაბადონებელი: ზაზა არახამია

წიგნი აეწყო და დაკაბადონდა შპს «კოპიპრინტ-2000»-ში

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №5

ფასი შეთანხმებით